პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№285 (12 656) 4 დეკემბერი ხუთშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი

## შანსი გადარჩენის პირასაა

კობიაშვილის გუნდმა ჯგუფური ეტაპი 4 ქულით დაასრულა და მეტოქეებზეა დამოკიდებული

უეფას თასი. ტექნიკური შედეგები » 15

# სუპერდინამო

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



## ცოგელის პირველი ტიტული

სუპერთასი »»» 2



## მილანი თასის გარეშე

## შტეფი გრაფი საუკეთესო ჩოგბურთს მათამაშებდა



ინტერვიუ გაბრიელა საბატინისთან »»» 16

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუპერთასი

# ცობელის პირველი ტიტული

03.12. თბილისი. მ. მესხი
4000 მაყურებელი

**დინამო-ზესტაფონი**

**1:0**

1:0 ხმალაძე (90, დილმელაშვილის პასით)

დინამო: ოვონო - თომაშვილი, გ. კაშია, კრშკო, ხმალაძე - ოდიკაძე (78. შ. კაშია), დილმელაშვილი, ფირცხალავა, გველესიანი - გ. მერებაშვილი (78. სპასოევიჩი), ვანაძე

*სათადარიგოები: ლორია, ინწკირველი, ნ. ჯიშკარიანი, ქანთარია, ჯუისი*

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე - ლობჟანიძე, შ. ლონლაძე (89. დაუშვილი), ს. თოდუა, მაკარიანი - ნ. კვასხვაძე (46. იონანიძე), გ. ჭელიძე, რ. ონიანი, ჩასემი, ბენაშვილი - გელაშვილი (65. ძარია)

*სათადარიგოები: ძაძამია, ბოიომო, ხიდეშელი, სტეფანიშვილი*

გაფრთხილება: ვანაძე (20), გ. კაშია (70)

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

...ასეთი რამ ვერც გაგვიხსენებია: ერთი კვირის განმავლობაში ერთი და იმავე მეტოქეების ორ პრინციპულ დაპირისპირებას აბსოლუტურად იდენტური ფინალი ჰქონდა. შვიდი დღის წინ, საქართველოს თასის განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩის მეორე დამატებითი ტაიმის ბოლო წუთზე დინამოელმა **ლევან ხმალაძემ** სტუმართა კარში თავური დარტყმით შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა. გუშინ, სუპერთასის მერვე გათამაშების ძირითადი დროის დასრულებამდე ასევე წამები რჩებოდა, რომ... იმავე ლევან ხმალაძემ კვლავაც თავური დარტყმით გამარჯვების გოლი გაიტანა. ორივე შემთხვევაში გოლი მარცხენა ფლანგიდან შესრულებულ საჯარიმო დარტყმას მოჰყვა; ორივეჯერ „დინამოს" აწ უკვე მარცხენა მცველმა „ზესტაფონის" მცველთა წამიერი მოდუნებით ისარგებლა; თუმცა სხვაობაც იყო ამ ორ შეხვედრას შორის: პირველ შემთხვევაში საგოლე პასის ავტორად **დავით ოდიკაძე** მოგვევლინა, გუშინ კი - **დავით დილმელაშვილი**. ამასთან, სათასო მატჩისგან განსხვავებით, გუშინ „ზესტაფონის" ფეხბურთელები დიდხანს და ემოციურად აპროტესტებდნენ შეხვედრის მიწურულს გაშვებულ გოლს: მათი აზრით, ლევან ხმალაძე თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა! საბედნიეროდ, სუპერთასის მერვე გათამაშება სკანდალურად არ დასრულებულა; თუმცა, მეორე მხრივ, „ზესტაფონის" ფეხბურთელთა მდგომარეობაშიც უნდა შევიდეთ - მართლაც მტკივნეულია ზედიზედ ორჯერ ასეთ დრამატულ მატჩებში დამარცხება...

სუპერთასის მატჩი, თავისთავად, დიდ ინტერესს იწვევდა, მაგრამ არანაკლებ ინტრიგას ქმნიდა „ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელის რანგში **გია გეგუჩაძის** პირველი შეხვედრაც. ახალმა თავკაცმა, როგორც მოსალოდნელი გახლდათ, შემადგენლობაში გარკვეული კორექტივები შეიტანა - ერთი კვირის წინანდელი სათასო შეხვედრისგან განსხვავებით „ზესტაფონის" ძირითადში ხუთი ახალი ფეხბურთელი ვიხილეთ. თუმცა, ყველაზე დიდი მოულოდნელობა დაცვის მარცხენა ფლანგზე **კარენ მაკარიანის** გამოჩენა იყო- წინა სეზონში ეს ფეხბურთელი „ბათუმში" გამოდიოდა, ამ ჩემპიონატში კი „ზესტაფონი-2"-ში თამაშობდა. ისიც ვივარაუდეთ, რომ გეგუჩაძე ახალ გუნდში ტაქტიკურ განლაგებასაც შეცვლიდა და ასეც მოხდა. ეგ კი არა, 90 წუთის განმავლობაში, „ზესტაფონი" სულ ცოტა სამჯერ „გადაეწყო"! თავდაპირველად, გეგუჩაძისთვის „საყვარელი" 4-2-3-1 ვიხილეთ (თანაც, ზოგ ფეხბურთელს ამპლუები ჰქონდა შეცვლილი): დაცვაში მარჯვნივ **უჩა ლობჟანიძე** იყო, მარცხნივ - კარენ მაკარიანი, ცენტრში - **სევასტი თოდუა** და **შალვა ლონლაძე**; საყრდენების როლში **როინ ონიანი** და **გიორგი ჭელიძე** ასპარეზობდნენ; მათ წინ შემდეგი სამეული მოქმედებდა: მარჯვნივ - **ნიკა კვასხვაძე**, ცენტრში - **ერიკ-რომეო ჩასემი** და მარცხნივ - **ალექსი ბენაშვილი**; ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი კი **ნიკა გელაშვილი** გახლდათ.

მეორე ტაიმში, **ზურაბ იონანიძის** მოედანზე გამოსვლის შემდეგ, ბენაშვილმა მარჯვნივ გადაინაცვლა, ხოლო ვეტერანი ფეხბურთელი ჯერ მარცხენა გარემარბად მოგვევლინა, მერე კი უკვე ჩასემს შეუწყვილდა თავდასხმაში. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ცენტრფორვარდ გელაშვილის ნაცვლად გეგუჩაძემ შემტევი ნახევარმცველი **ირაკლი ძარია** გამოიყვანა. აი, იმ დროს „ზესტაფონი" უკვე 4-4-2-ით თამაშობდა.

ბოლო „გადაწყობა" 89-ე წუთზე მოხდა, როცა მოედანზე **მურთაზ დაუშვილი** გამოჩნდა და ახალგაზრდა „საყრდენმაც" ჩვეული პოზიცია დაიკავა. სამაგიეროდ, უკვე დაცვის ცენტრში ვიხილეთ როინ ონიანი. მოკლედ, ახლავე ცხადი ხდება, რომ გეგუჩაძე სამომავლოდ სერიოზულ ცვლილებებს გეგმავს და ეს ძიების პროცესიც, ალბათ, ზამთრის პაუზამდე მოესწრება.

„დინამოს" რაც შეეხება, **რაინერ ცობელს**, როგორც მოსალოდნელი იყო, შემადგენლობაში კორექტივები არ შეუტანია. თუ არ ჩავთვლით ტრავმირებული **გიორგი ნერგაძის** ნაცვლად **ნიკოლოზ ფირცხალავას** გამოჩენას. გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ „დინამოს" ახალგაზრდა საყრდენმა ჯერჯერობით ხანმოკლე კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ტექნიკურ ნახევარმცველს პასიც არ დაეწუნება, სწრაფადაც აზროვნებს და ორთაბრძოლებშიც თამამად შედის - მოკლედ, ყველა თვისება აქვს, თანამედროვე „საყრდენად" რომ ჩამოყალიბდეს.

სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ტრიბუნებზე 4 000-მდე ქომაგის გამოჩენა - თამაშსაც თავისებური პეწი მიეცა და მოედნის საფარიც რომ „ოდნავ" უკეთეს მდგომარეობაში ყოფილიყო, აი, მაშინ, მართლაც, დიდებულ სანახაობას ვიხილავდით. თუმცა, მთლიანობაში ორგანიზატორებისა თუ ორივე გუნდის მიმართ სასაყვედურო არაფერი გვაქვს და ნამეტნავად გრძელი შესავლის მერე, ალბათ, დროც არის (?!), უშუალოდ შეხვედრაზეც ვისაუბროთ...

„დინამომ" პირველი წუთებიდანვე შეუტია მეტოქეს და უკვე მესამე წუთზე **გიორგი მერებაშვილის** პასს **ოლეგ გველესიანის** სახიფათო თავური დარტყმა მოჰყვა. ტაიმის ბოლომდე „დინამო" მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა და ორჯერ დავით ოდიკაძემ საშუალო მანძილიდან სცადა გოლის გატანა. პირველ ეპიზოდში კვლავაც დამაჯერებლად მოასპარეზე როინ კვასხვაძემ შეარჩია სწორი პოზიცია, მეორეში კი „დინამოს" კაპიტნის დარტყმა არაზუსტი აღმოჩნდა. „ზესტაფონმა" მხოლოდ ერთხელ შეუტია სახიფათოდ: გიორგი ჭელიძის შორი რეიდი მაკარიანის არაზუსტი დარტყმით დასრულდა. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ზესტაფონის" მარცხენა მცველი ერთობ მახვილი კუთხიდან ასრულებდა ამ დარტყმას. პირველ ტაიმში „დინამომ" მეტოქეს მკაცრი პრესინგი შესთავაზა, თანაც „ზესტაფონის" ორი წამყვანი ფეხბურთელი - ნიკა კვასხვაძე და ნიკა გელაშვილი არანაკლებ მკაცრი მეურვეობის ქვეშ მოექცნენ.

შესვენების მერე იონანიძის გამოჩენას მაშინვე სახიფათო მომენტი მოჰყვა „დინამოს" კართან - ვეტერანმა ფორვარდმა ბურთი აკრობატულ ნახტომში დაარტყა, ოღონდ, მცირეოდენ არაზუსტად. საერთოდაც, მეორე ტაიმის პირველი 20-25 წუთი „ზესტაფონი" მეტოქეზე აქტიურად და უკეთესად გამოიყურებოდა. ერთ ეპიზოდში როინ ონიანის გრძელ გადაცემას ნიკა გელაშვილის თავური მოჰყვა, მეორედ ჩასემმა შეამოწმა **დიდე ოვონოს** საიმედოობა. ასევე ორი, მეტ-ნაკლებად დასამახსოვრებელი მომენტი ჰქონდა „დინამოსაც": ჯერ დავით დილმელაშვილი ცდილობდა ოსტატური დარტყმით გოლის გატანას, მერე კი **მათე ვაწაძის** თავური დარტყმა მიზანს ოდნავ ასცდა.

ამასობაში მწვრთნელებმა ცვლილებებს „მოუხშირეს" და, სწორედ შეცვლაზე შემოსულ ფეხბურთელს შეექმნა კიდეც მატჩის ყველაზე რეალური მომენტი: **ილია სპასოევიჩის** ბურთთან პირველივე შეხება შორეული და ძლიერი დარტყმით დასრულდა. ბურთი უცნაური ტრაექტორიით წავიდა და... „ზესტაფონის" კარის ხარიხას მოხვდა! შეხვედრის ბოლოსწინა წუთზე ჩასემს შეეძლო თავის გამოჩენა, მეტოქის საჯარიმოში ხელსაყრელ პოზიციაზეც აღმოჩნდა, მაგრამ **მილოშ კრშკომ** ივაჟკაცა და დროული „დაფარებით" სახიფათო სიტუაცია განმუხტა.

მერე კი „ზესტაფონელთათვის" ის ავბედითი ჯარიმაც დაინიშნა, ზემოთ რომ ვისაუბრეთ: კვლავაც "დაბზრიალებული" ბურთი და კვლავაც ლევან ხმალაძის ზუსტი თავური დარტყმა! დარტყმა, რომელმაც „დინამოს" სუპერთასზე მეხუთე გამარჯვება მოუტანა!..



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

### მატჩის შემდეგ

**გია გეგუჩაძე** („ზესტაფონი"): „ძალიან დასანანია, ზედიზედ მეორე შეხვედრას გუნდი ბოლო წუთზე გაშვებული გოლის გამო რომ აგებს. მართალია, ორივე კართან სახიფათო მომენტები ბევრი არ ყოფილა, მაგრამ დაძაბულობაც იყო და თამაშიც საინტერესო სანახავი გახლდათ. ჩვენს კარში გატანილ გოლზე კომენტარს არ გავაკეთებ; უბრალოდ, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ დაინტერესებულმა პირებმა, ჯობია, ეს ეპიზოდი ვიდეოფირზე ნახონ."

...მაკარიანი მეორე გუნდის რამდენიმე მატჩში ვნახე და მომეწონა. მიმაჩნია, რომ დღეს ნორმალურად ითამაშა. საერთოდაც, გაძლიერების გზებს ვეძებდით და ამიტომაც შევცვალეთ რამდენჯერმე სათამაშო განლაგება.

**რაინერ ცობელი** („დინამო"): „მეტოქეს და კონკრეტულად, ჩემს კოლეგას კომპლიმენტი მინდა ვუძღვნა - „ზესტაფონი" დღეს უკეთესად გამოიყურებოდა, ვიდრე სათასო შეხვედრის დროს. სპეციფიკური თამაში იყო - სახიფათო მომენტები ნაკლებად გახლდათ და უფრო ტაქტიკური ჭიდილის კარნახით მიმდინარეობდა. რაღა თქმა უნდა, ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ ჩემი ფეხბურთელები გამარჯვების მომტან ერთადერთ შანსს იყენებენ. ალარაფერს ვამბობ იმ გრძნობაზე, ახლა რომ მაქვს - ეს ხომ ჩემი პირველი ქართული ტიტულია!.."



დინამოს გოლს მატჩის შემდეგ ზესტაფონის ფეხბურთელთა უკმაყოფილება მოჰყვა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**გია ტუხაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მატჩის შემდეგ

**ნიკა ფირცხალავა,**
**დინამო**

- წელს, უმთავრესად, მცველად მათამაშებდნენ. თუმცა მე ცენტრალური ნახევარმცველი ვარ და ბუნებრივია, ამ პოზიციაზე მირჩევნია თამაში. დღეს ცობელმა შანსი მომცა და მიხარია, რომ გუნდს მოგებაში დავეხმარე. ბოლო წამზე გატანილი გამარჯვების გოლი ორმაგად სასიხარულოა. რაც შეეხება ზესტაფონელთა პროტესტს, არ ვიცი ზუსტად, რა მოხდა საჯარიმოში, იყო თუ არა თამაშგარე მდგომარეობა, მაგრამ ფაქტია, მსაჯის გადაწყვეტილებას ვერავინ შეცვლის.

**დავით ოდიკაძე,**
**დინამო**

- კარგია, რომ მოსაგებად 90 წუთი გვეყო. მეტოქეს რაღაც სხვა ჰქონდა გეგმაში, მაგრამ ხელი შევუშალეთ. დიდი მადლობა გულშემატკივარს, ძალიან გახარებული ვარ. წელს ორი ჯილდო მოვიგეთ.

**ნიკა კვასხვაძე,**
**ზესტაფონი**

- ჩემი აზრით, თამაშგარე იყო. თასის მეოთხედფინალშიც ხმალაძის გოლზე გვქონდა პრეტენზია: ისიც ოფსაიდი იყო და ესეც. ასე რომ, გულდაწყვეტილი ვართ მსაჯებზე. ასე არ შეიძლება. სულ ასეთ მდგომარეობაში ვართ - გინდა ზესტაფონში ვთამაშობდეთ და გინდა გასვლაზე.

**რონ კვასხვაძე,**
**ზესტაფონი**

- პრეტენზია იმიტომ გაგვიჩნდა, რომ ხმალაძე მცველების წინ იდგა და აშკარა თამაშგარედან გაგვიტანა. რა თქმა უნდა, დინამოელმა რაღაც მოძრაობა გააკეთა, მაგრამ გვერდით მსაჯს უნდა შეენიშნა, რომ გოლი წესების დარღვევით გავიდა. რაც შეეხება მთლიანად მატჩს, ვფიქრობ, თანაბარი თამაში იყო და მოგება ჩვენც შეგვეძლო.

**მერაბ მამულაშვილი**

● ინტერვიუ

ზურაბ იონანიძე



ზურაბ იონანიძის მაკრატელა სუპერთასის მატჩში

# ძალიან მიჭირს წასვლა

## ეროვნული ჩემპიონატების ბომბარდირი შვილის იმედადაა

2 დეკემბერს ზურაბ იონანიძეს 37 წელი შეუსრულდა. ის მთელი ცხოვრება 2-ნომრიანი მაისურით თამაშობდა და ერთადერთი ქართველი ფეხბურთელია, რომელმაც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში 200-გოლიან ზღვარს გადააბიჯა. „ზესტაფონამდე" მას წყალტუბოს „სამგურალში", ქუთაისის „ტორპედოში", სოჭის „ჟემჩუჟინასა" და სიმფეროპოლის „ტავრიაში" უთამაშია. ამას გარდა, ოთხჯერ მოირგო ეროვნული ნაკრების მაისურა და ერთი გოლიც გაიტანა...

რაც უნდა უცნაური იყოს, ზურაბს სუპერთასზე სულ ორჯერ მოუწია თამაშმა და ორივეჯერ თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ - პირველად, 2000 წელს, როცა „დინამომ" საქართველოს თასის მფლობელ ქუთაისის „ტორპედოს" მინიმალური ანგარიშით (1:0) მოუგო. ეს ინტერვიუ სუპერთასის მატჩის შემდეგ შედგა...

- ზურაბ, შეიძლებოდა, დღეს შვილის გვერდით გეთამაშა... მახსოვს, მამა-შვილი მეგრელაძეები „ტორპედოში" ერთად რომ აგორებდნენ ბურთს...

- შვილთან ერთად თამაში აღარ მომიწევს. ის მხოლოდ 10 წლისაა.

**- შვილსაც ფეხბურთელად ზრდი?**

- დიახ, ფეხბურთზე დამყავს და დიდი იმედი მაქვს, რომ მომავალი ფეხბურთელი უნდა გავზარდო, თან ჩემზე გაცილებით უკეთესი.

**- რამდენი წელია, რაც ფეხბურთს თამაშობ?**

- ბავშვობის პერიოდსაც თუ მივათვლით, 30 გამოდის.

**- მთავარი, რაც ფეხბურთიდან გამოგყვა?**

- ფეხბურთი უზომოდ მიყვარს და მის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია.

**- კარიერაში ისეთი შეცდომა თუ დაგიშვია, რომელსაც დღემდე ძალიან ნანობ?**

- თუ დამიჯერებთ, არ დამიშვია. მთელი ცხოვრება მონდომებული ვიყავი და თუკი რაიმე მცირედს მაინც მივაღწიე, ამ მონდომების შედეგია.

**- შენი 200 გოლიდან რომელი იყო ყველაზე დასამახსოვრებელი?**

- იმდენი გავიტანე, რაღა მახსოვს ახლა, რომელი იყო ლამაზი? ის კი ნამდვილად მახსოვს, რომ თითოეული გოლი გუნდისთვის სასარგებლო იყო.

**- დრო გადის და, ალბათ, გული გწყდება. ფეხს კი ითრევ, მაგრამ ფეხბურთიდან წასვლა მაინც მოგიწევს...**

- რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია წასვლა. დიდად არც მინდა, მაგრამ როდემდე ვითამაშებ?

**- კარიერის შემდეგ რას აპირებ?**

- ალბათ, ისევ ფეხბურთში დავრჩები, მაგრამ რა როლში, ჯერ არ ვიცი, ამას მომავალი მაჩვენებს.

**- დღეს მეორედ მოგეცა სუპერთასის მოგების შანსი, მაგრამ ისევ დამარცხდი...**

- სუპერთასზე დღეს პირველად ვითამაშე...

**- როგორ? 2000 წელს ქუთაისის „ტორპედო" თბილისში „დინამოსთან" 0:1 დამარცხდა, შენ ხომ შეუცვლელად ითამაშე?**

- დიახ, დიახ, მართალი ბრძანდებით... საერთოდ, გულმავიწყი არ ვარ, მაგრამ დღევანდელმა ნაგებამ ისე დამწყვიტა გული, 8 წლის წინანდელი ამბავი სულ დამავიწყდა... ძალიან დასანანი მარცხი იყო. რაც მოხდა, სირცხვილია და მეტი არაფერი. თავდამსხმელის და მცველს შორის მანძილი მცირე რომ ყოფილიყო, გავიგებდით, რომ შეცდა. არადა, ლამის ორმეტრიანი თამაშგარე იყო.

**- მსაჯს თქვენი ჯინი სჭირდა თუ რა იყო?**

- თასის მეოთხედფინალშიც თამაშგარე მდგომარეობიდან გაგვიტანეს და დღესაც. აბა, რა უნდა ვიფიქრო?!

**- როგორ ფიქრობ, სუპერთასის მოპოვების შანსი კიდევ გექნება?**

- რა გითხრათ... კიდევ ერთი წელი მინდა, რომ ვითამაშო... ალბათ, მერე ფეხბურთიდან წავალ.

**- არ დაინტერესებულხარ, როგორ უყურებს გია გეგუჩაძე „ზესტაფონში" შენს მომავალს?**

- არ ვიცი, ამას თავად ბატონი გია გადაწყვეტს... თუმცა მისი მოსვლის დღიდან კეთილგანწყობას ვგრძნობ.

**მერაბ მამულაშვილი**

● ინტერვიუ

ლევან ხმალაძე

# თავს დავდებ, სუფთა გოლი იყო!

## ხმალაძე უფრო მნიშვნელოვან გოლებსაც უმიზნებს

სუპერთასის მერვე გათამაშება უკვე ისტორიის საკუთრებაა. ეს ტიტული „დინამომ" მეხუთედ მოიპოვა. მატჩის ერთადერთი გოლი კი თბილისელთა გუნდის ნახევარმცველ ლევან ხმალაძის ანგარიშზეა, რომელიც ბოლო მატჩებში მარცხენა მცველის ამპლუაში გვევლინება. ხმალაძის მიერ გუშინ გატანილი თავური და საერთოდ, საგოლე ეპიზოდი, ჰგავდა იმ გოლს, რომელიც მან იმავე „ზესტაფონს", 26 ნოემბერს, თასის გათამაშების საპასუხო მეოთხედფინალურ შეხვედრაში გაუტანა.

მატჩის შემდეგ ხმალაძე მცირე ხნით გამოვტაცეთ გახარებულ დინამოელებს. საუბარი მატჩის შეფასებით დავიწყეთ.



ლევან ხმალაძე

- ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ ერთი გოლის მიუხედავად, თამაში დაძაბული და საინტერესო გამოვიდა. ხიფათი ორივე კართან შეიქმნა, მაგრამ საერთო ჯამში სუპერთასი დამსახურებულად მოვიგეთ. ბედნიერი ვარ, რომ ამ ერთადერთი გოლის ავტორობა მე მერგო წილად. თუმცა ეს მოგება მხოლოდ ჩემი კი არა, მთლიანად გუნდის დამსახურებაა, ბუნებრივია, მწვრთნელების თავკაცობით.

**- რამდენად მნიშვნელოვანია ეს გოლი შენს კარიერაში?**

- მნიშვნელოვანია თუნდაც იმ მხრივ, რომ გოლების სიმრავლით არ გამოვირჩევი. თუმცა ძალიან მინდა, რომ ამაზე მნიშვნელოვანი გოლებიც გავიტანო.

**- ზესტაფონელები აპროტესტებდნენ, თამაშგარე მდგომარეობა იყოო...**

- არანაირი თამაშგარე, თავს დავდებ, სუფთა გოლი იყო. რაც მთავარია, დარტყმის მომენტში მცველების უკან ვიყავი, მერე კი ბურთი იმდენ ხანს მოფრინავდა... გეუბნებით, ასპროცენტიანი გოლი იყო, ესეც და ისიც, „ზესტაფონს" მეოთხედფინალში რომ გავუტანე.

**- ერთკვირიან შუალედში ორი მნიშვნელოვანი გოლის ავტორი გახდი...**

- ეტყობა, ჩემი დროც მოვიდა. თან გამიმართლა კიდეც და ამისთვის ღმერთს მადლობას ვუხდი. რა თქმა უნდა, მადლობა თანაგუნდელებსაც, რადგან მომენტი სწორედ მათ შემიქმნეს.

**- მეორე ტაიმი მთლად კარგად ვერ დაიწყეთ, მაგრამ მერე კი შემოაბრუნეთ თამაში. რა მითითება მოგცათ ცობელმა?**

- ძნელია მთელი მატჩის ერთ დონეზე ჩატარება. „ზესტაფონს" რამდენიმე წუთის განმავლობაში ჰქონდა მცირე უპირატესობა, მაგრამ მეტოქემ ამით ვერ ისარგებლა... ცობელმა კი შესვენებაში უფრო აქტიური თამაში დაგვავალა. ეს იყო და ეს.

**- ამ ბოლო ხანს მარცხენა მცველად გიწევს თამაში. ამ პოზიციაზე ადრეც თამაშობდი. მაინც, სად გირჩევნია თამაში?**

- ამპლუით ნახევარმცველი ვარ და შუაში მირჩევნია თამაში, მაგრამ როცა გუნდს სჭირდება, მწვრთნელი სადაც დამავალებს, იქ ვითამაშებ. მარცხენა მცველის პოზიცია ჩემთვის ახალი ხილი არ არის. გია გეგუჩაძე რომ იყო „დინამოში", მაშინ სწორედ ამ ადგილას ვთამაშობდი.

**- სუპერთასი კი მოიგეთ, მაგრამ წინ კიდევ ორი ტიტულისთვის გელით ბრძოლა. მზად არის „დინამო" ამისთვის?**

- ნახევარფინალში ვართ და რაღა დარჩა ფინალამდე - ორი წარმატებული მატჩი, მერე ერთი დიდი ძალისხმევაც და... ისე, ჯერ ვნახოთ, ვისთან დაგვაწყვილებს წილისყრა ნახევარფინალში. მაგრამ სიმართლე გითხრათ, ვინც არ უნდა იყოს, მნიშვნელობა არ აქვს. როცა უმაღლეს მიზანს ისახავ, ნებისმიერი მეტოქის დასამარცხებლად მზად უნდა იყო. ვფიქრობ, „დინამო" ამისთვის ნამდვილად მზად არის. არც ჩემპიონის ტიტულს დავთმობთ.

**- ორ ფრონტზე ბრძოლა არ გაგიჭირდებათ?**

- არა, რადგან დარწმუნებული ვარ, „დინამოში" საამისოდ საკმარისი პოტენციალია, ჩინებული შემადგენლობა გვყავს და პრობლემებს არ ველოდებით.

**- ზამთარში სატრანსფერო პერიოდია. ამ დროს, ზოგი გუნდი ძლიერდება, ზოგი კი პირიქით - სუსტდება...**

- „დინამო" თუ არ გაძლიერდა, დასუსტებით ნამდვილად არ დასუსტდება.

**- ახლა ნაკრებზე გკითხავ. ექტორ კუპერმა რამდენჯერმე გამოგიძახა ეროვნულ გუნდში. მოედანზე თითქოს არ ჩანხარ, მაგრამ დიდ „შავ" სამუშაოს კი ასრულებ. ასე ფიქრობენ სპეციალისტებიც...**

- კუპერს მადლობას ვუხდი ასეთი ნდობისთვის. ამხელა დონის მწვრთნელმა ნაკრებისთვის საჭირო ფეხბურთელად რომ ჩამთვალა, ჩემთვის ეს ძალიან ბევრს ნიშნავს... რაც შეეხება „შავ" სამუშაოს, მოედანზე ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები და ყველანაირად ვცდილობ, გუნდს არაფერი მოვაკლო. ეტყობა, რადგან ნაკრების მწვრთნელიც მენდობა და კლუბშიც რეგულარულად ვთამაშობ, საქმე ცუდად არ გამომდის. საკუთარ თავზე მუშაობას ვაგრძელებ. თებერვლამდე ნაკრები არ თამაშობს და მინდა, მანამდე უკეთეს ფორმაში ვიყო.

**დავით ცაბაძე**

● მოსალოდნელი ტრანსფერი

# ოდიკაძე: დიორიც და ზაპოროჟიეც

სად გააგრძელებს კარიერას საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" ნახევარმცველი **დათო ოდიკაძე?** უახლოეს პერიოდში ეს კითხვა კიდევ უფრო აქტუალური გახდება. 27 წლის კაპიტანს მალე „დინამოსთან" კონტრაქტი დაუმთავრდება და თავისუფალი აგენტი გახდება. შესაბამისად, არჩევანსაც თავად გააკეთებს. შეგახსენებთ - სეზონის დაწყებიდან დიდი დრო არ იყო გასული, **რაინერ ცობელის** გადაწყვეტილებით ოდიკაძე „დინამოს" კაპიტნად რომ დანიშნეს.

რაც შეეხება მის არჩევანს. რამდენიმე სანაკრებო მატჩი და დამაჯერებელი თამაში ეროვნულ ჩემპიონატში - ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ოდიკაძისთვის უცხოელებსაც მიექციათ ყურადღება.

„ლელო" უკვე წერდა, რომ მისით პოპულარული უნგრული კლუბი „დიორ ეტოა" (დღესდღეობით, 16-გუნდიან ჩემპიონატში მე-13 ადგილზეა) დაინტერესებული. სხვათა შორის, ეს გუნდი წელს უეფას თასზე „ზესტაფონის" მეტოქე იყო. ინფორმაცია კი უტყუარ წყაროს ეყრდნობა. ერთი მნიშვნელოვანი ამბავიც - 1 დეკემბერს უნგრელები „დინამოს" კაპიტანს კიდევ ერთხელ დაუკავშირდნენ...

პლუს ამას, ზაპოროჟიეს „მეტალურგი" ოდიკაძეს ჯერ კიდევ ორი წლის წინ აკვირდებოდა. უკრაინული კლუბი ბოლო პერიოდში ისევ გააქტიურდა. თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. დავითთან სწორედ ამის თაობაზე გვსურდა გასაუბრება, მაგრამ მან პირდაპირ პასუხს თავი აარიდა. აი, ოდიკაძის კომენტარიც:

„მართალია, თბილისის „დინამოსთან" კონტრაქტი მიმთავრდება, მაგრამ კლუბი დაინტერესებულია, რომ დავრჩე. არც მე ვარ წინააღმდეგი, „დინამო" ჩემი საყვარელი გუნდია და აქედან წასვლაზე საუბარი ნაადრევია. არ დავმალავ, რომ გარკვეული წინადადებები მივიღე, მაგრამ ვერაფერს დავაკონკრეტებ მანამ, ვიდრე „დინამოსთან" ურთიერთობებს არ გავარკვევ".

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

U 19. შესარჩევი ციკლის შემდეგ — ზვიად ქანთარია

# ჩემი დროც მოვა

## ჩვენი გუნდის მთავარი სისუსტე საგოლე მომენტების გამოუყენებლობა იყო...

19-წლამდელთა ნაკრებში გამოჩნდა ახალი ფორვარდი, რომელსაც სტაბილურ მეგოლედ ჩამოყალიბებისთვის საკმარისი პოტენციალი გააჩნია. ახლახან კვიპროსში ჩატარებულ 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ რაუნდში ზაურ სვანაძის გუნდმა 2 ბურთი გაიტანა. აქედან, ერთი გოლის ავტორი თბილისის „დინამოს" ფორვარდი ზვიად ქანთარიაა. ამას გარდა, მან ერთი საგოლე პასიც გააკეთა. აქვე დავძენთ, რომ ჯგუფურ რაუნდამდე, იტალიაში გამართული მოსამზადებელი შეკრებისას, ზვიადმა ერთ ამხანაგურ შეხვედრაშიც გაიტანა გოლი. ქანთარია იმითიც გამოირჩევა, რომ არა მარტო შეტევის დაგვირგვინება ხელეწიფება, ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე თავადვე ქმნის საგოლე მომენტს და ამით პარტნიორებსაც უწყობს ხელს. გადავწყვიტეთ, საინტერესო ახალგაზრდა თავდამსხმელი „ლელოს" მკითხველისთვისაც გაგვეცნო...

**- ზვიად, საუბარი ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური რაუნდის შეფასებით დავიწყოთ...**

- მიმაჩნია, რომ ჩვენმა გუნდმა შესაძლებლობის მაქსიმუმი აჩვენა. ცოტაც არ გაგვიმართლა, თორემ ელიტრაუნდში გასვლას ნამდვილად ვიმსახურებდით. გაუმართლებლობაში მხოლოდ მეკარის მიერ დაშვებულ შეცდომებს არ ვგულისხმობ, უამრავი საგოლე მომენტიც გავანიავეთ... განსაკუთრებით პირველი მატჩი ჩავატარეთ მაღალ დონეზე. დანიას შესანიშნავი გუნდი ჰყავდა. ჩვენ მათ თამაშით აშკარად ვაჯობეთ, მაგრამ რად გინდა, შეცდომების გამო ორი გოლი მივიღეთ და ყველაფერი წყალში ჩაგვეყარა. არადა, 2:0-ზე მეც მქონდა კარგი საგოლე მომენტი და დანიელთა მეკარეს „მკვდარი ბურთი" რომ არ აეღო... კვიპროსთან მატჩს რაც შეეხება, ამ თამაშში თითქოს დაღლილები ვიყავით. უფრო ცოცხლად რომ გვეთამაშა, კვიპროსს ნამდვილად მოვუგებდით და ელიტრაუნდში გავიდოდით კიდეც. ჩეხეთთანაც ვერ გამოვიყენეთ კარგი საგოლე მომენტები... გული მწყდება... ისე, თამაშების განრიგმაც არ შეგვიწყო ხელი...

**- რას გულისხმობ?**

- პირველი მატჩი კვიპროსთან რომ გვქონოდა, მოვიგებდით. ჯგუფურ რაუნდს გამარჯვებით რომ დაიწყებ, ეს დიდი სტიმულია.

**- გოლი და საგოლე პასი, ასეთია შენი მიღწევა კვიპროსზე, რაც მთლიანი გუნდური მონაგარის ნახევარია. კმაყოფილი ხარ თუ მეტიც შეგეძლო?**

- არა, კმაყოფილი როგორ ვიქნები?! ერთი კი არა, ბარე სამი-ოთხი მაინც უნდა გამეტანა, მაგრამ... საგოლე მომენტების გამოუყენებლობა ჩვენი გუნდის მთავარი სისუსტე აღმოჩნდა.

**- „დინამოში" თამაში თითქმის არ გიწევს, ალბათ, დიდი კონკურენციის გამო. მაგრამ დუბლებშიც იშვიათად ჩნდები. რა არის ამის მიზეზი?**

- როცა გუნდს ვჭირდები, დუბლებში მაშინ ვთამაშობ. მართალი ხართ, მთავარ გუნდში კონკურენცია დიდია, მაგრამ ამისი არ მეშინია, სხვა გზა არ მაქვს, უნდა ვიბრძოლო და ძირითად შემადგენლობაში თამაში შრომით დავიმსახურო. 19-წლამდელთა ნაკრებში თამაში სამომავლოდ აუცილებლად გამომადგება. იტალიასა და კვიპროსზე სულ 5 მატჩი ჩავატარე და ვგრძნობ, რომ ახლა უკეთეს ფორმაში ვარ.

**- პერსპექტივაზე რას ფიქრობ?**

- ვგრძნობ, უფრო მაღალ დონეზეც შემიძლია თამაში. გავაგრძელებ საკუთარ თავზე მუშაობას და მჯერა, ჩემი დროც მოვა.

**- ისევ 19-წლამდელთა ნაკრებს დავუბრუნდეთ. თავდასხმაში შენ და ირაკლი შეყილაძე იყავით. რამდენად კარგი ტანდემი გამოვიდა?**

- შეყილაძე მართლაც კარგი თავდამსხმელია. იოლად გავუგეთ ერთმანეთს, შეთამაშება არ გაგვჭირვებია.

**- შენი პლუსი ისაა, რომ თავადვე ქმნი საგოლე მომენტებს, რაც ფართო დიაპაზონზე მეტყველებს...**

- მოდით, ეს მწვრთნელებმა და სპეციალისტებმა შეაფასონ. საკუთარ თავზე ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს.

**- ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ ფორვარდებს მაინცდამაინც არ უყვართ პასის მიცემა...**

- თუ ვხედავ, რომ თანაგუნდელი ჩემზე უკეთეს პოზიციაშია, რა თქმა უნდა, პასს მივცემ...

**- პირველ რიგში რომელი კომპონენტები გაქვს დასახვეწი?**

- გახსნის დროს მეტი მოძრაობა მჭირდება, თავით თამაშზეც მაქვს სამუშაო...

**დავით ცაბაძე**


ზვიად ქანთარია

ლეგიონერი

# მუჯირმა დავა მოიგო

## ირანში კორუფცია არ ყოფილა

**ჯაბა მუჯირი** და ისპაჰანის „სეპაჰანი" - დავა ზაფხულში დაიწყო და ახლახან დასრულდა. შეგახსენებთ, რომ „სეპაჰანში" მწვრთნელის შეცვლას ის მოჰყვა, რომ კლუბმა ჩვენებურ მცველზე უარი თქვა, თანაც იმ დროისთვის სატრანსფერო ფანჯარა უკვე იხურებოდა და ჯაბამ სხვა გუნდში გადასვლა ვერ მოახერხა. ფეხბურთელი კლუბისგან კონტრაქტით გათვალისწინებულ თანხას ითხოვდა, მაგრამ ფულს არ უხდიდნენ. მუჯირმა ირანის ფეხბურთის ფედერაციაში იჩივლა და უკიდურეს შემთხვევაში, ფიფაშიც აპირებდა საჩივრის გაგზავნას. ჯაბა ორი დღის წინ ჩამოვიდა თბილისში და ახალი ამბავიც გვითხრა...

- ირანის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა განიხილა საჩივარი და ვერდიქტი ჩემს სასარგებლოდ გამოიტანა. ამის მერე „სეპაჰანმა" აპელაცია შეიტანა და საქმის ხელახალი განხილვა მოეწყო, მაგრამ სადისციპლინო კომიტეტმა კვლავ ჩემი მხარე დაიჭირა.

**- ანუ ყველაფერი დასრულებულია და „სეპაჰანისგან" კუთვნილ თანხას მიიღებ?**

- როცა მეორედაც ჩემს სასარგებლოდ გამოიტანეს განაჩენი, „სეპაჰანი" მოლაპარაკებაზე წამოვიდა. ამ კლუბთან კონტრაქტი გაისად, ივლისში მეწურება და ერთი წლის ხელფასი მეკუთვნოდა. შევთანხმდით, რომ „სეპაჰანი" კუთვნილი თანხის მესამედს გადამიხდის. თან უკვე თავისუფალი აგენტის სტატუსიც მაქვს...

**- „სეპაჰანში" დარჩენაზე ლაპარაკი არ ყოფილა?**




- არა, მწვრთნელი ერთი თვის წინ კი შეცვალეს, მაგრამ ასეთი კონფლიქტის შემდეგ „სეპაჰანში" დარჩენა გამორიცხული იყო.

**- სხვა იქაური კლუბებისგან არ გქონია შეთავაზება?**

- საჩივრისა და აპელაციის განხილვისას სადისციპლინო კომიტეტის ერთ-ერთი წევრი „საიფას" იურისტი გახლდათ და მან შემომთავაზა თავის კლუბში გადასვლა. ვნახოთ, რა გაგრძელება მოჰყვება ამ შეთავაზებას.

**- ირანის ფეხბურთის ფედერაციის ასეთი გადაწყვეტილება შენთვის მოულოდნელი იყო?**

- მართლაც არ ველოდი, თუ ფედერაცია ასეთი დიდი სიმპათიით განეწყობოდა ჩემ მიმართ. გამოდის, რომ ფედერაციაში კორუფცია არ არის. სადისციპლინო კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე ცოტა დამაგვიანდა და „სეპაჰანის" იურისტს უთქვამს, ჯაბა ირანიდან წასულიაო. როგორც კი კარი შევაღე, მას მკაცრი ტონით უთხრეს - აგერ არ არის ეს ფეხბურთელიო?!

**- აგვისტოს მოვლენების შემდეგ ირანში საქართველოს მიმართ ცუდი განწყობა იყო. ამ მხრივ თუ შეიცვალა სიტუაცია?**

- ისეთი მწვავე და რადიკალური განწყობა აღარ არის. საქართველოს მიმართ დამოკიდებულება აგვისტოს მოვლენებამდე გამწვავდა, როცა თბილისში ამერიკის წინააღმდეგ ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი ირანელი აგენტი დააკავეს. ირანული მხარე მის გადმოცემას ითხოვდა, მაგრამ დაკავებული არც ირანში გაუშვეს და არც საქართველოში დატოვეს - ამერიკელებს გადასცეს, რასაც თეირანის მხრიდან მკვეთრი რეაქცია მოჰყვა. აგვისტოს მოვლენების დროს კი ამბობდნენ, ოსეთში ისრაელის სამხედროები იბრძვიან, თან ქართველებს სამი მინისტრი ებრაელი ჰყავთ, მათ შორის, თავდაცვის მინისტრიცო. ირანული ტელევიზიები რუსულ არხებზე გასულ სიუჟეტებს ატრიალებდნენ, ცხინვალის რეგიონში მიმდინარე საომარ მოქმედებებზე.

**- ირანში თუ დარჩა ერთი ქართველი ფეხბურთელი მაინც?**

- მხოლოდ გიორგი მანწკავა, რომელმაც ახლახან პირველი ლიგის „ბანდარაბასთან" მოაწერა კონტრაქტს ხელი.

**- ქართული კლუბებისგან არ გაქვს წინადადება?**

- თბილისში ახლახან დავბრუნდი და ვნახოთ, როგორ იქნება საქმე. საფეხბურთო სკოლა „იმედში", 1991 წელს დაბადებულთა გუნდში დავიწყე ვარჯიში. ფორმა უნდა აღვიდგინო. ჩემთვის ახლა მთავარია, მალე დავიბრუნო ძველი კონდიციები.

**დავით თავართქილაძე**

ახალი თაობა

# პარმაში ქართველი აიყვანეს

## ვინ არის ლევან ელიზბარაშვილი?

მოგეხსენებათ, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ელიტრაუნდში მოხვდა. **გელა შეყილაძის** გუნდში ბევრი საინტერესო მოთამაშეა და მათით უკვე ევროპული კლუბებიც ინტერესდებიან. ორიოდ დღის წინ გაუწყეთ, რომ „პორტუში" ორ ქართველ ყმაწვილს - 16 წლის **გიორგი დიასამიძესა** და ამავე ასაკის **ავთანდილ ებრალიძეს** გასინჯავენ. შეგახსენებთ, რომ ასევე 16 წლის **ირაკლი შეყილაძე** ცოტა ხნის წინ სერია B-ში მოასპარეზე „ემპოლის" სარეზერვო გუნდში ჩაირიცხა.

მათ გზას დაადგა ამავე ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, საყრდენი ნახევარმცველი **ლევან ელიზბარაშვილიც**. როგორც გავიგეთ, სამი დღის წინ ლევანი იტალიაში გაემგზავრა და „პარმის" დუბლშემადგენლობის 20 ფეხბურთელთან ერთად გუშინ პირველად ივარჯიშა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ელიზბარაშვილი, ფაქტობრივად, უკვე პარმელად შეიძლება ჩავთვალოთ.

17 თებერვალს ლევანი 17 წლის გახდება. ის „ნორჩ დინამოელში" **ოთარ შენგელიასთან** ვარჯიშობდა. 17-წლამდელთა ნაკრებში თამაშებიდან გამომდინარე, მისით რუსეთის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი **ალექსანდრ მოსტოვოი** დაინტერესდა და მისი ესპანეთში წაყვანა სურდა, თუმცა იქ არაევროკავშირელებს იშვიათად სწყალობენ, რაზეც **ლევან ყენიას** მაგალითიც მოწმობს - „ლევანტეში" ჩასარიცხად მას მხოლოდ ესპანეთში ჩასვლა სჭირდებოდა, მაგრამ 6-თვიანი ლოდინი მობეზრდა და „შალკეში" ჩაირიცხა, როცა გერმანელებმა ყველა იურიდიული საკითხი მოაგვარეს.

როგორც ამტკიცებენ, ლევან ელიზბარაშვილში დიდი ტალანტი დაინახა მოსკოვის „სპარტაკმა" და თურმე, ნახევარ მილიონ ევროსაც იხდიდა. რუსეთის „სახალხო გუნდმა" ელიზბარაშვილების ოჯახისგან უარი მიიღო.

რამდენიმე ხნის წინ ნიჭიერი ქაბუკისადმი ინტერესს ჩვენთვის კარგად ნაცნობი („ვიტ ჯორჯიასა" და „ბათუმში" მუშაობის დროიდან) იტალიელი მწვრთნელი **ჯანი კარნევალიც** იჩენდა. ის იტალიაში ქართველების წაყვანას უწყობდა ხელს, რისი მაგალითი არცთუ ცოტა გვაქვს **ლევან მელქაძის, დავით დილმელაშვილის, ლევან მჭედლიძისა და ირაკლი შეყილაძის** სახით.

ელიზბარაშვილს რამდენიმე იტალიურმა კლუბმა („სამპდორია", „ბრეშა", „პარმა") მიაქცია ყურადღება. საბოლოოდ, ფეხბურთელმა და მისმა ოჯახმა „პარმაში" დარჩენა ამჯობინეს.

**მერაბ მამულაშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი

**პირველი ლიგა. დასავლეთი**

**3 დეკემბერი, ოთხშაბათი**

| | |
|---|---|
| მარტვილი-სამტრედია | 1:0 |
| ბათუმი-ჭიათურა | 3:1 |
| ტორპედო2008-გურია | 3:1 |
| მეშახტე-კოლხეთი ფოთი | 0:0 |

**დღეს**

ზესტაფონი2-ბაია

ხობი ისვენებს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაია | 14 | 10 | 3 | 1 | 25-6 | 33 |
| 2. მარტვილი | 14 | 9 | 4 | 1 | 25-11 | 31 |
| 3. სამტრედია | 15 | 9 | 2 | 4 | 26-12 | 29 |
| 4. კოლხეთი | 14 | 7 | 3 | 4 | 17-10 | 24 |
| 5. ჭიათურა | 15 | 7 | 1 | 7 | 24-20 | 22 |
| 6. ხობი | 14 | 6 | 3 | 5 | 16-20 | 21 |
| 7. ტორპედო 2008 | 15 | 6 | 1 | 8 | 12-11 | 19 |
| 8. გურია | 14 | 4 | 3 | 7 | 19-25 | 15 |
| 9. ზესტაფონი 2 | 13 | 4 | 2 | 7 | 13-21 | 14 |
| 10. ბათუმი | 15 | 3 | 4 | 8 | 16-26 | 13 |
| 11. მეშახტე | 15 | 1 | 2 | 12 | 9-36 | 5 |

U 17 და U 19 ევროპის ჩემპიონატის. წილისყრა

# პატარები შოტლანდიაში, დიდები შვედეთში...

გუშინ ნიონში 17 და 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი ციკლის წილისყრა გაიმართა. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს, რომელიც X ჯგუფში მოხვდა, მეტოქეებად შოტლანდია, პორტუგალია და კვიპროსი ერგო. ამ ასაკში 52 გუნდი 13 ჯგუფში გადანაწილდა. წილისყრის შედეგები ასეთია:

I ჯგუფი: **სერბეთი, ინგლისი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი;**

II ჯგუფი: **რუმინეთი, ესპანეთი, ლიტვა, ფარერები;**

III ჯგუფი: **ხორვატია, ბელგია, ჩერნოგორია, დანია;**

IV ჯგუფი: **ისრაელი, პოლონეთი, სომხეთი, ავსტრია;**

V ჯგუფი: **თურქეთი, გერმანია, ფინეთი, მაკედონია;**

VI ჯგუფი: **ირლანდია, შვედეთი, ბულგარეთი, ლატვია;**

VII ჯგუფი: **საფრანგეთი, უკრაინა, სლოვენია, ესტონეთი;**

VIII ჯგუფი: **ჰოლანდია, ჩრ. ირლანდია, ანდორა, მალტა;**

IX ჯგუფი: **იტალია, ნორვეგია, მოლდოვა, საბერძნეთი;**

X ჯგუფი: **შოტლანდია, პორტუგალია, კვიპროსი, საქართველო;**

XI ჯგუფი: **უნგრეთი, სლოვაკეთი, ალბანეთი, ლუქსემბურგი;**

XII ჯგუფი: **უელსი, რუსეთი, ისლანდია, ბოსნია;**

XIII ჯგუფი: **შვეიცარია, ჩეხეთი, სან მარინო, ბელარუსი.**

შესარჩევის რეგლამენტი უცვლელია. ჯგუფებიდან ავტომატურად გადიან პირველ და მეორე ადგილებზე გასული გუნდები, პლუს ამათ, საუკეთესო შედეგების მქონე ორი მესამეადგილოსანიც. ელიტრაუნდისთვის გროვდება 28 გუნდი, რომელიც 7 ჯგუფად დაიყოფა. აქედან კი თითო ფინალურ ეტაპზე ხვდება თითო გამარჯვებული, რომელთაც მასპინძელი ლიხტენშტაინი დაემატება.

რაც შეეხებათ 19-წლამდელებს, აქ XII ჯგუფში ვართ შვედეთთან, უკრაინასა და ჩერნოგორიასთან ერთად. ჯგუფები ასე დაკომპლექტდა:

I ჯგუფი: **ირლანდია, იტალია, სან მარინო, ალბანეთი;**

II ჯგუფი: **სლოვაკეთი, ინგლისი, სლოვენია, ფინეთი;**

III ჯგუფი: **თურქეთი, გერმანია, მოლდოვა, ლუქსემბურგი;**

IV ჯგუფი: **შვეიცარია, ხორვატია, ლიტვა, ესტონეთი;**

V ჯგუფი: **საბერძნეთი, სერბეთი, ფარერები, ბელარუსი;**

VI ჯგუფი: **ავსტრია, შოტლანდია, სომხეთი, რუმინეთი;**

VII ჯგუფი: **ბულგარეთი, ისლანდია, ჩრ. ირლანდია, ბოსნია;**

VIII ჯგუფი: **პორტუგალია, ესპანეთი, უელსი, მაკედონია;**

IX ჯგუფი: **უნგრეთი, რუსეთი, ლიხტენშტაინი, ლატვია;**

X ჯგუფი: **ჰოლანდია, ჩეხეთი, მალტა, კვიპროსი;**

XI ჯგუფი: **ნორვეგია, ბელგია, ყაზახეთი, ანდორა;**

XII ჯგუფი: **შვედეთი, უკრაინა, ჩერნოგორია, საქართველო;**

XIII ჯგუფი: **პოლონეთი, ისრაელი, დანია, აზერბაიჯანი.**

რეგლამენტი აქაც ანალოგიურია. ფინალური ეტაპი საფრანგეთში შედგება. 17-წლამდელებს შორის ჩვენი ჯგუფის მატჩებს შოტლანდია უმასპინძლებს, 19-წლამდელები კი შვედეთში იასპარეზებენ. ორივე ასაკში ჯგუფური ეტაპის მატჩები 2009 წლის შემოდგომაზე გაიმართება, ხოლო ელიტრაუნდი 2010 წლის გაზაფხულზე. ფინალური ეტაპები მაისში ჩატარდება.

**დავით ცაბაძე**

პორტრეტი

დავით ჩაგელიშვილი

# ჩემი ცხოვრების ასი პროცენტი



დავით ჩაგელიშვილი — ავტორის ფოტო

თბილისის „ლოკომოტივი" თასის ნახევარფინალში რომ გავიდა, 21 წლის **დავით ჩაგელიშვილის** კარგ თამაშსაც უნდა უმადლოდეს. როგორი საქმეა, შინ 2:3 წააგო „სიონთან" და მერე ბოლნისში 3:1 მოიგო. ბოლნისურ მატჩში ჩაგელიშვილი პირველი ტაიმის დასაწყისშივე ჩაერთო თამაშში - ტრავმირებული **გიორგი კახელიშვილი** შეცვალა და მინდორზე გავლენიანი ფეხბურთელი შეიქნა.

ჩაგელიშვილი საფეხბურთო სკოლა „ოლიმპიკის" აღზრდილია, „ლოკომოტივში" პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლებოდა, მაგრამ ვერ „ფეთქდებოდა", თითქოს რაღაც აკლდა სარქველების გასახსნელად და ეს „სიონთან" სათასო მატჩში მოახერხა - გოლი გაიტანა, საგოლე პასიც მიითვალა და, უბრალოდ, კარგად ითამაშა.

*„შედი მოედანზე და შენი საქმე გააკეთეო, მითხრეს „ლოკომოტივის" მწვრთნელებმა. შეცვლებზე ადრეც შევდიოდი, მაგრამ მეტწილად მეორე ტაიმის ბოლოს, „სიონთან" კი თავის გამოჩენისთვის მეტი დრო მქონდა, რაც გამოვიყენე კიდეც"*, - გვითხრა ჩაგელიშვილმა.

სეზონისწინა შეკრებაზე ის ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ „ლოკომოტივის" საკონტროლო შეხვედრებში, გოლები უხვად გაჰქონდა, მაგრამ მერე...

*„ერთ-ერთ ვარჯიშზე უკანა კუნთი გავიწყვიტე და ამ ტრავმამ ხელი ძალიან შემიშალა"*, - განგვიმარტა ჩაგელიშვილმა, ვინც მეტწილად ფლანგელ შემტევად გვევლინებოდა „ლოკომოტივში", თავდასხმის ცენტრი კი მყარად უპყრია **რატი ალექსიძეს**.

*„ასე ვთქვათ, საჯარიმოს ფორვარდი ვარ, თუმც „ლოკომოტივი" ორი ცენტრფორვარდით არ თამაშობს. მიუხედავად ამისა, რატის გვერდით თამაში ყოველთვის ძალიან სასიამოვნოა, ის გამოცდილი თავდამსხმელია და ეს ფაქტორი თამაშს მიადვილებს"* - ამბობს ჩაგელიშვილი.

ალექსიძის გარდა, „ლოკომოტივში" კიდევ არაერთი გამოცდილი ფეხბურთელია - **გიორგი ლომაია, ვიტალი დარასელია, ლევან ცქიტიშვილი...** შესაძლოა, ზოგს მოეჩვენოს, რომ ასეთი ფეხბურთელების გვერდით ახალგაზრდები რალაცნაირად ითრგუნებიან და თავს არაკომფორტულად გრძნობენ - კლასში განსხვავება მართლაც მკვეთრია, მაგრამ აი, რას გვეუბნება ჩაგელიშვილი: *„დათრგუნული ნამდვილად არ ვარ, პირიქით, ასეთ ფეხბურთელებთან თამაში ახალგაზრდებისთვის სასარგებლოა"*.

...ბევრს უთქვამს, ჩვენს დროს ფეხბურთის გარდა სხვა გასართობი არ იყო, ახლანდელ თაობას კი უამრავი რამ აქვს, რის გამოც ბიჭები ბოლომდე ვერ იხარჯებიან და სრულად ვერ ავლენენ თავიანთ საფეხბურთო შესაძლებლობებსო. ვინძლო, საკამათო მოსაზრებაა, თუმც სიმართლის რაღაც მარცვალი მასში მაინც ძევს.

შენი ცხოვრების რამდენ პროცენტს შეადგენს ფეხბურთი? ამ კითხვაზე ჩაგელიშვილის პასუხი ასეთია: *„ფეხბურთი ჩემი ცხოვრების 100 პროცენტია - ჯერ ფეხბურთი და მერე სხვა დანარჩენი. დილით ვარჯიში, შუადღისას დასვენება, საღამოს ტრენაჟორი და აუზი, გვიან კი სახლი, ცოტა კომპიუტერი და ძილი"*.

დათო რამდენიმე კომპონენტის გაუმჯობესებაზე მუშაობს, თუმცა როგორც თვითონ გვითხრა, ძირითადად ჯანის მოსამატებლად ვარჯიშობს - ჩაგელიშვილი აწონილი თავდამსხმელია და განიერი მხრები და დაბერილი კუნთები ნამდვილად არ აწყენდა...

„ლოკომოტივი" კი თანდათან ევროპულ მოდელზე გადადის, ბაზაც ევროპულ ყაიდაზე აიშენა საგურამოში და ფეხბურთელებისთვის ჯარიმებიც დააწესა. მაგალითად, **ბაზის** შენობაში ბუცებით ბორიალი აკრძალულია, „ჩუსტებს" თუ არ ჩაიცვამ, დაჯარიმდები.

*„ჯარიმებია ვარჯიშის გაცდენისთვისაც და დაგვიანებისთვისაც, თუმც საჯარიმო გადასახადები შემცირდა, მთავარი კი ის არის, რომ ეს სისტემა ევროპულს ჰგავს"*, - გვითხრა ჩაგელიშვილმა, რომლის თაობასაც, იმედია, უკან დაბრუნება არ მოუწევს და სწორად განვითარდება.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს და სამეგრელო-ზემო სვანეთის ფეხბურთის ფედერაციები სამძიმარს უცხადებენ საფეხბურთო კლუბ „მგლების" დირექტორს რევაზ პერტაიას

დედის

გარდაცვალების გამო.

ლეგიონი — შეჯამება

ჩეხეთი

# სამეული შუაგულ ევროპაში

პირველად, ჩეხური ლიგის ისტორიაში, იქ ორი ქართველი ლეგიონერი ასპარეზობს: 16-გუნდიან გამბრინუსლიგაში **გიორგი განუგრავას** („მლადა ბოლესლავი") სეზონის წინ **დიმიტრი ტატანაშვილი** („ვიქტორია პლზენი") შეუერთდა.

განუგრავას „მლადა" შესანიშნავად ასპარეზობს, 31 ქულით მეორე ადგილზეა, მაგრამ მისი ქართველი ლეგიონერი, ფაქტობრივად, უთამაშებელია. 20 წლის განუგრავა ერთხელ გამოიყვანეს შეცვლაზე. ეს პრალაში მოხდა და, სხვათა შორის, იმ 27 წუთში თავი კარგი თამაშითაც გამოუჩენია, მაგრამ... მას მერე ერთხელაც არ ელირსა თამაში. შარშანდელ სეზონში განუგრავამ სულ რალაც ორ მატჩში მიიღო მონაწილეობა, წლეულს კი მხოლოდ ერთში. მოკლედ, ასეთია ერთ დროს ეროვნული ნაკრების ძირითადში მოთამაშე ნახევარმცველის ჩეხური მონაგარი.

პლზენის „ვიქტორიამ" სეზონი ნორმალურად დაიწყო, შემდეგ გაუჭირდა, მაგრამ ზამთრის პირზე გუნდმა მდგომარეობა გამოასწორა და არდადეგებზე 22 ქულითა და მე-7 ადგილით გაეშურა. ქართველმა ფორვარდმა ტატანაშვილმა 12 თამაშში მხოლოდ 1 გოლი გაიტანა. შესაძლოა, სწორედ დაბალი შედეგიანობა გახდა მისი სკამზე დასმის მიზეზი.

ჩეხეთის სამეზობლოში, სლოვაკეთში, ბრინჯაოს პრიზიორმა „ნიტრამ" წარუმატებლად დაასრულა გორგონლიგის საშემოდგომო ნაწილი - 15 ქულით ბოლოსწინა, მე-11 ადგილზე გავიდა. „ნიტრის" 24 წლის ფორვარდმა **ირაკლი ლილუაშვილმა** ჩემპიონატში 2 გოლის გატანა შეძლო, თუმც ისიც აღსანიშნავია, რომ ლილუაშვილი ხშირად ნახევარდაცვაში თამაშობდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მოლდოვა

# ბებერი ხარის რქები და ჯაბა-გოლი

მოლდოვის ნაციონალური დივიზიონი მარტის დასაწყისამდე დაგვემშვიდობა, ქართველი ლეგიონერებიც, სხვებთან ერთად, შვებულებაში არიან, თუმცა ერთ-ერთ მათგანს, „დაჩიას" მცველ **სერგი ორბელაძეს** ახალი კლუბის მოძებნა მოუწევს. „მოლდავსკი ფუტბოლი" იუწყება, რომ 10 იანვარს გუნდი ქართველი მცველის გარეშე შეიკრიბება.

11-გუნდიანი ჩემპიონატის საშემოდგომო ციკლი (19 ტური) კვლავ „მარადმწვანე" ჩემპიონმა „შერიფმა" მოიგო. ტირასპოლის გუნდი უკვე 8 ქულით უსწრებს უახლოეს კონკურენტს. „შერიფის" ასევე „მარადმწვანე" კაპიტანი **ვაჟა თარხნიშვილი,** ასაკის (37 წლისაა) მიუხედავად, კვლავ შესაშურ ფორმაშია. ბოლო ტურში სწორედ ის დაასახელეს ტურის საუკეთესო ფეხბურთელად. თარხნიშვილმა კლუბის 18 მატჩიდან 17-ში ითამაშა (ის ერთიც მხოლოდ დისკვალიფიკაციის გამო გაუცდა) და მხოლოდ ერთხელ შეცვალეს.

38 ქულით მეორე ადგილზე კიშინოვის „დაჩიაა". გუნდში სამი ქართველი ირჯებოდა. მათ ზაფხულში უცნაური რამ შეემთხვევათ - მოლდოვის შრომის დეპარტამენტმა მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ „დაჩიის" ლეგიონერებს საბუთები წესრიგში არ ჰქონდათ. ამის გამო, ჩვენები თითქმის ერთი თვე მოცდნენ, არადა, ქართველებმა სეზონი შესანიშნავად დაიწყეს - პირველ ტურში „დაჩიამ" სწორედ ორბელაძისა და **ჯაბა დვალის** გოლებით მოიგო (2:1).

შარშან ჯაბას სულ ცოტა დააკლდა მოლდოვის ჩემპიონატის ბომბარდირობამდე, ამ სეზონში კი მიზნის მიღწევა გაუჭირდება. ჯერ საბუთების პრობლემამ, შემდეგ კი ფეხის მოტეხვამ დვალი სამი თვის განმავლობაში უთამაშებელი დატოვა. მის არყოფნაში კიშინიოველთა ლიდერად **ლევან კორღალიძე** იქცა. 28 წლის ნახევარმცველმა ამ სეზონში 14 მატჩში 3 გოლი გაიტანა და ერთიც საგოლე პასი გააკეთა. ლევანი ორჯერ გააფრთხილეს.

26 წლის ორბელაძემ 9 მატჩში 1 გოლი გაიტანა (2 გაფრთხილება). დვალი მხოლოდ 6-ჯერ გავიდა მინდორზე, მაგრამ 5 გოლის გატანა მოახერხა. ქართველმა ფორვარდმა დიდებულად აუღო ალღო მოლდოვის პირველობას - 23 წლის ფორვარდმა „დაჩიის" მაისურით ჯამში 18 გოლი (34 მატჩში) გაიტანა.

24 წლის მცველი **მამუკა ლომიძე** უკვე მესამე სეზონია, კიშინიოვის „ზიმბრუში" (34 ქულა, მე-3 ადგილი) თამაშობს.. ლომიძემ 15 მატჩში ითამაშა. ის სამჯერ გააფრთხილეს. ქართველი მცველი მოლდოვის ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესოა „მეორე საერთულზე" ბრძოლაში.

„ისკრა-სტალი" ლიდერებს გვარიანად ჩამორჩება, თუმც ამ გუნდისთვის მე-4 ადგილი (30 ქულა) შესანიშნავი შედეგია. გაგიკვირდებათ და, აქაც გვყავს ლეგიონერი - 18 წლის ფორვარდი **ალექსანდრე ბაციკაძე**. თუმცა მან მხოლოდ ოთხ მატჩში (ყოველთვის შეცვლაზე) მიიღო მონაწილეობა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ადამია რუმინეთის ვიზას ვერ ელირსა

ერთი თვეა, რაც ბაქოს „ნეფთჩიმ" თავდამსხმელი **გიორგი ადამია** ტრანსფერზე დააყენა. გუნდის მთავარ მწვრთნელ **ჰანს-იურგენ გედეს** ეჭვი გაუჩნდა, რომ ვეტერანი მოთამაშეები მის გაგდებას ცდილობდნენ და ვითომ მოვლენებს დაასწრო - თავად მოისროლა „ნეფთჩის" ხუთი ლიდერი დუბლშემადგენლობაში.

მას მერე ადამია ბაქოელთა მეორე გუნდში ვარჯიშობდა, ორი კვირის წინ კი საქართველოში დაბრუნდა. მან კლუბისგან რუმინეთში წასვლაზე თანხმობა მიიღო და თბილისში ამ ქვეყნის საელჩოსგან ვიზას ელოდა. ამასთან დაკავშირებით, აზერბაიჯანულ პრესაში მორიგი ზღაპარი დაიწერა - თითქოს, 26 წლის თავდამსხმელი რუმინეთში ჩავიდა და იქაურ „ოცელულს" კონტრაქტზე შეუთანხმდა. ეს ის კლუბია, რომელიც ადამიას კარგა ხანს აკვირდებოდა.

*„არ ვიცი, საიდან მოიგონეს აზერბაიჯანელმა ჟურნალისტებმა რუმინეთში ჩემი გამგზავრების ისტორია, - გაკვირვებულია ადამია, - ალბათ, მართლა ვიყავი, მაგრამ ველარ ვიხსენებ... ხუმრობა იქით იყოს და, რა თქმა უნდა, ეს ჭორია. რუმინეთის ვიზის აღებას ვცდილობდი, მაგრამ ამას დღემდე ვერ ველირსე. წინადადება რეალური მგონია, თუმცა ჯერაც არ წავსულვარ. ვერ ვიტყვი, რომ „ოცელულის" ვარიანტი ჩაიშალა, მაგრამ ამ ეტაპზე მოლაპარაკებები შეჩერებულია. სავიზო პრობლემებთან ერთად, მთავარი მიზეზი თავად „ნეფთჩის" მესვეურთა პოზიციაა. დღემდე არ ამბობენ, რუმინელებისგან ტრანსფერში რა თანხას ითხოვენ. ეს თუ ვერ გავიგე, ისე რუმინეთში წასვლას აზრი არ აქვს. რომ ჩავიდე და გუნდმა ჩემი აყვანა გადაწყვიტოს, მერე შეიძლება მილიონიც მოითხოვონ. რამდენჯერმე მოვისურვე ამის გარკვევა, მაგრამ პასუხს თავს არიდებენ, თავისუფალი აგენტის სტატუსზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. არადა, ეს „ნეფთჩისთვისაც" უკეთესი იქნება... არა უშავს, სეზონი დამთავრდა და ახლა მაინც მოიცლიან ჩემთვის. იქნებ, თავად მაინც გაარკვიონ, რა სურთ".*

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლიონელ მესი

ბარსელონა

# მესის ცენტრში ურჩევნია

## ცენტრფორვარდი რომ ვიყო, ბარსას უფრო მეტი გოლით დავეხმარებოდიო

**ლეო მესის** თამაშით ფეხბურთის მოყვარებულები მთელ მსოფლიოში უდიდეს სიამოვნებას იღებენ. მისი ჯადოსნური ფეხბურთით შეუძლებელია არ მოიხიბლო. ერთი შეხედვით არგენტინელმა ვარსკვლავმა მისი ადგილი იპოვა და პოზიციის შეცვლაზე არც კი უნდა ფიქრობდეს, მაგრამ როგორც ირკვევა ლეოს მარჯვენა ფლანგზე თამაში დიდიად არ ახარებს. მას სულ სხვა ამპლუა ხიბლავს. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით მესის განცხადებას გაგაცნობთ:

*„ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ცენტრში ვითამაშებდი. მიმაჩნია, რომ ცენტრფორვარდის პოზიციაზე გაცილებით უფრო მეტი სარგებლის მოტანა შემიძლია, მაგრამ ეს არ არის ჩემი გადასაწყვეტი. მით უმეტეს, ყველა ვხედავთ, რომ სამუელ ეტოო ცენტრში არაჩვეულებრივად თამაშობს. ის „ბარსელონის“ ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია და ალბათ, პოზიციის შეცვლა გამართლებული არ იქნება. მე იქ ვითამაშებ, სადაც მწვრთნელი დამაყენებს. ამაზე ორი აზრი არ არსებობს. უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ ცენტრში გოლის გატანის მეტი შესაძლებლობა მაქვს. შუაში ბურთს უკეთ ვამუშავებ და შეტევის გასაგრძელებლადაც უფრო მეტი ვარიანტი მაქვს. არ გამოვრიცხავ, სეზონის მსვლელობისას ამპლუის შეცვლა არაერთხელ მომიწიოს. მთავარია, შეძლებისდაგვარად კარგ ფორმაში ვიყო და გუნდს გამოვადგე“.*

ათ დღეში ესპანეთში დიადი მატჩი გაიმართება, „ბარსელონა“ „რეალს“ უმასპინძლებს. როგორც ყოველთვის სუპერკლასიკოს ახლაც უდიდესი აჟიოტაჟი და ინტრიგა ახლავს თან. მიმომხილველები ლეო მესის მორიგ ზღაპრულ მატჩს ელოდებიან, თუმცა არგენტინელი სუპერკლასიკოზე ჯერ არ ფიქრობს. მისი აზრით, „ბარსელონამ“ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა იაროს წინ:

*„მესმის, რომ „რეალთან“ თამაში განსაკუთრებულ აჟიოტაჟთან არის დაკავშირებული, მაგრამ ჩვენ პროფესიონალები ვართ და პირველ რიგში იმ შეხვედრებზე უნდა ვიფიქროთ, რომლებიც სუპერკლასიკომდე გვაქვს გასამართი. სხვა შემთხვევაში საქმეს გავიფუჭებთ და „რეალთან“ მატჩს ცუდი განწყობით შევხვდებით. ერთი სიტყვით, მანამდე პრიმერა დივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაში უნდა გავიმარჯვოთ. მართალია, ჩემპიონთა ლიგაში მომდევნო ეტაპის საგზური მოპოვებული გვაქვს, მაგრამ „ბარსელონა“ განწირულია იმისთვის, რომ ნებისმიერი შეხვედრის მოგებაზე იფიქროს. მოკლედ, ახლა სიმშვიდე და მიზანმიმართული მუშაობა გვჭირდება. ყოველ ორთაბრძოლას ისე უნდა მივუდგეთ, როგორც ფინალს. ფინალს, რომელზეც მთელი ცხოვრებაა დამოკიდებული.“*

რამდენიმე დღის წინ გაირკვა, რომ „ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთი“ **კრისტიანო რონალდომ** მოიპოვა. მესი მეორე ადგილზე გავიდა. „ელ მუნდო დეპორტივოს“ ჟურნალისტს აინტერესებდა, არგენტინელი ვარსკვლავი ფრანგული გამოცემის მიერ მოწყობილი გამოკითხვის შედეგს რამდენად სამართლიანად მიიჩნევდა. ლეომ მას ასე უპასუხა:

*„ეს არის გამოკითხვა, რომელსაც ჟურნალისტები აწყობენ და ჩვენ მის შედეგზე ზემოქმედების მხოლოდ ერთი ბერკეტი გვაქვს - კარგად თამაში! დანარჩენი კი მათი გადასაწყვეტია. ევროპელი ჟურნალისტების აზრით, წლის საუკეთესო მოთამაშე კრისტიანო რონალდო გახდა. მე მას გულწრფელად ვულოცავ და წარმატებებს ვუსურვებ. რა თქმა უნდა, გამიხარდებოდა, ოქროს ბურთი მე რომ მომეპოვებინა, მაგრამ ვფიქრობ, ჯერ ყველაფერი წინ მაქვს. მთავარია, კარგ ფორმაში ვიყო და გუნდს წარმატებების მოპოვებაში დავეხმარო. არ დაგიმალავთ, გული დამწყდა, რომ პირველობა მე არ მომაკუთვნეს, მაგრამ ვალდებული ვარ, პრესის არჩევანს პატივი ვცე. მით უმეტეს, რონალდოს წარმატებული სეზონი ჰქონდა. პრემიერლიგაში უამრავი გოლი გაიტანა. რაც მთავარია, ჩემპიონთა ლიგაში ფანტასტიკურად იასპარეზა და „მანჩესტერს“ ყველაზე პრესტიჟული ტიტულის მოპოვებაში დაეხმარა. გასაკვირი არ არის, რომ ჟურნალისტებმა რონალდოს შრომა დაუფასეს და „ოქროს ბურთი“ მას მიანიჭეს. კრისტიანოს დიდ წარმატებას კიდევ ერთხელ მივულოცავ. დარწმუნებული ვარ, ჩემი პორტუგალიელი კოლეგა ძალიან კმაყოფილი იქნება. რა თქმა უნდა, სასიამოვნო და სასიხარულოა, როცა შრომა გიფასდება და შენს პროფესიაში საუკეთესოდ გაღიარებენ“.*

ვალენსია

# კრიზისის დაძლევა შესაძლებელია

## მანჩესტერ სიტი ვილიას კონტრაქტისთვის 300 მილიონ გირვანქას იმეტებს?

„ვალენსია“ უმწვავეს ფინანსურ კრიზისში იმყოფება. ამ გუნდში არსებულ ურთულეს მდგომარეობაზე ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ამომწურავად ვისაუბრეთ. შეგახსენებთ, რომ ესპანური გუნდის ბიუჯეტი, ფაქტობრივად, დაცარიელებულია. ამის პარალელურად ხელმძღვანელობას 31 დეკემბრამდე 50-მილიონიანი ვალის გადახდა მართებს. მათთვის საუკეთესო გამოსავალი მადრიდულ ბანკ „ბანკახასთან“ სასპონსორო ხელშეკრულების გაფორმებაა, მაგრამ ბანკი ამ გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს. დრო კი არ ითმენს. ურთულესი მდგომარეობის გათვალისწინებით, გამორიცხული არ არის, „ღამურებმა“ წამყვანი ფეხბურთელების გაყიდვა დაიწყონ. ეს ბიუჯეტის შევსებისა და ეკონომიკური პრობლემების მოგვარების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზაა. თუ ფეხბურთელების სარფიანად გასხვისებაზე ვილაპარაკებთ, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, **დავიდ ვილიას** გვარი ამოგვიტივტივდება თავში. აღსანიშნავია, რომ ესპანელ ფორვარდთან თანამშრომლობაზე არაერთი ევროპული გრანდი ოცნებობს. აქამდე იწერებოდა, რომ დავიდს „ჩელსი“, „მანჩესტერი“, „რეალი“ და „მილანი“ ეპატიჟებოდნენ. გუშინ კი კიდევ ერთი კლუბის დაინტერესებაზე ითქვა. ლაპარაკია „მანჩესტერ სიტიზე“. ესპანურ და ინგლისურ პრესაში დავიდის ფოტოები პირველ გვერდებზე დაიბეჭდა. ჟურნალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ბრიტანულმა კლუბმა ვილია უპირველეს სამიზნედ გამოაცხადა და მის შესაძენად არც ფულს დაიშურებს და რა თქმა უნდა, არც ენერგიას. ინგლისური მედიის ინფორმაციით „სიტის“ მესვეურებმა უპრეცედენტო პროექტი შეიმუშავეს. ამ პროექტს „დავიდ ვილიას საქმე“ დაარქვეს. „დეილი მირორის“ მტკიცებით, მანჩესტერელებმა პროექტის განსახორციელებლად არც მეტი არც ნაკლები 300 მილიონი ევროს მობილიზება მოახდინეს. ალბათ, უპრიანი იქნება პროექტის შინაარსზე დეტალურად ვისაუბროთ. ბუნებრივია, „სიტი“ ამ 300 მილიონს „ვალენსიას“ არ გადაუხდის. ამ თანხით ტრანსფერის ღირებულებასთან ერთად ფეხბურთელის ხელფასიც უნდა გაისტუმრონ. ალბიონელებს იმედი აქვთ, რომ მოლაპარაკება წარმატებით დასრულდება და ესპანელ ფორვარდს 10-წლიან კონტრაქტს გაუფორმებენ. კულუარული ინფორმაციით „სიტის“ ხელმძღვანელობა ფორვარდის სანაცვლოდ 55 მილიონი ევროს გადახდას აპირებს, დარჩენილი 245 მილიონი ევრო კი ათწლიანი კონტრაქტის სახელფასო ღირებულებაა. ცოტა არ იყოს, უცნაური გეგმაა, რადგან ვილია 26 წლისაა და მანჩესტერელების წინადადების მიხედვით „სიტიში“ 36 წლამდე უნდა ითამაშოს. დიდი პატივისცემის მიუხედავად, წარმოუდგენელია, რომ ამ ასაკის ფეხბურთელმა იმდენად კარგად ითამაშოს, რომ მაღალი ხელფასის გადახდა გამართლებულად მივიჩნიოთ... თუმცა ეს მხოლოდ ჩვენი შეფასებაა, ალბიონელებს კი თავიანთი გეგმები აქვთ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ გეგმის შემუშავებას სერიოზული ანალიზი და ფიქრი უძღვოდა წინ.

„მანჩესტერ სიტის“ გულუხვი წინადადება „ჩელსის“ მესვეურებს საშინლად არ ესიამოვნათ. აღმოჩნდა, რომ **რომან აბრამოვიჩს** ვილიას შეძენის სურვილი არ განელებია. „არისტოკრატების“ შემთხვევაში საქმე ძალიან ჩახლართულია. „ინტერის“ მთავარი მწვრთნელი **ჟოზე მოურინიო დიდიე დროგბას** გადაბირებას ჯიუტად ცდილობს. პორტუგალიელმა სპეციალისტმა იმდენი მოახერხა, რომ აფრიკელ ფორვარდს „ჩელსიზე“ გული აუცრუა. ლონდონელები შეგუებული არიან, რომ დროგბა მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ „სტემფორდ ბრიჯიდან“ წავა. შესაძლოა, ეს უფრო მალე მოხდეს და დიდიემ „ინტერის“ მაისურა იანვარშივე მოირგოს. იმისათვის, რომ „ჩელსის“ თავდასხმაში პრობლემები არ შეექმნას, აბრამოვიჩმა თადარიგი აქედანვე უნდა დაიჭიროს და დროგბას შემცვლელი შეიგულოს. ბრიტანული გაზეთების მტკიცებით, რუსი ოლიგარქის რჩეული სწორედ დავიდ ვილიაა, თუმცა „მანჩესტერ სიტის“ წინადადებამ აბრამოვიჩს გეგმები სერიოზულად აურია. „ჩელსის“ მფლობელს ესპანელის შეძენა ბევრად უფრო იაფად ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ ახლა სერიოზულად დაფიქრება და დამატებითი სახსრების გამოყოფა მოუწევს. არაოფიციალური ინფორმაციით, აბრამოვიჩი მზადაა ბრძოლაში ჩაერთოს და ვილიას ხელში ჩასაგდებად „სიტის“ მილიარდერ მეპატრონეს წინააღმდეგობა გაუწიოს.

„დიარიო ასისა“ და „დიარიო მარკას“ კორესპონდენტები მთელი დღის განმავლობაში ცდილობდნენ „ვალენსიის“ ხელმძღვანელებთან დაკავშირებას. ესპანელ ჟურნალისტებს აინტერესებთ „ღამურების“ შეფები ვილიას გასხვისების შესახებ რას ფიქრობენ, თუმცა ისინი ტელეფონს არ პასუხობენ, ოფისში კი დაცვა გაფრთხილებული ჰყავთ, რომ ჟურნალისტები სათოფეზე არ გაიკარონ. კაცმა რომ თქვას ეს არც არის გასაკვირი, რადგან გუნდის მმართველებს კორესპონდენტებთან ურთიერთობისთვის დრო ნამდვილად არ ექნებათ. ახლა მათი მთავარი საზრუნავი კოლაფსიდან გამოსვლა და „ვალენსიის“ გადარჩენაა.

საბედნიეროდ, დავიდ ვილია ჟურნალისტებს არ დაემალა და სახელდახელო პრესკონფერენცია გამართა:

*„მიკვირს ამხელა აჟიოტაჟი რატომ ატყდა. მგონი, განსაკუთრებული და უჩვეულო არაფერი ხდება. ყველამ იცის, რომ თანამშრომლობას ადრეც უამრავი გუნდი მთავაზობდა. წინა სეზონში წარუმატებელი ასპარეზობის გამო „ვალენსიიდან“ წასვლა მქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ შემდეგ კლუბში ბევრი რამ შეიცვალა და წასვლა გადავიფიქრე. მენეჯერისგან ვიცი, რომ ისევ მრავალი შემოთავაზება მაქვს, მათ შორის, „მანჩესტერ სიტიდან“. კონკრეტულად ვერაფერს მოგახსენებთ. ჩვენთვის ფინანსური დეტალები ჯერ არ უცნობებიათ. მხოლოდ ის ვიცი, რომ ინგლისურ კლუბს ჩემი შეძენა სურს. არ ვიცი საქმე როგორ წარიმართება. ბუნებრივია, გადაწყვეტილება „ვალენსიის“ ხელმძღვანელების პოზიციის გათვალისწინების გარეშე ვერ იქნება მიღებული. წინასწარ ლაპარაკი არ მიყვარს. მით უმეტეს ახლა ვერ ვილაპარაკებ, რადგან საკითხი ბუნდოვანია, ჯერ არაფერია გარკვეული.“*

„დიარიო ასის“ კორესპონდენტმა ვილიას გუნდში შექმნილ კრიტიკულ სიტუაციაზეც დაუსვა კითხვა, მაგრამ ფორვარდმა ამ თემაზე ვრცელი კომენტარი არ ისურვა, მისი პასუხი მოკლე და ლაკონიური იყო, საფინანსო დოკუმენტებში მე არავინ მახედებს და ვერაფერს მოგახსენებთო.



ვალენსიამ ფინანსური კრიზისი შეიძლება დავიდ ვილიას გაყიდვით მოაგვაროს

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა










**იტალიურ პრესაში ჯერ კიდევ სერია A-ს მე-14 ტურის გარჩევაში არიან. მთავარი სასაუბრო თემა „ინტერი“ და ის ექვსქულიანი ფორაა, რომელიც „ნერაძურიმ გასულ უქმეებზე მოიპოვა. დიახ, ჟოზე მოურინიოს გუნდმა მდევრები (იუვენტუსი და მილანი) მთელი ექვსი ქულით მოიტოვა და კიდევ ერთხელ დაანახვა საფეხბურთო საზოგადოებას, თუ ვინ არის სკუდეტოს მოპოვების მთავარი პრეტენდენტი. აქ საქმე ქულებში არაა, მთავარი თამაშის ხარისხია, რომელსაც „ინტერი“ გვაჩვენებს და ის სტაბილურობა, რომელიც ბოლო წლებში ამ გუნდის სავიზიტო ბარათად იქცა...**

ყველაზე მთავარი გახლავთ ის, რომ **ჟოზე მოურინიო**, როგორც მწვრთნელი, ზრდას განაგრძობს და შესაბამისად, პროგრესირებს „ინტერიც“. პორტუგალიელი სპეციალისტი იტალიურ ფეხბურთს კარგად შეეგუა და ალლო მალევე აუღო. სეზონის სტარტზე ჟოზე ცოტა შებოჭილი იყო და ეს ყველაფერზე ეტყობოდა. გახსოვთ, ალბათ, თავიდანვე ერთ სქემაზე (4-3-3) შეაჩერა არჩევანი და კარგა ხანს ვერც ვერაფერს ცვლიდა. ბოლო დროს კი ვარიაციებს მიმართა, 4-4-2-იც გამოიყენა და ამით მცირე ჩავარდნა, რომელსაც გუნდის თამაშის ხარისხი მოასწავებდა, უმალ აიცილა თავიდან. იტალიელი ექსპერტები ჟოზეს გადაწყვეტილებას აბსოლუტურად გამართლებულად მიიჩნევენ, იტალიაში ტაქტიკა მეტოქის მიხედვითაც უნდა შეარჩიო და პორტუგალიელმა ეს უკვე გაიაზრა.

გუშინ „გაძეტა დელო სპორტმა“ მეტად საინტერესო სტატია გამოაქვეყნა, რომელიც მომავლის „ინტერს“ მიეძღვნა. ჟურნალისტი **ლუიჯი გარლანდო** აპენინებზე ცნობილია თავისი შორსმჭვრეტელობით. ხშირად წინასწარ პროგნოზირებს, თუ როგორ განვითარდება ამა თუ იმ მწვრთნელის ხელში, ესა თუ ის გუნდი. იტალიაში იმასაც ამბობენ, რომ ლუიჯის მოსაზრებებს ხშირად მწვრთნელებიც ენდობიან და შესაბამისადაც მოქმედებენ. მაგალითისთვის **დელიო როსის** და მისი „ლაციოს“ მოყვანაც შეიძლება. გარლანდომ სეზონის სტარტზევე ივარაუდა, რომ როსი მალე სამფორვარდიან ტაქტიკაზე გადავიდოდა და სასტარტოში ერთდროულად დააყენებდა: **მარიო სარატეს, ტომაზო როკის და გორან პანდევს**. ასე აგიხდეთ ყველაფერი, სა-პა-რო-ს შესახებ ალბათ თქვენც ბევრი გსმენიათ.

პროგნოზი



# მომავლის ინტერი

## Gazzetta deIIo sport: მოურინიოს სამი სქემა

თუმცა, დავუბრუნდეთ „ინტერს“ და გარლანდოს პროგნოზებს უკვე „ნერაძურისთან“ მიმართებაში. საინტერესოა, როგორ შეიძლება განვითარდეს გუნდი მოურინიოს ხელში. პორტუგალიელი სპეციალისტი სამომავლოდ სამ ტაქტიკურ ვარიანტს დაეყრდნობა: 4-3-3, 4-3-1-2, 4-1-4-1. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

### 4-3-3

ამ სქემით მოურინიოს „ინტერმა“ კარგა ხანს იასპარეზა და რაც მთავარია, საკმაოდ წარმატებითაც. **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** ცენტრფორვარდად, ფლანგებზე კი **რიკარდო კვარეშმა** და **ამანტინო მანსინი**. ეს პირობითად, ბუნებრივია, მწვრთნელს შეუძლია სხვა ფეხბურთელებზე შეაჩეროს არჩევანი. ამ ტაქტიკამ პირველი მარცხი მილანურ დერბიში განიცადა. **კარლო ანჩელოტიმ** აქცენტი ცენტრის გაძლიერებაზე გააკეთა, შეგირდებს ბურთის დაჭერა მოსთხოვა და გარემარბებით მოასპარეზე „ინტერი“ მოედნის შუაგულიდან გაარღვია. სწორედ მას შემდეგ დაფიქრდა ჟოზე და ალტერნატიულ ტაქტიკას მიმართა. თუმცა ის, რომ 4-3-3 „ინტერს“ კიდევ გამოადგება, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

### 4-3-1-2

ეს იგივე 4-4-2-ია, უბრალოდ, ერთი ნახევარმცველი შეტევაზე გახლავთ ორიენტირებული და თავდამსხმელთა უკან მოქმედებს. მოურინიო ამგვარ ტაქტიკას მომავალში არაერთხელ გამოიყენებს და დიდია შანსი, სულაც მთავარ მოდელად აქციოს. ფაქტია, რომ დღეს სწორედ ასეთი ტაქტიკით ასპარეზობს „ნერაძური“ და დიდი წარმატებითაც. აქ საკითხავი მხოლოდ ის არის, რომბისებურად განლაგდებიან ნახევარმცველები თუ - ხაზზე. იტალიელი ჟურნალისტი ირწმუნება, რომ ჟოზე **დეიან სტანკოვიჩს** გამთამაშებლობისთვის ამზადებს. საერთოდ, სერბი კლასიკური ცენტრალური ნახევარმცველია, საჭიროების შემთხვევაში ფლანგზეც უთამაშია. რაც შეეხება ფლეიმეიქერობას, ეს ნამდვილად ახალი ხილია და საინტერესოა, რამდენად გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. ამ შემთხვევაში ჟოზეზე ინგლისური გავლენა იგრძნობა, ბრიტანეთში ფორვარდთა უკან სწორედ სტანკოვიჩის ტიპის ფეხბურთელები თამაშობენ. საკმარისია **პოლ სქოულზის** მაგალითი მოვიყვანოთ და ყველაფერს თავადვე მიხვდებით.

### 4-1-4-1

ასეთი სქემით „ინტერს“ ჯერ არ უთამაშია და როგორც იტალიელი ჟურნალისტი გვპირდება, აუცილებლად ითამაშებს. გამოკვეთილი ფორვარდის გარეშე არც აქ გამოდის და ბუნებრივია, ამ პოზიციაზე მთავარი კანდიდატი ზლატან იბრაჰიმოვიჩია. ნახევარდაცვაში კი ერთბაშად ხუთი ფეხბურთელი იმოქმედებს. ერთ-ერთი მათგანი, ვთქვათ, **ესტებან კამბიასო** (ან თუნდაც **პატრიკ ვიეირა**) უკან იქნება დაწეული და საყრდენის ფუნქციებს შეასრულებს. მის წინ კი ერთ ხაზზე ოთხი მოთამაშე განლაგდება. პირობითად ასე ავილოთ: მარჯვნივ **ობინა**, ცენტრში **სტანკოვიჩი** და **მუნტარი**, მარცხნივ კი **კვარეშმა**. ასეთ ტაქტიკას მოურინიო ისეთ გუნდებთან გამოიყენებს, რომელთა შუა ხაზი განსაკუთრებით ძლიერია. მოგეხსენებათ, თანამედროვე ფეხბურთში თამაშს ის იგებს, ვინც ცენტრზე ბატონობს.

ერთი სიტყვით, „ინტერი“ მთელი იტალიური პრესის ფოკუსშია მოქცეული და მოურინიოსაც ათასგვარ რჩევას აძლევენ. თავიდანვე აღვნიშნეთ, რომ აპენინელ მწვრთნელებზე ჟურნალისტებს დიდი გავლენა აქვთ. საინტერესოა, მოურინიო თუ მოუსმენს მასმედიას, ის ხომ ყველაფერში განსაკუთრებულია.

მილანი

# შევჩენკოს წასვლა უნდაო

არ წყდება სპეკულაციები **ანდრეი შევჩენკოს** გარშემო. რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს უკრაინელს კარიერა მადრიდის „რეალში“ უნდა გაეგრძელებინა. საქმე ის არის, რომ ანდრეი „ჩელსის“ საკუთრებაა და საიჯარო ხელშეკრულების დასრულებისთანავე ლონდონში მოუწევს დაბრუნება. აღნიშნულ საკითხზე თავის დროზე **ადრიანო გალიანიმაც** ისაუბრა და ტიფოზებს სიმშვიდისკენ მოუწოდა. „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „მილანს“ ფეხბურთელის გამოსყიდვის უფლება აქვს და უკრაინელის გაშვებას არსად აპირებს.

გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „მილანიდან“ წასვლა თავად შევჩენკოს სურს და თანაც, რაც შეიძლება სწრაფად. ამ ამბავს „ლა რეპუბლიკა“ იუწყება და იქვე დასძენს, რომ ამის მიზეზი არასაკმარისი სათამაშო პრაქტიკა ყოფილა. ანდრეის მწვრთნელების მიმართ სასაყვედურო არაფერი აქვს, უბრალოდ, ნავსაყუდლის შეცვლა და მეტი სათამაშო დრო ესაჭიროება. ჟურნალისტის მტკიცებით, უკრაინელმა კატეგორიულად მოითხოვა მისი რომელიმე სხვა გუნდში გაყიდვა ან განათხოვრება. „მილანის“ მესვეურებს შევჩენკოს გაშვება არ სურთ, ამას გალიანის სიტყვებიც ადასტურებს, მაგრამ ვერც სასტარტოში მოხვედრის გარანტიას იძლევიან. **კარლო ანჩელოტიმ** ერთხელ მკაფიოდ განაცხადა, რომ ამ ეტაპზე გაცილებით კმაყოფილია **ფილიპო ინძაგის** და **ალეშანდრე პატოს** კონდიციით.



იტალიურ პრესაში იმასაც წერენ, რომ შესაძლოა ანდრეიმ „მილანი“ ზამთარშივე დატოვოს. თუმცა, ეს ნაკლებსავარაუდოა. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც **მარკო ბორიელო** დაშავდა და ფეხბურთს კარგა ხნით ჩამოშორდა.



„რომას“ ფეხბურთელებზე რომ დიდი მოთხოვნაა, ძველი ამბავია. ევროპული გრანდები „ჯალოროსის“ არაერთ ფეხბურთელს უმიზნებენ და ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრისას აქტიურ ქმედებებსაც მიმართავენ. აქედანვე

რომა

# სპალეტის მექსე არ ეთმობა

ცნობილია, რომ დედაქალაქელთა ფრანგი უკანახაზელის, **მექსეს** გადაბირება „მილანს“ სურს. **კარლო ანჩელოტი** დაცვის გაძლიერებაზე ფიქრობს და შესაფერის კანდიდატურებს აქედანვე არჩევს.

ასეთი შემოტევის ფონზე **ლუჩანო სპალეტი** საგონებელშია ჩავარდნილი და კლუბის მესვეურთა გასაგონად ხშირად განცხადებებსაც აკეთებს. მან მექსეს შესახებაც ისაუბრა: *„ჩემი აზრით, ფრანგი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველია და შესაბამისად, ძალიან მინდა „რომაში“ კიდევ დიდხანს დარჩეს. მექსე-ჟუანის ცენტრალურ წყვილს ბოლომდე ვენდობი, რომელიმე მათგანის გაყიდვა ჩვენი გუნდის დაცვით პოტენციალზე დიდი დარტყმა იქნებოდა. იმედია, ძირითად ბირთვს კიდევ არაერთი წლით შევინარჩუნებთ“.*

ლაციო

# სამიზნეშია კუჟმანოვიჩი

რომის „ლაციო“ ზამთრის სატრანსფერო ბაზრისთვის ემზადება. „ბიანკოჩელესტე“ მიმდინარე სეზონს საკმაოდ კარგად ატარებს, რაც კლუბის მესვეურთათვის დიდი სტიმული აღმოჩნდა. იტალიური პრესის ცნობით, დედაქალაქელთა მთავარი სამიზნე **ზდრავკო კუჟმანოვიჩი** იქნება. სერბი ფეხბურთელი ფლორენციის „ფიორენტინაში“ ირიცხება, თუმცა მოედანზე იშვიათად უწევს გასვლა. „ლაციო“ მზადაა თანხასთან ერთად „ვიოლას“ **ლუჩანო ძაური** ან **ლორენცო დე სილვესტრი** შესთავაზოს. აღნიშნულ წინადადებაზე „ფიორეს“ მესვეურებმა წინასწარი თანხმობა უკვე განაცხადეს, მაგრამ შესაძლოა ვითარება მაინც შეიცვალოს. საქმე ისაა, რომ „ვიოლას“ ერთ-ერთი წამყვანი ნახევარმცველი, **მასიმო გობი** დაუშავდა, კუჟმანოვიჩი კი შესაძლოა მისი შემცვლელის როლში მოგვევლინოს.

„ლაციო“ ფეხბურთელის გადასაბირებლად ყველაფერს ილონებს. ამაზე კლუბის პრეზიდენტის, **კლაუდიო ლოტიტოს** სიტყვებიც მოწმობს: *„კუჟმანოვიჩი ძალიან კარგი ფეხბურთელია*



*და მის ტრანსფერზე აქტიურად ვმუშაობთ. დაცვის და თავდასხმის ხაზით კმაყოფილები ვართ, ეს რგოლები კარგად გვაქვს დაკომპლექტებული. გაძლიერება შუა ხაზს სჭირდება და ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას ამ მიმართულებით ვიმუშავებთ. გუნდი ძალიან კარგად თამაშობს, ეს ჩვენთვის სტიმულია და ვეცდებით მწვრთნელ-ფეხბურთელებს წინსვლისთვის ყველანაირი პირობა შევუქმნათ“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

დიტმარ ჰოპი

# ჰოფენჰაიმი შორს უნდა გაფრინდეს!

## მილიარდერი მეცენატის საფეხბურთო მიზნები

პარასკევს, როგორც იცით, ბუნდესლიგაში დიდი მატჩია: მეორე ადგილზე მყოფი „ბაიერნი“ სენსაციურ ლიდერ „ჰოფენჰაიმს“ მასპინძლობს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს გერმანელ კოლეგებს, ფაქტობრივად, ალარაფერი ახსოვთ, გარდა ამ მატჩისა. გერმანული სპორტული პრესა წინასამატჩო პერიპეტიების განხილვაშია. გუშინწინდელ ნომერში იმ ომზე ვწერდით, რომელიც ამ გუნდების ბოსებს შორის დაიწყო. „ბილდის“ გუშინდელ ნომერში „ჰოფეს“ მფლობელის, მილიარდერი მეცენატის, დიტმარ ჰოპის ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც ეს უკანასკნელი „ბაიერნსა“ და მის მენეჯერ ული ჰიონესზე საუბრობს.

**- ჰერ ჰოპ, „ბაიერნის“ ბანაკიდან შემოტევები გასულ კვირაში დაიწყო, დღემდე გრძელდება და ცხადია, პარასკევამდე არ დამთავრდება. როგორ ახსნით იმას, რომ რეკორდმაისტერის ხელმძღვანელებს, ფაქტობრივად, სხვა საქმე არ აქვთ, გარდა იმისა, რომ „ჰოფენჰაიმზე“ ილაპარაკონ?**

- პირდაპირ გეტყვით: გაკვირვებული ვარ. ფრანც ბეკენბაუერთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ არც ული ჰიონესთან შემექმნებოდა პრობლემები. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ვცდებოდი.

**- ჰიონესმა განაცხადა, „ჰოფენჰაიმის“ ფეხბურთელები იმაზე გაცილებით დიდ ხელფასს იღებენ, ვიდრე ეს ფურცლებზე წერიაო. ეს კი ძალიან სერიოზული ბრალდებაა...**

- არ მესმის და ვერც ვერასდროს გავიგებ, რაში დასჭირდა ჰიონესს ამ ბრალდების წამოყენება. თუკი მას პირისპირ შევხვდები, აუცილებლად ვკითხავ, საიდან აქვს ეს არასწორი ინფორმაცია. ცხოვრებაში ასეთი რამ არასდროს გამიკეთებია და ახლა ხომ, მით უმეტეს, არ მჭირდება და არც გავაკეთებ. ასე რომ, ულის ურჩევნია, ცრუ ბრალდებების წამოყენებას შეეშვას.

**- როგორი რეაქცია გქონდათ, როცა თქვენს ფეხბურთელ სეიად სალიჰოვიჩს კონტრაქტის გაგრძელებამდე სამი დღით ადრე „ბაიერნიდან“ დაუკავშირდნენ და მიუნხენში გადასვლა შესთავაზეს?**

- არ ვიცი, რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სიმართლეს, მაგრამ თუ მართლაც ასე იყო, მაშინ მიმაჩნია, რომ „ბაიერნი“ უტაქტოდ მოიქცა. როდესაც გუნდი ფეხბურთელებთან კონტრაქტის გაგრძელებაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს, მათ საუბარში არ უნდა ჩაერიო. რამდენიმე კვირის წინ ულიმ დამირეკა და საყვედური მითხრა, ძალიან მეწყინა, „ჰოფენჰაიმის“ მენეჯერი იან შინდელმაიზერი ჩემთან შეუთანხმებლად „ბაიერნის“ მოყვარულთა გუნდის ერთი ფეხბურთელის მამას რომ დაუკავშირდა და „ჰოფეში“ გადასვლა შესთავაზაო. ვფიქრობ, ჰიონესს უნდა შევხვდე და გავესაუბრო. დაუშვებელია ის, რომ ურთიერთობის ესკალაცია მოხდეს. ეს, პირველ რიგში, „ბაიერნს“ არ სჭირდება.

**- იქნებ მას, უბრალოდ, არეულობის შეტანა სურდა გუნდში, რომელიც სატურნირო ცხრილში „ბაიერნს“ უსწრებს და რომელმაც უკვე ძალიან ბევრი ქომაგი გაიჩინა?**

- შესაძლოა, მოტივი ესეც იყოს, მაგრამ დამერწმუნეთ, „ბაიერნი“ „ჰოფენჰაიმში“ არეულობას ვერასდროს შემოიტანს.

**- თქვენს გუნდს პარასკევს შურისძიების შესანიშნავი შანსი მიეცემა. იოლი წარმოსადგენია, რა მოხდება გერმანიაში, „ჰოფემ“ „ალიანს-არენაზე“ „ბაიერნი“ რომ დაამარცხოს...**

- შურისძიების სურვილი ნამდვილად არ მაქვს. მინდა, რომ ლამაზი და საინტერესო თამაში გამოვიდეს. სიმართლე გითხრათ, გამარჯვებაზე კი არ ვფიქრობ, არამედ უხვგოლიან ფრეზე, მაგალითად 2:2-ზე...

**- ვიფიქროთ, რომ ეს წამოგცდათ?**

- არა! რატომ უნდა დავასხა ცეცხლზე ნავთი? ეს არ მჭირდება!

**- როგორ ფიქრობთ, „ჰოფენჰაიმი“ უკვე სრულყოფილ ფეხბურთს თამაშობს?**

- ფეხბურთი, რომელსაც დღეს ჩვენი გუნდი აჩვენებს, სრულყოფილ ფეხბურთთან ძალიან ახლოსაა და სწორედ ასეთ თამაშს ნატრობს ნებისმიერი გუნდის გულშემატკივარი.

**- სეზონის დასაწყისში სტადიონებზე ქომაგები პირადად თქვენ გაყენებდნენ შეურაცხყოფას. ბოლო დროს ასეთი შემთხვევები მნიშვნელოვნად შემცირდა...**

- ეს იმის დამსახურებაა, რომ „ჰოფენჰაიმი“ ძალიან ლამაზ ფეხბურთს თამაშობს და წარმატებებს აღწევს. მეტოქე გუნდების გულშემატკივრებისგან ჩემი გვარის სკანდირებას არც ველოდი და არც არასდროს მომითხოვია. მე უბრალოდ, პატივისცემას ვითხოვ, რასაც ვიმსახურებ კიდეც, რადგან არც ერთი გერმანული კლუბისთვის არაფერი დამიშავებია.

**- არის თუ არა „ჰოფენჰაიმი“ იმ დონეზე, რომ „ბაიერნს“ მომავალ წლებშიც გაუწიოს კონკურენცია?**

- არ მინდა, ჩემი გუნდი „ბაიერნს“ შევადარო და გავაჯიბრო. დარწმუნებული ვარ, „ჰოფე“ ბუნდესლიგაში თავის ადგილს დაიმკვიდრებს. ეს იმას ნიშნავს, რომ „ჰოფენჰაიმი“ მუდმივად ცხრილის პირველ ნახევარში უნდა იყოს.

**- თუ თქვენ მხოლოდ ასეთი მწირი ამბიცია გაქვთ, გაგიჭირდებათ ისეთი ტოპ-ფეხბურთელების შენარჩუნება, როგორებიც არიან ჩინედუ ობასი ოგბუკე, დემბა ბა, კარლოს ედუარდო, ვედად იბიშევიჩი და ა.შ.**

- რაც უნდა მოხდეს, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ეს ბირთვი მომავალი სეზონისთვისაც შევინარჩუნო. ისე კი, ყველა კონტრაქტს ოდესმე ვადა ეწურება და არავინ იცის, რა მოხდება ამის შემდეგ.

**- გერმანული ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდა გერდ მიულერს სჯერა, რომ იბიშევიჩს მისი რეკორდის დამხობა, ანუ ამ სეზონში 40 გოლის გატანა შეუძლია...**

- ეს ალბათ გადაჭარბებული ნათქვამია, თუმცა გამორიცხული ნამდვილად არაფერია. ყოველ შემთხვევაში, მე მჯერა, რომ ვედოს საუკეთესო ბომბარდირის წოდების მოპოვება შეუძლია. თუკი ის ამ სეზონში 30 გოლს გაიტანს, ესეც უდიდესი მიღწევა იქნება. მიულერის დროს, როცა მან ერთ სეზონში 40 გოლი გაიტანა, თავდამსხმელებს უფრო იოლად ჰქონდათ საქმე.

**- მთავარ მწვრთნელ რალფ რანგნიკს კონტრაქტი 2011 წლამდე აქვს...**

- ვფიქრობ, რალფი ჩვენთან თავს ძალიან კარგად გრძნობს, რადგან ამ გუნდით უკვე სერიოზულ და დასაფასებელ წარმატებებს მიაღწია. მაგრამ რანგნიკს აქ ყოფნა მარტო ამის გამო კი არ უხარია, არამედ, პირველ რიგში იმიტომ, რომ „ჰოფენჰაიმში“ გვერდით არ ჰყავს ისეთი ხალხი, რომლებიც ყოველდღე მისთვის ჭკუის სწავლებას შეეცდებიან. რალფი განსწავლული საფეხბურთო მწვრთნელია და მან თავისი საქმე იცის. მე მას სრული კარტ-ბლანში მივეცი, მის საქმეებში ოდნავადაც არ ვერევი. სხვა გუნდებში კი ასე არ არის ხოლმე.

**- „პროფესორი რალფი“ გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად - როგორ მოგწონთ ეს იდეა?**

- ერთი რამ ფაქტია, რალფი იდეალური ბუნდესმწვრთნელი იქნებოდა! მაგრამ აქ ერთი ფაქტიც გასათვალისწინებელია: რანგნიკი ფეხბურთით ცხოვრობს და უნდა, რომ მოთამაშეებთან ყოველდღიურ რეჟიმში იმუშაოს. ნაკრებში კი, მოგეხსენებათ, ამდენი საქმე არ არის. ნაკრების მთავარი მწვრთნელი ფეხბურთელებთან წელიწადში 6-ჯერ ან 7-ჯერ მუშაობს...



დიტმარ ჰოპი

შალკე

# საქმე გართულდა

## შესაძლოა, კრიზისს მენეჯერი ანდრეას მიულერი გადაჰყვეს



შალკეს მენეჯერი ანდრეას მიულერი




ფანების ხმა: მიულერ დანებდი! შენ წააგე!

გელზენკირხენის „შალკეს“ ბუნდესლიგაში, „ბაიერნის“ შემდეგ, ყველაზე ძვირადღირებული შემადგენლობა ჰყავს. მიუხედავად ამისა, ლევან კობიაშვილისა და ლევან ყენიას გუნდი 15 ტურის შემდეგ მეცხრე (!) ადგილზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ გუნდი სერიოზულ კრიზისშია. კრიტიკის ობიექტი კი გენერალური მენეჯერი ანდრეას მიულერი გახლავთ, რომელსაც სატრანსფერო პოლიტიკის არასწორ წარმართვას და საერთოდ, გუნდის უხეირო მართვას აბრალებენ. გელზენკირხენელი ფანები მიულერის დათხოვას კატეგორიულად მოითხოვენ. და კიდევ: ანდრეასი დღესაც „შალკეს“ ყოფილი მენეჯერის და ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მმართველის, რუდი ასაუერის ჩრდილშია...

ბოლო ტურში „შალკეს“ ფანებმა უკვე „მიულერ, წადი“-ს სკანდირება დაიწყეს. როგორც ჩანს, მათაც მობეზრდათ მუდმივად **კევინ კურანის** სტვენა, მწვრთნელის კრიტიკა, ხანაც ბევრისთვის უკვე კარგად ცნობილი შეძახილი - „გვინდა, დავინახოთ, როგორ იბრძვით!“ ფანებმა უკვე ძალიან ბევრჯერ სცადეს თავიანთი ტრანსპარანტებითა თუ შეძახილებით გუნდის მოტივირება (გნებავთ, პროვოცირება), მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. სწორედ ამიტომ გადაერთნენ მენეჯერზე, რომელიც ახლა უმძიმესი წნეხის ქვეშაა მოქცეული. „მიულერ, წადი“-ს სკანდირება მათ უეფას თასზე, „მანჩესტერ სიტისთან“ წაგებული თამაშის (0:2) შემდეგ დაიწყეს. **ანდრეას მიულერი** მართლაც ბევრ რამეზეა პასუხისმგებელი, რადგან ეს შემადგენლობა მისი შეკრებილია და მწვრთნელიც მისი მიყვანილია. კვირას, „შტუტგარტთან“ წაგების შემდეგ, ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა, რადგან გელზენკირხენში, გუნდის ოფისთან ქომაგების აქცია მოეწყო, სადაც ისინი უკვე კატეგორიულად მოითხოვდნენ მენეჯერის გაგდებას.

თვითონ ანდრეასი შოკირებულია. ბოლო დროს ფანების აგრესია მეტწილად კურანისკენ იყო მიმართული და მიულერი მას ყოველთვის იცავდა. ახლა კი გულშემატკივრები უკვე მას ემდურიან. აი, მიულერს კი არავინ იცავს. *„ფაქტია, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვართ. მაგრამ მე არც მწვრთნელის გათავისუფლება შემიძლია და არც მენეჯერის. ამისათვის სამეთვალყურეო საბჭო არსებობს, რომლის თავმჯდომარე კლემენს ტიონისია. გადაწყვეტილება მან უნდა მიიღოს,“* - აცხადებს „შალკეს“ პრეზიდენტი **იოზეფ შნუზენბერგი. ტიონისი** აქამდე კარდინალური განცხადებებისგან თავს იკავებდა. ორშაბათს კი მან მიულერი და მთავარი მწვრთნელი **ფრედ რუტენი** თავისთან დაიბარა. მწვრთნელს მისთვის უნდა აეხსნა, რატომ ვერ ამართლებს „შალკე“ მოლოდინს, მენეჯერს კი თავი უნდა ემართლებინა იმის გამო, რომ გუნდს ვერ მისცა კონკრეტული სახე. შეხვედრა გვიან სალამოს შედგა და სამი საათის განმავლობაში გრძელდებოდა.

*„ყველაფერი ვთქვი, რისი თქმაც მსურდა. მე მათ ვუთხარი, რომ მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს, რათა ზამთრის შესვენებაზე ქაოსით არ გავიდეთ. თუ ვითარება არ გამოსწორდება, გადამჭრელი ზომების მიღება მოგვიწევს,“* - განაცხადა ტიონისმა შეხვედრის შემდეგ. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ფანებსაც შემოსწყრა და თქვა, სტვენა ვერაფერს გვიშველის, გუნდს ქომაგების მხარდაჭერა სჭირდებაო.

„ბილდის“ ინფორმაციით, „შალკე“ უკვე ეძებს ახალ მენეჯერს, რომელსაც აუცილებლად დიდი სახელი უნდა ჰქონდეს. იმ შემთხვევაში, თუ გუნდი შედეგებს მალევე არ გამოასწორებს, დიდი შანსია, მიულერიც დაიფრინონ და მას რუტენიც მიაყოლონ, რომელიც „შალკეს“ მთავარ მწვრთნელად ზაფხულში დაინიშნა.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „შალკეს“ გენერალური სპონსორი „გაზპრომია“, რომელიც გუნდს საკმაოდ დიდ თანხას ურიცხავს. „გაზპრომის“ შეფებს კი უნდათ, რომ მათმა გუნდმა ლამაზი, შემტევი, თვალსასეირო ფეხბურთი ითამაშოს. რუტენის ხელში ასეთი ფეხბურთი არ ჩანს - ჰოლანდიელი მწვრთნელი უფრო პრაგმატული ფეხბურთის მიმდევარია. სხვათა შორის, „კიკერში“ გელზენკირხენელთა ყოფილი მწვრთნელის, **მირკო სლომკას** ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც დღესდღეობით უმუშევარი სპეციალისტი შემდეგს ამბობს: *„ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ დღეს „შალკე“ ნამდვილად არ თამაშობს იმაზე ლამაზ ფეხბურთს, ვიდრე ჩემ დროს. უკეთეს შედეგებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!“* - და ფაქტია, რომ სლომკა ცამდე მართალია.

მიულერმა „გაზპრომის“ ფულები უაზროდ გაანიავა. დააკვირდით, რამდენმა ტრანსფერმა ვერ გაამართლა: **კარლოს გროსმიულერი** განაცხადშიც აღარ შეჰყავთ, იგივე ეხება ბრაზილიელზე **რობერტო II**-საც. „შალკეს“ არც „აინტრახტიდან“ ნაყიდი **ალბერტ შტრაიტი** გამოადგა. ზაფხულში მიულერმა „სხვანაირი“ სატრანსფერო პოლიტიკის წარმოება გადაწყვიტა და თქვა, ამიერიდან ფულს მხოლოდ მაღალი ხარისხის ფეხბურთელებში დავხარჯავთო. შესაბამისად, ანდრეასმა ზაფხულში **ჯეფერსონ ფარფანი** (10 მილიონი ევრო) და **ორლანდო ენგელაარი** შეიძინა. პირველი ყველასათვის კარგად ცნობილი ფორვარდია, უკანასკნელზე კი, შეიძლება ითქვას, რომ რუტენს ყველაზე მეტად მისი ეიმედებოდა. ენგელაარი „ტვენტეში“ ფრედის ნომერ პირველი „ჯილა“ იყო. ფარფანმა დღემდე ვერ შეძლო იმედების გამართლება. რუტენი მას ფლანგის თავდამსხმელად ათამაშებს, რადგან 4-3-3 ტაქტიკას ანიჭებს უპირატესობას. რაკი ამ რანგში ვერ გაამართლა, ფარფანმა კურანის გვერდით, მეორე ფორვარდის პოზიციაზე მოისურვა ასპარეზობა, მაგრამ მწვრთნელი ტაქტიკის შეცვლას არ აპირებს. წყალში გადაყრილი ჩანს ენგელაარში გადახდილი 6 მილიონიც.

თუმცა მიულერის ხანაში, მას მერე, რაც **რუდი ასაუერმა** გუნდი დატოვა, სატრანსფერო გამონათებებიც იყო. მაგალითად, სწორედ მიულერის ნაყიდია **ჰაიკო ვესტერმანიცა** და **ჯერმეინ ჯონსიც**, რომლებიც „შალკეში“ გადასვლის შემდეგ, გერმანიის ნაკრების ფეხბურთელები გახდნენ.

ბოსები ლამაზ ფეხბურთს ითხოვენ, ფანები კი ბრძოლას. რუტენი ცდილობს, ორივე მოთხოვნა შეასრულოს, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გამოსდის. დრო კი აღარ ითმენს და დიდი შანსია, ამ ყველაფერს მწვრთნელიც შეეწიროს და მენეჯერიც...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი

# ახალი ეპოქის ვარსკვლავი

## ახალი რაფაელი სპორტულ სამყაროში



*„არა, მგონი არ გვეშველება. შეხედე, კონკურენტებმა ნასრი, დეკუ, ბოსინგვა, კინი, რიერა და სხვები შეიძინეს. ჩვენ კი ჯერ არავინ დაგვიმატებია... იქნებ ვიყიდოთ ბერბატოვი, მაგრამ განა ეს საკმარისი იქნება? არა, მაინც რატომ არავის ყიდულობენ?“* ამ და კიდევ უფრო მკვეთრ ფრაზებს ზაფხულის განმავლობაში „ეშმაკების“ ფანებისგან ყოველდღე მოისმენდით. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი, რომ **დიმიტარ ბერბატოვი** მაინც გადმოვიდოდა, მაგრამ გულშემატკივრებმა მთავარი ჯერ კიდევ არ იცოდნენ: „ალისფერებმა“ ყოველგვარი ზედმეტი ხარჯის, წვალების, ეპიკური თავგადასავლების გარეშე ხელთ ამომავალი ვარსკვლავი იგდეს. ტალანტის სახელი **რაფაელ პერეირა და სილვაა**. კიდევ ერთი უნიჭიერესი რაფაელი სპორტულ სამყაროში (გამოგიტყდებით და, **რაფაელ ნადალის** ნიჭს დიდად ვაფასებთ). ბრაზილიელი პირველად საქმეში „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „იუვენტუსის“ წინასასეზონო შეხვედრაში ვნახეთ. „ბებერ ქალბატონთან“ მინდორზე მისი ძმა **ფაბიოც** გამოვიდა. კომენტატორი ხშირად იმეორებდა ფრაზას: მანჩესტერელი ძმები, მანჩესტერელი ძმებიო... წარსულის მოგონებამ იძალა, თვალწინ **გარი** და **ფილ ნევილების** დუეტი დაგვიდგა. ინგლისელი ძმებიც, ბრაზილიელების დარად, სხვადასხვა ფლანგზე თამაშობდნენ. რა თქმა უნდა, ფაბიოც ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ რაფაელი გამოცდილი იტალიელების წინააღმდეგ ისე თამაშობდა, თითქოს მხოლოდ 18 წლის კი არ იყო, 18 წელიწადი „ოლდ ტრეფორდზე“ ჰქონდა გატარებული... ძმებმა მართლა ძლიერად ითამაშეს... რაფაელმა მისთვის ბოძებულ 45 წუთში პუბლიკას უჩვენა, რომ ძალიან სწრაფი, ტექნიკური, ბრძოლისუნარიანი ფეხბურთელი გახლავთ. მასში ყველაზე გასაოცარი, რა თქმა უნდა, საკუთარი ძალების რწმენა იყო. ხანდახან რჩებოდა შთაბეჭდილება, თითქოს წლების წინანდელი გარი ნევილი დაბრუნდა და ფლანგზე ძველებურად ბატონობდა. „იუვესთან“ დებიუტი არ არის ურთულესი გზის იოლი დასაწყისი, მაგრამ:

*„რაფამ თამაში ძალიან მშვიდად დაიწყო, კონკრეტულ მომენტში კი აფეთქდა და ააფეთქა თამაშიც. თუკი გავითვალისწინებთ, რომ იქამდე მას მთელი წელიწადი არ ჰქონდა ნათამაშები, ეს ფანტასტიკურზე მეტი იყო. ამ ბიჭს უკვე წელს აქვს შესანიშნავი შანსი, ძირითადის ფეხბურთელად იქცეს“*, - განაცხადა თინეიჯერ შეგირდზე სერ **ალექს ფერგიუსონმა**.

არადა, შოტლანდიელი უკვე 22 წლის განმავლობაში წვრთნის „იუნაიტედს“ და სადებიუტო შეხვედრის შემდეგ ამხელა ავანსი არავისზე გაუცია, თვით **რაიან გიგზსა** და **დევიდ ბექჰემზეც** კი. და საერთოდაც, მას არ უყვარს შეგირდების ქება. უნიჭიერესი ბრაზილიელისთვის მან გამონაკლისი დაუშვა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ტყუილად არა. საბედნიეროდ, რაფაელს ჯანმრთელობის მხრივ სერიოზული პრობლემა დღემდე არ შექმნია. ზემოხსენებული ერთი წელიწადის გამოტოვება იუნიორ ფეხბურთელს ტრავმამ და დისკვალიფიკაციამ კი არა, გაწელილმა მოლაპარაკებებმა აიძულა. უმკაცრესი „ვერდიქტი“ ფეხბურთელს მისმა აღმზრდელმა კლუბმა გამოუტანა რაღაც გაუგებარი პრინციპების გამო... შესაბამისად, ტყუპ ძმეას თამაშის შანსი არ მიეცა. „ფლუმინენსეს“ ბოსები აშკარად დამნაშავეები არიან ფეხბურთელებთან. ფეხბურთელებს ხელები არ ჩამოუშვიათ, ისინი დაულალავად ვარჯიშობდნენ და ელოდნენ...

როგორც ყველა ბრაზილიელს, შეტევა და გოლი რაფაელსაც ყველაფერს ურჩევნია. რაც მთავარია, წინ წასული უკან დაბრუნებას არასოდეს აგვიანებს. სწორედ მაღალი სათამაშო კულტურის გამოა, 18 წლის ბიჭმა უკვე რომ მოახერხა პრემიერლიგაში, ინგლისის თასსა და თვით ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობაც კი. იმის გათვალისწინებით, რომ მის პოზიციაზე **გარი ნევილი, ვეს ბრაუნი** ასპარეზობენ და თამაში შეუძლია **ჯონ ო'შისაც**, გამოდის, რომ ფერგი მას მართლა თვალდახუჭული ენდობა. დღეს, როდესაც ინგლისის ჩემპიონების ორი ძირითადი მარჯვენა მცველი დამტვრეულია, გუნდს პრობლემა არ ექმნება. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ფერგიუსონს **პატრის ევრას** სათამაშო სტილი გულს ყველაზე მეტად უხარებს, ხოლო რაფაელი, წესით, პატრისზე მაღალი დონის ფეხბურთელი უნდა დადგეს, გასაგებია, რამდენად დიდ იმედებს შეიძლება ამყარებდეს შოტლანდიელი ბრაზილიელზე. ან კი როგორ შეიძლება, მწვრთნელს გული არ გაუთბეს, როცა ასეთი უნივერსალი ფეხბურთელი ეზრდება? 21-ე საუკუნის ფეხბურთის ტენდენციები ტენდენციებად, მაგრამ თავად ფეხბურთელი ვერ იტანს 90 წუთის განმავლობაში საკუთარ საჯარიმოსთან ტრიალს. ბრაზილიელია და გენში მოსდგამს... რას იზამ?!

ნახევრად ხუმრობით ამბობენ ხოლმე, რომ რაფაელი ძალიან ჰგავს დიდ **რაფაელ სანტის**, რადგან იტალიელი გენიოსივით შემოქმედებითი პერსონაა. თუკი ფეხბურთელმა მოახერხა და ფეხბურთში იმ მწვერვალებს მიაღწია, რასაც აპენინელმა მხატვრობაში, მგონი, წინააღმდეგი არავინ იქნება. სეხნიები გადაწყვეტილების მიღებისას მუდამ არაორდინარულ ხერხს მიმართავდნენ. ცოტა უხერხულია ასეთი შედარება, მაგრამ მაინც...

ფერგიუსონს შეგირდში სწორედ შემოქმედებითი პროცესი უყვარს. რაფაელისა ბევრ კოლეგას შეშურდება, რადგან მასავით მჭიდროდ თამაში მეტოქის თავდამსხმელთან ბევრს არ შეუძლია. ასევე ძალზე სუფთად შეუძლია ფეხებში ვარდნის შესრულება. ერთი სიტყვით, სრულყოფილ ვარსკვლავობამდე მას მხოლოდ გამოცდილებაღა აკლია. ეს უკანასკნელი კი მხოლოდ დროსთან ერთად მოდის. თანაც გაითვალისწინეთ, რომ კარიერის დასაწყისში მისი მასწავლებელი შოტლანდიელი პროფესორია, ვისი ლექციებიც იშვიათად, რომ ვინმეს არ გამოსდგომოდა.

„ოლდ ტრეფორდზე“ ძმებ და სილვებს უკვე შეარქვეს „ახალი ნევილები“... ამ უკანასკნელებისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველებს უფრო მაღლა აფრენაც შეუძლიათ. მათ ამისთვის ყველანაირი წინაპირობა აქვთ - შრომისმოყვარეობა, უსაზღვრო ტალანტი, ფანტასტიკური მწვრთნელი და არანაკლებ ფანტასტიკური გუნდი. ძმებს შორის რაფაელს უფრო გაუმართლა: გარი ნევილი უკვე ვეტერანია, ვეს ბრაუნი დიდი მონდომების შეთხვევაშიც კი ვერასდროს გაუწევს კონკურენციას. აი, ფაბიოს კი მრისხანე კონკურენტი ჰყავს - პატრის ევრა. ამბობენ, ფაბიო ძმაზე ნიჭიერიაო... შესაძლოა ასეც იყოს. სწორედ ის იყო ბრაზილიის 17-წლამდელთა ნაკრების კაპიტანი 2007 წელს ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე, სადაც, რაც უნდა დაუჯერებლად ჟღერდეს, სწორედ ის გახდა ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი.

უყურებ ძმებს და გიჩნდება შეკითხვა: რამდენად შორის წავა მათი გზა?



სკანდალი

# ჯობდა, ენაზე კბილი დაეჭირა...

## დროა, კინმა დისტანცია დაარღვიოს

**გუშინწინ როი კინმა** ინგლისური საფეხბურთო საზოგადოება სკანდალური განცხადებით გააკვირვა. მისი თქმით, არ არის დარწმუნებული, რომ სწორედ იმ ადგილას მუშაობს, სადაც ყველაზე მეტი სარგებელი მოაქვს. შეიძლება ითქვას, ამ განცხადებით „სანდერლენდის“ ბოლოდროინდელ წარუმატებლობებზე მან სრული პასუხისმგებლობა იკისრა. როის განცხადებაზე კომენტარი გააკეთა ირლანდიის ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა **ტონი კასკარინომ**:

*„როის გვერდით წლების განმავლობაში ვთამაშობდი და რაც თავი მახსოვს, ის მუდამ გულწრფელი იყო, მაგრამ გულწრფელობა არ ნიშნავს, რომ ვინმესთან პრობლემებზე ღიად ლაპარაკობდა. გულგახსნილი არასდროს ყოფილა. შემიძლია დაგარწმუნოთ, მასთან არასდროს არავინ ყოფილა იმდენად ახლოს, რომ მისი საქციელის მოტივს მიმხვდარიყო. ერთადერთი რისი თქმაც შემიძლია, იმდენად მარტივია, რომ ისედაც ყველა ხვდება - კინმა „სანდერლენდში“ საკუთარი მომავალი ეჭვქვეშ დააყენა. ასეთ განცხადებებს ვერასოდეს მივესალმები, რადგან საამისოდ რამდენიმე მიზეზი არსებობს. პირველ რიგში, გუნდის შიდა სამზარეულოს გარეთ გამოტანა და ლაპარაკი იმაზე, რომ ფეხბურთელებს ფეხებზე ჰკიდიათ, ვინ იქნება მათი დამრიგებელი, არასწორია. შეიძლება მართლა ასე იყოს, მაგრამ საზოგადოების გასაგონად ყველას ერთ ქვაბში მოხარშვა არ არის მართებული. მოთამაშეებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ გუნდში წყნარ სიტუაციაში იმუშაონ. მშვიდი კლიმატის გარეშე არაფერი გამოვა. აი, კლიმატი კი სწორედ როიმ გააფუჭა“.*

სულ სხვაგვარ განცხადებებს აკეთებს „სანდერლენდის“ პრეზიდენტი, ირლანდიური ფეხბურთის კიდევ ერთი ლეგენდა **ნაიალ ქუინი**:

*„ჩემამდე არ დადის, როგორ შეუძლია მას იყოს ასეთი მშვიდი და გაწონასწორებული, როდესაც გუნდი პრემიერლიგაში გასავარდნ ზონაში ყურყუტებს და არა უეფას თასის საგზურის სიახლოვეს, სადაც ის მოხვედრას გეგმავდა. მით უფრო, რომ კინმა სეზონის დაწყებამდე 80 მილიონი გირვანქა გადაიხადა შემადგენლობის გასაძლიერებლად და პასუხისმგებლობის გრძნობას ესეც ამძიმებს“.*

როი კინის სამწვრთნელო კარიერაში ეს პირველი სკანდალია. არადა, ჯერ კიდევ ოქტომბერში გუნდი მშვენივრად თამაშობდა და სიტუაციის დაძაბვას არავინ ელოდა. „კატებს“ უამრავი ნიჭიერი მოთამაშე ჰყავთ, რომელთა უმრავლესობა ახლა ფორმაში არ არის. გუნდისთვის ახლა მთავარია, კონცენტრაცია არ დაკარგოს და არ იფიქროს, რომ ახლო მომავალში მაინც ახალი მწვრთნელი მოვა და ის ყველაფერს თავისებურად დაალაგებს. ქუინი და კინი დიდი ხნის მეგობრები არიან და საერთო ენას როგორმე გამონახავენ. ექსცენტრული ირლანდიელიც დამშვიდდება და შეცდომებს გამოასწორებს.

ასე რომ, დაკარგული ჯერ არაფერიც არ არის. როისთვის უმნიშვნელოვანესია იმის დამტკიცება, რომ მიუხედავად სკანდალური განცხადებისა, პრობლემებისა, მისთვის „სანდერლენდი“ მნიშვნელოვანია და გუნდში „სარეველების“ ძირეულად ამოძირკვას აპირებს. სწორედ ასე იქცევიან ჭკვიანი მწვრთნელები. კინს მთელი კარიერის განმავლობაში ფეხებზე ეკიდა მისადმი მოძღვნილი კომპლიმენტები და რატომ ვერ „გაატარებს“ კრიტიკას? გასაგებია, რომ ლეგენდარულ ირლანდიელს არ უყვარს ადამიანებთან ურთიერთობაში კონკრეტული დისტანციის დარღვევა, მაგრამ ახლა სწორედ ის დროა, ხელი გადახვიოს შეგირდებს და შეუძახოს ჩვეული გამყინავი მოწოდებით: „წინ, გამარჯვებებისკენ!“

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები. სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია. FOX-პროცედურები. წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა;
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენალი

# განიარაღებული მეთოფეები

## გადმოვა თუ არა ტურე?

„ბარსელონის" საყრდენი ნახევარმცველი **იაია ტურე**, შესაძლოა, იანვარში „არსენალში" გადაბარგდეს. როგორც სააგენტო TMW გადმოგვცემს, კოტდივუარელი სულაც არ არის წინააღმდეგი, რომ ლონდონში თავისი უფროს ძმის **კოლო ტურეს** გვერდით ითამაშოს. მთავარია, კლუბებს შორის შეთანხმება შედგეს.

ამ ინფორმაციის გავრცელებისთანავე ჟურნალისტებმა ბარსელონელთან დაკავშირება გადაწყვიტეს. აი, რა განაცხადა თავად ფეხბურთელმა: *„არსენ ვენგერთან ლაპარაკი ლონდონში გადასვლაზე ზაფხულზე უკვე მქონია და მე უარი მითქვამს... არც კი ვიცოდი. ჟურნალისტები ჭკუაზე გადამიყვანთ... საიდან მოგაქვთ ეს ინფორმაციები? გადაშლი გაზეთს და კითხულობ, რომ ვილაცასთვის რალაცაზე გილაპარაკია.*

*გამოგიტყდებით, რომ „ბარსელონიდან" წასვლა მართლა არ მსურს, რადგან კატალონიაში ფანტასტიკური გუნდი გვყავს და შესაბამისად, თავს კარგად ვგრძნობ".*

გუშინ „მეთოფეებმა" ინგლისის ლიგის თასზე „ბარნლისთან" ლიგის თასზე **კევინ მაკდონალდის** დუბლის წყალობით 2:0 დათმეს. **არსენ ვენგერი** იმედგაცრუებული დარჩა. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მან გულისტკივილი ალარ დამალა: *„წავაგეთ გუნდთან, რომელზე სუსტიც მგონი ამ ეტაპზე ლიგის თასზე ალარც კი თამაშობდა... წარმოიდგინეთ, ჩემი ფეხბურთელები ექვსჯერ გავიდნენ მეკარესთან ერთი ერთზე და ვერ გაიტანეს. როცა ამდენ მომენტს ვაფუჭებთ, შეუძლებელია, ბედზე დავიჩივლოთ. ასეთ დროს საკუთარ კვალიფიკაციაში ეჭვის შეტანის გარდა არაფერი დაგვრჩენია. ასეთი სამარცხვინო მარცხის შემდეგ პატარა ფეხბურთელები სერიოზულად უნდა დაფიქრდნენ და შეცდომები გაითავისონ. ფეხბურთი პირველიდან 90-ე წუთის ჩათვლით უნდა ითამაშო. სხვა შემთხვევაში ხდება ის, რაც დღეს „ტარფ მურზე" მოხდა".*

აქვე გაგაცნობთ „არსენალის" შემადგენლობას: **ფაბიანსკი - ჰოიტი, სილვესტრი, როდჯერსი (45. ლანსბერი), პერესი - უილშირი (63. სიმპსონი), გიბსი, რენდალი (72. ბიშოფი), რემსი - ბენდტნერი, ველა.**

ლიგის თასზე გუშინწინვე „სტოკ სიტიმ" „დერბის" უმასპინძლა და 1:0 დამარცხდა.

**შალვა ბიბილაშვილი**



მარჯვნივ იაია ტურე



მანჩესტერ იუნაიტედი

# სქოულზი დაბრუნდა

## ფერგი შეგირდით აღფრთოვანებულია

**სერ ალექს ფერგიუსონმა** პირველი განცხადება გუშინ სალამოს გააკეთა **კრისტიანო რონალდოს** მიერ „ოქროს ბურთის" მოგებასთან დაკავშირებით:

*„გუნდში ყველანი მოხარულები ვართ, რომ რონალდომ ასეთი პრესტიჟული ჯილდო მოიგო. ხმამაღლა ვაცხადებ, წელს ევროპაში მასზე მეტად ალიარებას არავინ იმსახურებდა. დამისახელეთ ნებისმიერი თავდამსხმელი, რომელიც სეზონში 42 გოლს გაიტანდა და ამით არ იამაყებდა? ეს ყველასთვის ფანტასტიკური შედეგი იქნებოდა, მიღწევა მით უფრო დასაფასებელია, რომ რონალდომ პრემიერლიგის უმძიმესი მარათონი გაიარა და ძირს არც ერთხელ დაცემულა.*

*არ მიკვირს, რომ „მანჩესტერში" ჩემი მუშაობის პერიოდში ეს პრიზი ჩემი შეგირდებისთვის პირველია. შეიძლებოდა, ეს პრიზი 1999 წელს რომელიმეს მიეღო კიდეც, მაგრამ მაშინ გუნდის ორმა ლიდერმა, როი კინმა და პოლ სქოულზმა მაინცდამაინც ფინალური შეხვედრა გამოტოვეს".*

მოგეხსენებათ, **პოლ სქოულზმა** მიმდინარე სეზონის დიდი ნაწილი გამოტოვა. წელს პრემიერლიგაში მის ანგარიშზე სულ ხუთი შეხვედრაა. ირკვევა, რომ ვეტერანი ვარსკვლავი უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს და უკვე წუხელ იყო მზად, ინგლისის ლიგის თასზე „ბლექბერნთან" შეხვედრაში მინდორზე გამოსულიყო. თუკი ფერგი პოლს მინდორზე გაუშვებდა, ეს მისთვის ორთვიანი პაუზის შემდეგ პირველი თამაში იქნებოდა. ექიმების ვარაუდით ნახევარმცველს ახალ წლამდე უნდა დაესვენა, მაგრამ ჯანლონით სავსე ფეხბურთელი დროზე ადრე დაბრუნდა. *„მინდორზე ისეთი გამოცდილი მოთამაშის გამოჩენა, როგორიც სქოულზია, ჩვენს თამაშს კიდევ უფრო დამაჯერებელს გახდის"*, - განაცხადა ფერგიუსონმა. *„პოლი დლემდე რჩება ევროპის, თუ არა მსოფლიოს, საუკეთესო ცენტრალურ ნახევარმცველად. არავის შეუძლია თამაშის რიტმის ისე იდეალურად მართვა, როგორც მას"*, - დაამატა **დარენ ფლეტჩერმა**.

**შალვა ბიბილაშვილი**

რეალი

# პუნტელაარი მადრიდელია

## კასილიასმა სიტის

გუშინ **კლაას იან ჰუნტელაარმა** „რეალთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ჰოლანდიელი ფორვარდი მადრიდში სალამოს ჩაფრინდა და პირდაპირ „სანტიაგო ბერნაბეუსკენ" გაემართა. სამეფო კლუბის ახალწვეულმა ხანმოკლე პრესკონფერენცია გამართა. ჰუნტელაარი გუნდის გამოცვლით ალფრთოვანებულია:

*„ახლა უკვე თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ილბლიანი ადამიანი ვარ. ასე ყველას არ უმართლებს. არ ვიცი, „რეალის" ხელმძღვანელების ყურადღება რითი დავიმსახურე, მაგრამ ლმერთს მადლობას მოვახსენებ, რომ სამეფო კლუბმა შემიძინა. ეს არის დღე, როცა ოცნება ამისრულდა. მე მადრიდში ვარ და მალე „რეალში" თამაშს დავიწყებ. დიდ გუნდში ასპარეზობაზე ყოველთვის ვოცნებობდი. რა თქმა უნდა, „აიაქსი" მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდია, მაგრამ დასამალი არ არის, რომ ჩემი ყოფილი კლუბი ამ წოდებას წარსული დიდების გამო ინარჩუნებს. დღესდღეობით „აიაქსი" საშუალო შესაძლებლობების მქონე ევროპული კლუბია. „რეალი" კი სულ სხვა საქმეა. ბედნიერებისგან სიტყვებს ვერ ვპოულობ. იცით, ყველაზე მეტად რა მახარებს? პრედრაგ მიატოვიჩმა ჩემს მენეჯერს უთხრა, ტრავმების გამო შეტევაში პრობლემები გვაქვს და ჰუნტელაარის დიდი იმედი გვაქვსო. ყურებს ვერ ვუჯერებ, სამეფო კლუბს ჩემი იმედი აქვს. შესაძლოა, ძალიან ინფანტილურად გამომდის, მაგრამ ასეთი გახარებული მართლა არასოდეს ვყოფილვარ. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ სამეფო კლუბში ჩემი კვალი დავტოვო."*

ამასობაში, **იკერ კასილიასმა** ფრიად საინტერესო ამბავი გაახმაურა. „რეალის" მეკარეს თურმე „მანჩესტერ სიტი" დაუჯერებელ კონტრაქტს სთავაზობდა. თავად განსაჯეთ, იმ შემთხვევაში, თუ




კლაას იან ჰუნტელაარი მადრიდში, სამედიცინო შემოწმებაზე

კასილიასი ბრიტანულ კლუბში გადაბარგდებოდა, წლიური გასამრჯელოს სახით არც მეტი არც ნაკლები 12 მილიონ ფუნტს მიიღებდა. ეს იმხელა თანხა და ცდუნებაა, რომლის წინაშეც ბევრი ადამიანი უძლური ალმოჩნდებოდა და ინგლისში უკანმოუხედავად გაიქცეოდა, მაგრამ კასილიასი „რეალის" ერთგულია და „სანტიაგო ბერნაბეუ" არაფერზე გაცვალა. იკერმა მისი გადაწყვეტილება ასე ახსნა:

*„სიტის" ხელმძღვანელებს დაფასებისთვის დიდი მადლობა გადავუხადე, მაგრამ პირველივე დღეს განვუმარტე, რომ ჩემი მიზანი კარიერის სამეფო კლუბში დასრულებაა. თუ თავად გუნდი არ მოინდომებს ჩემს გაყიდვას მე არსად წამსვლელი არ ვარ, იმიტომ, რომ „რეალი" ჩემი გულია. ძნელია ადამიანს გულის ამოჭრა აიძულო. 12 მილიონი ფუნტი არაჩვეულებრივი ხელფასია, მაგრამ თუ გული არ გექნება ფულს ვერაფერში გამოიყენებ. გულწრფელად გეტყვით, რომ ცდუნება არ მქონია. უბრალოდ, წინადადება მივილე, მაგრამ მაშინვე უარი განვაცხადე."*

საინტერესოა, მანჩესტერელთა დაინტერესებაზე **რამონ კალდერონი** რას ფიქრობდა. საქმე ის არის, რომ „სიტი" კასილიასის სანაცვლოდ სარეკორდოდ დიდ თანხას, 75 მილიონ ევროს იხდიდა.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ამბები

### ამჯერად, სანტა კრუსი

რატომლაც „ბლექბერნისა" და „ლივერპულის" ფეხბურთელებს ყაჩალები ყველაზე მეტად ემტერებიან. მოგეხსენებათ, რამდენიმე კვირის წინ ჩვენებური **ზურაბ ხიზანიშვილიც** გაძარცვეს (ეს უკვე მეორედ). ძალზე ხშირად ეხვევიან უსიამოვნებაში მერსისაიდელთა ვარსკვლავებიც. ბოლოს ერთი წლის განმავლობაში „ლივერპულის" 8 ფეხბურთელი დაზარალდა. და აი, მორიგი მსხვერპლიც - **როკე სანტა კრუსი**. პარაგვაელი ვარსკვლავის სახლში სამი ყაჩალი შევარდა. ზურაბისა არ იყოს, სახლში არც როკე გახლდათ. ნაძირლებმა **ჟიზელე სანტა კრუსს** ყელზე დანა მიაბჯინეს და აიძულეს გაჩუმებულიყო. თავად კი მთელი სახლი თავდაყირა დააყენეს. ყაჩალებს რაც კი ხელთ ძვირფასი საგანი მოხვდათ, ყველაფერი წაილეს. ქალბატონ ჟიზელეს ფიზიკური ტრავმები არ ალენიშნება, მაგრამ როგორც პრესა წერს, მას სასწრაფო ფსიქოლოგიური დახმარება ესაჭიროება.

### ზენდენი ეინდჰოვენში

პსვ-ს ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ უკვე იანვარში მარსელის „ოლიმპიკის" მარცხენა ნახევარმცველ **ბუდევეინ ზენდენთან** მოლაპარაკებას დაიწყებს. სეზონის ბოლოს ფეხბურთელი თავისუფალი აგენტი ხდება, ასე რომ, მოლაპარაკებისთვის ფრანგების თანხმობა საჭირო სულაც არ გახდება. თავად ფეხბურთელს იმედი აქვს, რომ მშობლიური კლუბის ხელმძღვანელობა იზრუნებს და მას უახლოეს კვირებშივე შეიძენს. საფრანგეთში დარჩენა მას რატომლაც სეზონის ბოლომდეც კი ალარ სურს. არადა, **ჰატემ ბენ არფასთან** ერთად, სწორედ ჰოლანდიელი მიიჩნევა კლუბის ლიდერად.

### პაოს ალექსის შეძენა სურს

„პანათინაიკოსმა" „ჩელსის" ბრაზილიელი ცენტრალური მცველის, **ალექსის** სატრანსფერო თანხის დასახელება სთხოვა. ლონდონელთა ლეგიონერით პირადად ბერძნების დამრიგებელი **ჰენკ თენ კატეა** დაინტერესებული. შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიელი სპეციალისტი შარშანდელ სეზონში სწორედ „არისტოკრატებში" მუშაობდა **ავრაამ გრანტის** თანაშემწედ. ასე რომ, ალექსის შესაძლებლობებს მშვენივრად იცნობს. ჯერჯერობით ლაპარაკი მიდის მხოლოდ ნახევარწლიან იჯარაზე, ხოლო შემდეგში მის სრულად გამოსყიდვაზე.

პრემიერლიგაში ბრაზილიელის ანგარიშზე სულ 6 შეხვედრაა. ის **ჯონ ტერისა და რიკარდო კარვალიოს** დუბლიორად მიიჩნევა.

### ავანტიურული პროექტი

შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციაში განაცხადეს, რომ უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება უელსისა და ჩრდილოეთი ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციებთან, რათა მათ ევრო 2016-ის ჩატარებაზე ერთობლივი განაცხადი გააკეთონ. ასეთი დონის ტურნირის სამასპინძლოდ მხოლოდ შოტლანდია მზად არ არის. ეს ქვეყანა დიდი მონდომებისა და კოლოსალური დაფინანსების პირობებშიც კი ვერ მოახერხებს ორგანიზებას, რადგან საამისოდ ინფრასტრუქტურა მზად არ აქვს. მით უფრო, რომ 2016 წელს ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობას უკვე 24 გუნდი მიიღებს.

უეფას გენერალურმა მდივანმა **დევიდ ტეილორმა** შოტლანდიელთა იდეაზე ალფთოვანებით ილაპარაკა: *„ეს ხომ შესანიშნავი იქნებოდა! თუმცა საჭიროა სიფრთხილე. ჩემი უნთუზიაზმი სხვებმა შეიძლება სხვანაირად გაიგონ და მერე ათასი კუდი გამობაბნ. ევროპაში რამდენიმე ქვეყანა უკვე მეგულება, რომლებიც ამ ტურნირს უახლოეს ხანებშიც კი უმასპინძლებდნენ. ასე რომ, გარკვეული ჯერ არაფერია".*

### გივენი ჯორდებში რჩება

„ნიუკასლის" ირლანდიელი მეკარე **შეი გივენი** აცხადებს, რომ მისთვის დიდი პატივია პრემიერლიგური კლუბების მისით დაინტერესება, მაგრამ „სენტ ჯეიმს პარკიდან" სხვაგან წასვლას მაინც არსად აპირებს. *„მათ უკვე დახარჯეს სერიოზული სახსრები მეკარის შესაძენად და არ მგონია, კიდევ იყვნენ მზად თანხების გამოსაყოფად. დიდი მადლობა ჰარი რედნაპს, მაგრამ მიმაჩნია, რომ როცა ეურელიო გომეში თავდაჯერებას შეიძენს და აქაურობას შეეჩვევა, ის ისევ მალალ დონეზე ათამაშდება. მე რაც შემეხება, ნიუკასლში ძალიან ბედნიერი ვარ და აქედან ფეხის მოცვლას არ ვაპირებ".*

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო — საქართველოს ჩემპიონატი



ზვიად ხანჯალიაშვილის იპონი

ალექსანდრე კოტრაშვილის ფოტო

ჭადრაკი

# ბალათუროვი პეტროსიანის ტურნირის გამარჯვებულია

საჭადრაკო კლუბ ნტნ-ში, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში მდებარეობს, გუშინ დასრულდა მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონის, თბილისში დაბადებულ და გაზრდილ **ტიგრან პეტროსიანის** სახელობის ტრადიციული საჭადრაკო ტურნირი. პეტროსიანი სწორედ ამ კლუბში გაიზარდა და ნტნ-ის აბრევიატურაშიც მისი სახელის პირველი ასოა გამოყენებული. სრულად კი კლუბი ასეთ სახელს ატარებს: „ნონ-ტიგრანი-ნანა“. კლუბის პრეზიდენტი ქალბატონი **ნანა ალექსანდრია** გახლავთ და მისივე ინიციატივითაა, რომ წლებია, დიდი მოჭადრაკის საპატივცემულო ტურნირი ტარდება.

შეჯიბრებაში 53 ქართველი მოჭადრაკე მონაწილეობდა. მათ შორის დიდოსტატებსაც ნახავდით, რაც ტურნირს პრესტიჟს მატებდა; ნიჭიერ ახალგაზრდა ოსტატებს კი ასეთ ფორუმებში მონაწილეობისათვის დიდი თავპატიჟი არ სჭირდებათ... რეიტინგ ფავორიტი დიდოსტატი **გიორგი ბალათუროვი** იყო და გამოცდილმა ოსტატმა წოდების საკადრისად ითამაშა: შვიდი შესაძლებლიდან 6 ქულას მოუყარა თავი და პირველი ადგილი არავის დაუთმო. მეორეზე 5,5 ქულით **ლევან ბრეგაძე** გავიდა. მესამეზე ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტის გამო **შოთა აზალაძეა**; კოეფიციენტმა არგუნა მეოთხე ადგილი **ბელა ხოტენაშვილს**, თუმცა ამავე მაჩვენებლით **დავით ლომსაძეს** გაუსწო. 5,5 ქულა ასეთ კომპანიაში ბელასათვის ძალიან კარგ შედეგად ითვლება და ეს ორგანიზატორებმაც შესაბამისად დააფასეს, - გარდა ფულადი პრიზისა, რომელიც მეოთხეადგილოსნისათვის 50 ლარის ტოლი იყო, სპეციალური საჩუქარი გადაეცა – საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპონატის – 2000-წლოვანი ოქროს ლომის ასლი გახდა მისი არჩივი.

ასეთივე საჩუქარი ერგოთ საქართველოში სომხეთის ელჩს **ჰრაჩ სილვანიანს**, ვინც ასევე ტრადიციულად სტუმრობს ტურნირს და **გია შალამბერიძეს**, რომელიც რესპუბლიკური სასახლის დირექტორი და ჭადრაკის დიდი მოამაგეა, - მისი მხარდაჭერით ინარჩუნებს კლუბი ნტნ და საჭადრაკო სკოლა ადგილმდებარეობას.

ტურნირი შვეიცარიული წესით, შვიდ ტურად კი ჩატარდა, მაგრამ სათამაშო დრო არასტანდარტული დაადგინეს მასპინძლებმა: მთელ პარტიაზე ერთი საათი, ყოველ სვლაზე 20 წამის დამატებით. გარდა აბსოლუტური გამარჯვებულისა, დაწესებული იყო პრიზები ასაკობრივ ჯგუფებში: თორმეტწლამდელებში გაიმარჯვა **ნიკოლოზ ქუმსიაშვილმა** – 5 ქულა; თოთხმეტწლამდელებში 4,5 ქულით **ნოდარ ლორთქიფანიძე** გახდა უძლიერესი; თექვსმეტწლამდელებში კი 5 ქულით **გიორგი ნიკოლაშვილმა** იპირველა. აღსანიშნავია, რომ ამჯერად გოგონათა შორის ცალკე არ გათამაშებულა პრიზები. ტურნირს საპრიზო ფონდი გააჩნდა, რისი მეშვეობითაც პირველადგილოსანმა გიორგი ბალათუროვმა 300 ლარით შეივსო ბიუჯეტი. მეორეზე გასულმა ლევან ბრეგაძემ 200 ლარი მიიღო, ხოლო მესამე ადგილის დაკავებისთვის შოთა აზალაძე 100 ლარით დაჯილდოვდა.

**ზვიად შათირიშვილი**

## ხუხაშვილი ბელგრადში ცდის

საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული **სოფიკო ხუხაშვილი** (2409) სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში იმყოფება, სადაც „ბელგრადის ტროფიში“, საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში (ვაჟებში) მონაწილეობს. ხუთი ტურის შემდეგ სოფიკოს სამი ქულა აქვს და ლიდერთა შორის არაა. მე-6 ტურში ქართველი მოჭადრაკე თეთრი ფიგურებით **მლადენ კნეზევიჩს** (სერბეთი, 2167) შეხვდა. შეჯიბრება, რომელშიც 230 მონაწილეა, 5 დეკემბერს დასრულდება.

## სარიჩს დაუზავდა

ხორვატიულ რიეკაში, საერთაშორისო ტურნირ „ხმელთაშუა ზღვა 2017“ მეხუთე ტურის პარტიები გაიმართა. საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულმა **ლელა ჯავახიშვილმა** (2473) შავი ფიგურებით ყაიმით ითამაშა ხორვატ დიდოსტატ **ივან სარიჩთან** (2516). **სალომე მელიამ** (2410) შავებით ასევე ხორვატი **ზლატკო მარტიჩი** (2319) დაამარცხა. გაიმარჯვა **სოფო გვეტაძემაც** (2361), მან თეთრი ფიგურებით მასპინძელ **ელვის კლასანს** (2045) აჯობა. სალომე მელიას და ლელა ჯავახიშვილს ხუთი ტურის შემდეგ 4-4 ქულა აქვთ. კოეფიციენტით წინ სალომეა, რომელსაც მე-11 ადგილი უკავია, ჯავახიშვილი მე-17 ადგილზეა. ტურნირს ოთხეული ლიდერობს 4,5-4,5 ქულით, მათ შორის ყველაზე ცნობილი რუსი დიდოსტატი **ბორის გრაჩოვია** (2653). სოფო გვეტაძეს სამი ქულა აქვს. სალომე მელია თეთრებით რუმინელ **ალინ ბერესკუს** (2505) ეთამაშება, ხოლო ლელა ჯავახიშვილი (ასევე თეთრებით) - ხორვატ **ფილიპ ლუბიჩიჩს** (2415). სოფო გვეტაძე შავებით ხორვატ ქალს, **კრისტინა სოლიჩს** (2167) ეთამაშება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# მსოფლიოს ჩემპიონატზე ხანჯალიაშვილი გაემგზავრება

გუშინ დამთავრდა ძიუდოისტთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც, ეროვნული ნაკრების წევრების გარდა, თითქმის ყველა უძლიერესი ფალავანი მონაწილეობდა. შეჯიბრების ბოლო დღეს ჩემპიონები და პრიზიორები გამოვლინდნენ ოთხ წონით კატეგორიაში. ყველაზე დიდ ინტერესს მძიმეწონოსანთა პაექრობა იწვევდა, რადგან გამარჯვებული **ლაშა გუჯეჯიანთან** ერთად საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავრებოდა აბსოლუტურ წონით კატეგორიაში სასპარეზოდ. ეს პატივი გოლიათ მოჭიდავეს **ზვიად ხანჯალიაშვილს** ხვდა.

აქვე გაუწყებთ, რომ რეგიონებს შორის საუკეთესო შედეგისთვის მალაზიების ქსელის - „ჩემპიონისა“ და „ტრენაჟორების სახლის“ გენერალური დირექტორის, ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის **უშანგი ყურაშვილის** მიერ დაწესებული პრიზით ქვემოქართლელები დაჯილდოვდნენ.

| კვარცხლბეკი |
| --- |
| **81 კგ** |
| 1. ხვიჩა ხუციშვილი - იმერეთი |
| 2. გიორგი შინჯიკაშვილი - ქვ. ქართლი |
| 3. ლევან წიკლაური - აჭარა |
| 3. საბა გავაშელიშვილი - კახეთი |
| **90 კგ** |
| 1. მინდია ბოლდაველი - მცხ. მთ. |
| 2. გრიგოლ მამრიკიშვილი - იმერეთი |
| 3. რევაზ ჩიკოიძე - თბილისი |
| 3. ზვიად გოგოჭური - კახეთი |
| **100 კგ** |
| 1. დავით ლორიაშვილი - ქვ. ქართლი |
| 2. დიმიტრი ტურაშვილი -კახეთი |
| 3. ვალერი იმერლიშვილი - კახეთი |
| 3. რევაზ მიქაბერიძე - გურია |
| **მძიმე წონა** |
| 1. ზვიად ხანჯალიაშვილი - კახეთი |
| 2. ალექსი დავითაშვილი - კახეთი |
| 3. ზვიად ჩინჩალაძე - ქვ. ქართლი |
| 3. ადამ ოქრუაშვილი - მცხ. მთ. |

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ბასილაშვილი აღარ ხუმრობს



16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** წარმატებით თამაშობს „ედი ჰერის ჩემპიონატში“, რომელიც 18-წლამდელთა ასპარეზზე პირველი კატეგორიის ტურნირია. ჩვენებური საკვალიფიკაციო ტურნირში მე-3 ნომრად იყო განთესილი, მან წარმატებით დაძლია სამი მეტოქის წინააღმდეგობა და ძირითად ბადეში გავიდა, სადაც გუშინ ტურნირის სენსაციად იქცა- ნიკოლოზი პირველ წრეში მე-9 ნომრად განთესილ სლოვენიელს **ბლაჟ როლას** ხვდებოდა, რომელიც 18 წლისაა და ახალგაზრდებში მსოფლიოს 49-ე ჩოგანია. ქართველმა კი მას ერთი ამოსუნთქვით მოუგო – 6:3, 6:1. მეორე წრეში ნიკოლოზ ბასილაშვილი მასპინძელს, ამერიკელ **ევან კინგს** (92) შეხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი — ინტერვიუ ირაკლი მაჩხანელთან

# ბევრმა ერთმანეთი აეროპორტში გაიცნო

**საქართველოს ნაკრების გარემარბი ირაკლი მაჩხანელი წლევანდელი სეზონის წინ, საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის მეორე დივიზიონში მოასპარეზე „აჟენში“ ჩაირიცხა. გარკვეული მიზეზების გამო, ბორჯღალოსანთა რიგებში მას ერთა თასის არც ერთ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია. თითქმის ერთწლიანი შესვენების შემდეგ, ირაკლიმ პირველად, ეროვნულ გუნდში შოტლანდიაში ითამაშა. საკლუბო კარიერასა და საქართველოს ნაკრების პერსპექტივაზე სასაუბროდ ირაკლი მაჩხანელს საფრანგეთში დავუკავშირდით:**

- კლუბში ცხოვრება ჩვეული რიტმით მიმდინარეობს. ახლაც ფიტნეს ცენტრში ვიმყოფები ფიზმომზადების მწვრთნელთან ერთად. ტრენაჟორებზე სპეციალურ ვარჯიშებს ვასრულებ. საბედნიეროდ, ტრავმა არ მაწუხებს. ერთი თვის წინათ გემატომა მქონდა ფეხზე და ორი მატჩის გამოტოვებამ მომიწია. სულ ეს იყო, სხვა სერიოზული პრობლემა არაფერი მქონია.

**- საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო შეხვედრაში „კოლომიეს“ წინააღმდეგ თავიდან ბოლომდე ითამაშეთ და ლელოც გაიტანეთ.**

- ჩემდა გასაკვირად, შოტლანდიიდან გუნდში რომ დავბრუნდი, პირველივე თამაშზე ძირითად შემადგენლობაში დამაყენეს. კარგად ვითამაშე, ლელოც გავიტანე და თუ არ ვცდები, მომდევნო ტურის მატჩში ლიონში, ძირითადში ისევ მე დამაყენებენ.

**- ჩემდა გასაკვირადო, თქვით. რა არის იმაში გასაკვირი, რომ ძირითად შემადგენლობაში დაგაყენეს?**

- დავიწყოთ იმით, რომ გუნდში ჩემს ადგილზე შვიდი მოთამაშეა. ახლახან კიდევ ერთი შემოგვემატა. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გარემარბი, ფიჯიელი რუპენი კაუკაუ. მერე გუნდის მწვრთნელს, კრისტოფ დელოს, დიდად არ ვეხატები გულზე. მე „აჟენში“ საქართველოს ნაკრების ყოფილი კონსულტანტის ანრი ბრონკანის მოყვანილი ვარ. ბრონკანი კი გუნდიდან გაუშვეს. ყველა გუნდში ასეა. ახალი მწვრთნელი რომ მოდის, თან თავისი მოთამაშეები მოჰყავს და ცხადია, ცდილობს, ხშირად სწორედ ისინი ათამაშოს. ჩემთვის საკმარისი არაა კონკურენტს ერთი თავით ჯობდე. თამაში თუ გინდა, მასზე ორი ან სამი თავით უკეთესი უნდა იყო.

**- თქვენი საუბრიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „აჟენის“ დატოვება მოგიწევთ?**

- „აჟენთან“ ორწლიანი კონტრაქტი მაქვს. ახლახან ჩემი ყოფილი გუნდის „მონ დე მარსანის“ მწვრთნელმა დამირეკა. მითხრა, როგორც ვხედავ, თამაში იშვიათად გიწევს. თუ „აჟენი“ შეგელევა, მზად ვარ, ისევ ჩვენს გუნდში ჩაგრიცხოთო. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. გამორიცხული არაა, მართლაც ისევ „მონ დე მარსანში“ დავბრუნდე.

**- „მონ დე მარსანმა“ შესაძლოა ელიტარული პირველი დივიზიონი დატოვოს. ხოლო „აჟენი,“ როგორც ჩვენთვის ცნობილია, იქ დასაბრუნებლად იბრძვის. შეძლებს თქვენი ამჟამინდელი გუნდი პირველ დივიზიონში აღზევებას?**

- მიმაჩნია, რომ „აჟენი“ არაა დღესდღეობით ისეთი გუნდი, რომელსაც პირველ დივიზიონში გადასვლა ხელეწიფება. ახლახან გუნდიდან ბრონკანი გაუშვეს. გუნდში დაძაბულობა არაა, მაგრამ სათამაშო კლასით მეორე დივიზიონის ლიდერებს მაინც ჩამოუვარდება.

**- დიდი ხანია „აჟენის“ შემადგენლობაში არ გამოჩენილა შერკინების პირველხაზელი ანტონ ფეიქრიშვილი. რა არის ამის მიზეზი?**

-ანტონს ტრავმა აწუხებს და ვარჯიშს მხოლოდ ახალი წლის შემდეგ შეუდგება. სხვა მხრივ მას გუნდში პრობლემა არ აქვს. ის საუკეთესო სამი ნომერია და როცა ჯანმრთელადაა, ძირითად შემადგენლობაში კონკურენტი ფაქტობრივად არ ჰყავს.

**- მოდით, ეროვნულ ნაკრებზეც ვილაპარაკოთ. ახლახან გუნდთან ერთად შოტლანდიაში იმყოფებოდით. როგორ შეაფასებდით იმას, რაც გლაზგოში მოხდა?**



- ვინც რაგბიში მეტ-ნაკლებად ჩახედულია, ადვილად მიხვდება, რომ შოტლანდიაში განცდილი მარცხის მიზეზი მაინც გამოუცდელობაა. ბევრმა მოთამაშემ ერთმანეთი აეროპორტში გაიცნო. შეუთამაშებელი და გამოუცდელი გუნდით თამაში კი შოტლანდიის წინააღმდეგ ძალიან ძნელია. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ასეთ წაგებასაც არ მოველოდით.

**- მალე ერთა თასის გათამაშება დაიწყება, რომელიც მომავალი მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირიცაა. რა შანსი აქვს საქართველოს ნაკრებს?**

- თუ ოპტიმალური შემადგენლობის შეკრება მოხერხდება, საქართველოს ნაკრები ძალიან ძლიერი გუნდი იქნება. ნაკრების მწვრთნელს, ტიმ ლეინს სწორი, ეფექტური ტაქტიკა აქვს შერჩეული. მის განხორციელებას კარგი ფიზიკური მომზადება სჭირდება. თუ მოვახერხეთ და ამ ტაქტიკით ავთამაშდით, ჩვენი გუნდი ორი-სამი საფეხურით წინ წაიწევს.

**- ნაკრებში გამოძახებისას გუნდი პრობლემას ხომ არ შეგიქმნით?**

- არა, რატომ უნდა შემიქმნას. მოთამაშეები საკმარისად ჰყავთ. ეგ კი არა, თუ ტიმ ლეინი ნებას დამრთავს, შვიდკაცა რაგბის ნაკრებშიც ვითამაშებდი დუბაიში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე. ასე რომ, მთავარია ჯანმრთელად ვიყო.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# რამაზის გაცილება


რამაზ გოგობერიშვილი — ავტორის ფოტო

დღეს, 16:30 საათზე, რუსთავის "აზოტის" დარბაზი ქართულ საკალათბურთო მექად იქცევა – **რამაზ გოგობერიშვილის** გაცილების მატჩი გაიმართება. ერთმანეთს დაუპირისპირდება რუსთავის "ენერჯი" და "საქართველოს ვარსკვლავთა" ნაკრები. აქვე გაგაცნობთ გუნდების შემადგენლობას.

რუსთავის "აზოტი": **მიშა ბერუაშვილი, ზაზა გაბისონია, ლევან ცეკვავა, მიშა ჭოჭუა, დათო არწივიძე, ლაშა გამყრელიძე, კოტე ტულუში, დავით უგრეხელიძე, ჟოლივეტ ტუჯანი, რეზო დიდია, ბესო ლეჟავა, ზვიად ბაბიაშვილი, რამაზ გოგობერიშვილი, ანატოლი ბოისა, გეგი ლიპარტელიანი.**

*მწვრთნელები:* ***ოთარ ხმელიძე, ალიკა უთალიშვილი, დავით უსტიაშვილი.***

მეგობრების გუნდი: **შიო ხეცურიანი, ლუკა შანიძე, გიორგი მარკოიშვილი, ვატო ნაცვლიშვილი, ბექა წივწივაძე, გიორგი გაგნიძე, ირაკლი კეიდია, ლევან მიქაბერიძე, ლაშა არველაძე, ალეკო დავითულიანი, დავით თორთლაძე, კახა შენგელია, ვახტანგ მინაშვილი.**

*მწვრთნელები:* ***ნუგზარ ჭეიშვილი, ზურა ტომარაძე, ლევან მოსეშვილი.***

ამ მოვლენასთან დაკავშირებით გუშინ "სპორტკაფეში" პრესკონფერენცია გაიმართა დღევანდელი მატჩის მონაწილე გუნდების წარმომადგენლების მონაწილეობით.

ვიდრე მაგიდას მიუჯდებოდა, რამაზ გოგობერიშვილმა მოკლედ განმარტა შეხვედრის მნიშვნელობა:

- კარგი იქნებოდა, ეს თამაში ზაფხულში ჩატარებულიყო და მასში საქართველოს ნაკრების წევრებსაც მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ არც ხვალინდელი სანახაობა უნდა გამოვიდეს ურიგო. თამაში იმ კალათბურთელებს შევთავაზე, რომელთა შესაჩერებლად წლების განმავლობაში ბევრი ოფლი მაქვს დაღვრილი. თუმცა, მოედნის მიღმა ყველა ჩემი მეგობარია.

ამასობაში ყველა, ვისაც პრესკონფერენციაზე ელოდნენ, "სპორტკაფეში" შეიკრიბა და, რა თქმა უნდა, შეხვედრაც რამაზმა გახსნა:

- ვფიქრობ, საინტერესო სანახაობა უნდა გამოვიდეს. მატჩამდე შედგება ახალი კლიპის პრემიერა. მას ანსამბლი "რეგიონი" შეასრულებს. შესვენებებისას დრო დაეთმობა მუსიკასა და ცეკვებს. მინდა ასევე ალვნიშნო, რომ მატჩის ორგანიზებაში დიდი დახმარება გაგვიწია ქალაქ რუსთავის მერიამ, ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციამ, "ენერჯი ინვესტის" ხელმძღვანელობამ და კალათბურთის ფედერაციამ.

რამაზ გოგობერიშვილს ვკითხეთ, საკუთარი კარიერის გახსენებისას ყველაზე მეტად რაზე წყდება გული და რა ახარებს.

- მიხარია, რომ ჩემი თამაშით ქომაგთა სიყვარული დავიმსახურე. მათ მხარდაჭერას მთელი კარიერის განმავლობაში ვგრძნობდი. გული კი იმაზე მწყდება, რომ ჩემმა თაობამ იმას ვერ მიაღწია, რისი შესაძლებლობაც ჰქონდა. ამის მიზეზი 90-იან წლებში საქართველოში დატრიალებული ამბები იყო. მაშინ, როცა სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში მიმიწვიეს და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატზე თამაშის შანსი მქონდა, საქართველო საბჭოეთს გამოეყო...

ერთ-ერთმა გამოცდილმა ჟურნალისტმა გოგობერიშვილს სამომავლო გეგმებზეც ჰკითხა: - ზეგ რა იქნებაო?

- ზეგ ბორჯომი და ხაში... – იხუმრა "ენერჯის" ვეტერანმა **ზაზა გაბისონიამ.**

რამაზმა გვითხრა, რომ მწვრთნელობას მოჰკიდა ხელი და ახლა რუსთავის მეორე გუნდის მეორე მწვრთნელია – **ბადრი კიკვიძეს** ეხმარება.

მატჩის მნიშვნელობაზე ზაზა გაბისონიამ ეს თქვა:

- კალათბურთიდან ბევრი ისე წავიდა, რომ მის კარიერას გვირგვინი ვერ დაედგა. არადა, ეს ყველასთვის დიდი სტიმულია. მიხარია, რომ გოგობერიშვილის შემთხვევაში გაცილების მატჩის მოწყობა მოხერხდა და ჩვენც ვეცდებით მასთან ერთად ძველი დრო გავიხსენოთ. ყოველდღიურად დილმის ბაზაზე ვვარჯიშობთ და შეხვედრას მეტ-ნაკლებად მონდომებული ვხვდები.

"ენერჯის" მეორე მწვრთნელი **მიხეილ ბერუაშვილი** დაგვპირდა, რომ დღევანდელ მატჩში ძველებური ჟინით ითამაშებს:

- მაშინ, როცა სპორტში ბავშვობიდან ხარ ჩართული, ერთ დღეს, უეცრად კარიერის დასრულება რთულია. სწორედ ამიტომაა კარგი გაცილების მატჩი. კარიერის ბოლო შეხვადრაში მეგობრებთან ერთად რომ ითამაშებ, სპორტთან გამომშვიდობებაც იოლდება.

სტუ-ში რამაზის თანაკლუბელმა **გიორგი გაგნიძემ,** შეგვახსენა, რომ გოგობერიშვილი ყოველთვის საიმედო თანაკლუბელი და ღირსეული მეტოქე იყო:

- გაცილების მატჩზე დაპატიჟება ნამდვილად გამეხარდა, მაგრამ, მეორე მხრივ, მეწყინა, რადგან კალათბურთიდან ასეთი მოთამაშის წასვლა ყოველთვის გულდასაწყვეტია. ვეცდებით, ხვალინდელი საღამო ლამაზი გამოვიდეს.

ბოლოს გთავაზობთ რამაზ გოგობერიშვილის მოკლე ბიოგრაფიას.

**საკლუბო კარიერა:**

**...16 წლისა ჩაირიცხა თბილისის "დინამოს" დუბლებში, ხოლო 17 წლისამ "დინამოს" ძირითად გუნდში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მატჩებში მიიღო მონაწილეობა.**

**...დამოუკიდებელი საქართველოს ჩემპიონატში სამ კლუბში უთამაშია: რუსთავის "აზოტში" (მოგვიანებით "ენერჯი"), ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდსა და თბილისის "დინამოში".**

**...90–იანი წლების შუაწელში თამაშობდა საბერძნეთის პაოკ-სა და "მენტში", ასევე გამოდიოდა პორტუგალიის უმაღლესი ლიგის კლუბ "ავეიროში".**

**სანაკრებო კარიერა:**

1998–2002 წლებში იყო საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი.

უთამაშია საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში

**მიღწევები:**

საქართველოს სამგზის ჩემპიონი, ორგზის თასისა და ორგზის სუპერთასის მფლობელი. დუდუ დადიანისა და ქორქია–საკანდელიძის მემორიალის გამარჯვებული.

ვაჟა სიმონიშვილი





ვიქტორ სანიკიძე (№13), გიორგი ცინცაძე (№8)

ქართველები ევროტურნირებზე

# როკი ევროპულად უკრავს

**ევროჩელენჯი**

**როკი (ესტ.)-ვირტუსი (იტ.) 73:75**

გიორგი ცინცაძე: **30 წუთი, 10 ქულა, 1 მოხსნა, 5 პასი, 4 ფოლი, 4 შეცდომა**

**ვიქტორ სანიკიძე: 8 წუთი, 4 მოხსნა, 1 ფოლი, 2 შეცდომა**

ევროპაში საუკეთესო საკალათბურთო ლიგა ესპანეთშია, შემდეგ მოდის იტალიისა და ა.შ. ესტონეთის ჩემპიონატი სადღაც შუაშია. თუმცა, "ტარტუ როკს" იმდენად კარგი მწვრთნელი (**ულარ კერდე**) და ძლიერი შემადგენლობა ჰყავს, რომ თუნდაც იტალიის ლიგის წარმომადგენლებს უტოლდება. ეს ევროჩელენჯის ბოლო ტურმაც დაამტკიცა – **გიორგი ცინცაძისა და ვიქტორ სანიკიძის** "როკმა" ბოლონიის "ვირტუსთან" ძირითადი დრო ფრედ - 66:66 დაასრულა, დამატებითში კი 73:75 დამარცხდა.

"როკერები" მატჩის დასრულებამდე წუთით ადრე 5 ქულით მარცხდებოდნენ, თუმცა ძლიერ მეტოქეს დარჩენილ დროში 5:0 მოუგეს და ანგარიშიც გაათანაბრეს. ოვერტაიმში NBA-მოვლილმა **ერლ ბოიკინსმა** (ერთ დროს **ნიკა ცქიტიშვილის** თანაგუნდელი იყო) კლასი ბოლომდე გამოავლინა და იტალიელებს შინ ორი ქულა წაალებინა.

სწორედ ამ 166 სმ სიმაღლის გამთამაშებლის წინააღმდეგ მოუწია თამაშმა 192 სმ სიმაღლის გიორგი ცინცაძეს. ქართველმა ბოიკინსთან ჭიდილს ენერგია ისე შეალია, რომ მისთვის უჩვეულოდ, გადამწყვეტ მომენტში თავი ველარ გამოიდო. ორი ტურის შემდეგ "ტარტუ როკს" თითო მოგება-წაგება უწერია.

**კიევი (უკრ.)-კალევი (ესტ.) 90:75**

მანუჩარ მარკოიშვილი: **26 წუთი, 9 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი, 3 ფოლი, 1 შეცდომა**

მეორე ესტონურ კლუბთან დამაჯერებლად ითამაშა **მანუჩარ მარკოიშვილის** "კიევმა". ქართველმა ფორვარდმა ნაადრევად მიიღო ჯარიმები, რაც მსაჯთან ენერგიულად გააპროტესტა, თუმცა შედეგი რომ არ მოჰყვებოდა, მანუმაც კარად იცოდა. საბოლოოდ, "კალევთან" დაპირისპირება მანუჩარისთვის რიგითი მატჩი გამოდგა.

"კიევის" ჯგუფში გერმანულმა "სკაილაინერსმა" რუსული "ტრიუმფი" 77:71 დაამარცხა და ორი ტურის შემდეგ ოთხივე გუნდს 3-3 ქულა აქვს.

**კახასოლი (ესპ.)-ლიეჟი (ბელ.) 78:79**

ტაირონ ელისი: **19 წუთი, 7 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 ფოლი**

"კახასოლის" კალათბურთელებმა ბელგიურ "ლიეჟთან" როგორ წააგეს, ალბათ, თვითონაც ვერ ხვდებიან. **ტაირონ ელისის** თანაკლუბელები მატჩის დასრულებამდე 13 წუთით ადრე 13 ქულის სხვაობით (62:49) იგებდნენ, მაგრამ 3 წუთში ბელგიელები ქულამდე მიიახლოვეს – 66:65, მეოთხე პერიოდში კი მეტოქეს გადასწრების უფლება მისცეს და ევროჩელენჯზე პირველი მარცხი გაიფორმეს.

მწვრთნელისა არ ვიცი, მაგრამ ჩემი აზრით, "კახასოლის" ასეთი წაგება ფსიქოლოგიას უნდა დაბრალდეს: სევილიელები ესპანეთის ჩემპიონატში თამაშს თამაშზე აგებენ და გამარჯვების რწმენა ერთგვარად დაკარგული აქვთ. ეს ევროჩელენჯზეც გამოჩნდა. თანაგუნდელებს ვერაფრით უშველა საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა ტაირონ ელისმა. "კახასოლს", "კიევისა" და "ტარტუს დარად, ორ მატჩში ერთი მოგება აქვს.

ვაჟა სიმონიშვილი

კრივი

# მერიისა და დავით კვაჭაძის თასზე

კრივში თბილისის მერიისა და დავით კვაჭაძის თასის ღია გათამაშებაში, რომელიც დედაქალაქში ამ დღეებში გაიმართა, საქართველოს საკრივო ცენტრების წარმომადგენლების გარდა სომხეთის რამდენიმე სპორტსმენიც მონაწილეობდა. ტურნირი ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა. მერიის თასი გათამაშდა 1991-92 წლებში დაბადებულებისთვის. 1993-94-წლიანები კი ერთმანეთს პირველობას დავით კვაჭაძის პრიზზე ეცილებოდნენ. მერიის თასი წილად ხვდა 48 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებულ **სერგო ჭილაძეს**, რომელიც თბილისის დუნდუების კრივის დარბაზის (დკდ) წარმომადგენელია. მისმა თანაგუნდელებმა **ლევან კაჟაშვილმა** და **ადილა ასლანოვმა** შესაბამისად 51 და 54 კგ წონით კატეგორიაში გაიმარჯვეს. 57 კილოში ფოთელმა **გოგი ბუკიამ** იპირველა. ამ ასაკში თუ მხოლოდ 4 წონაში ჩატარდა შეჯიბრება, უმცროსებში მედლების 13 კომპლექტი გათამაშდა. გაგაცნობთ გამარჯვებულებს: **46 კგ** - გიორგი გოგიაშვილი, **48 კგ** - ველოდი ტყებუჩავა (ორივე - ფოთი), **50 კგ** - ტარიელ მესხაძე (ტყიბული), **52 კგ** - ზაველ ამირხანიანი (სომხეთი), **54 კგ** - ბექა ელიზბარაშვილი (დკდ), **57 კგ** - ალეკო ჭადაშვილი (თბილისი), **60 კგ** - ალეკო შუკვანი (დკდ), **63 კგ** - გიგა გიგაური (გორი), **66 კგ** - ალექსანდრე დოკვაძე (რუსთავი), **70 კგ** - ახმედ ინჯია (ფოთი), **75 კგ** - ოთარ გაგუა (დკდ), **80 კგ** - თორნიკე ტაბუცაძე (დკდ), **86 კგ** - ტარიელ დავითური (სოფ. გამარჯვება).

მთავარი ჯილდო - დავით კვაჭაძის თასი **გიორგი გოგიაშვილს** გადაეცა.

თორნიკე გაჩეჩილაძე

ხელბურთი


პოლონეთის ეროვნულ ნაკრებთან მატჩის წინ

# კარგი მასპინძლობა და გაუჩინარებული მეტოქეები

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების პოლონური ვოიაჟის შესახებ ოპერატიულ ინფორმაციებს გაწვდიდით, მაგრამ "ლელოს" მკითხველი მხოლოდ მატჩების ტექნიკურ შედეგებს ეცნობოდა. ჩვენი გუნდი უკვე თბილისშია და მის წევრებს განვლილი შეხვედრებისა და სხვა პოლონური ამბების გახსენება ვთხოვეთ. ვფიქრობთ, იქ მომხდარი პერიპეტიების შესახებ შედარებით ვრცელი მონათხრობი უინტერესო არ უნდა იყოს.

## გერმანიისა და ნორვეგიის გარეშე

საქართველოს ნაკრებმა მიუნხენის გავლით იფრინა და პოზნანის აეროპორტში დაეშვა. იქიდან ქართულმა დელეგაციამ ავტობუსით ოთხი-ხუთი საათი იმგზავრა და პატარა ქალაქ ლეშნიეში ჩააღწია, სადაც პირველი მატჩი ჩაატარა.

ქართულ მხარეს პოლონელებმა წინასწარ უთხრეს, რომ საერთაშორისო ოთხთა ტურნირზე ეპატიჟებოდნენ, სადაც ქართველთა და მასპინძელთა გარდა, გერმანიისა და ნორვეგიის ახალგაზრდულ ნაკრებებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ჩვენებმა მხოლოდ პოლონეთში ჩასვლის შემდეგ გაიგეს, რომ არანაირი ოთხთა ტურნირი არ იმართებოდა და მხოლოდ ადგილობრივ ნაკრებებთან მოუწევდათ თამაში. ამ ამბავმა ქართველთა შორის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ სხვა რა გზა იყო და რეალობას შეეგუენ.

## დათუკაშვილის ნაადრევი ფინიში

ლეშნიეში გუნდი 3-ვარსკვლავიან სასტუმროში დაბინავდა. თამაში იქვე ახლოს მდებარე დარბაზში გაიმართა. აქაც და სხვა ქალაქებშიც საქართველოს ნაკრებს იდეალური საწვრთნელი პირობები ჰქონდა და არც სასტუმროებში უჩიოდა კომფორტის სიმცირეს.

პოლონეთის ახალგაზრდულთან პირველი მატჩი, რომელსაც ათასი მაყურებელი დაესწრო, პოლონელებმა 34:30 მოიგეს. არადა, საკმაო დროის განმავლობაში ჩვენი გუნდი წინ იყო. ქართველებმა პირველი ტაიმი თავის სასარგებლოდ, 19:14 დაასრულეს. შეხვედრის დასკვნითი ნაწილი პოლონელებმა უკეთ ჩაატარეს, თუმცა ქართული მხარე მსაჯობით უკმაყოფილო დარჩა. მატჩი საფინალო სირენამდე 20 წუთით ადრე დაასრულა **სერგო დათუკაშვილმა**, რომელიც ორწუთიანში მესამედ გააძევეს. ჩვენების თამაშს ამან დიდი დაღი დაასვა. სერგო საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მაინც საუკეთესო იყო – 11 გოლი გაიტანა, **რეზო ჭანტურიამ** კი მეტოქის კარი 8-ჯერ აიღო.

ამ მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღო **ლევან ბერძენიშვილმა**, რომელიც დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, პოლონეთში დაგვიანებით ჩავიდა. მომდევნო ორი შეხვედრის უდიდესი ნაწილი მან მოედანზე გაატარა.

## მსაჯები გააქტიურდნენ

ის ღამე გუნდმა ლეშნიეში გაათენა, მეორე დილით კი 200 კილომეტრში მდებარე ვანგროვეცისკენ გაემართა. პოლონელები ქართველებს იქ კიდევ უფრო თბილად დახვდნენ, სამაგიეროდ, ჩვენები ამ თამაშის მსაჯობით მეტისმეტად უკმაყოფილონი დარჩნენ. მეტოქემ ამჯერად ხუთბურთიანი უპირატესობით, 33:27 მოგვიგო. პირველ ტაიმში პოლონელებმა 16:14 გაიმარჯვეს. ერთი სიტყვით, ამ შეხვედრაში პოლონეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრებმა შედარებით ნაკლები ინერვიულეს. ამ მატჩს 800 მაყურებელი დაესწრო.

თამაშის შემდეგ ქართველებს ვანგროვეცის მერმა თბილი მიღება მოუწყო. იქაურები ჩვენების ვიზიტით გახარებულები იყვნენ. ვანგროვეცი სახელბურთო ქალაქი ყოფილა, იქაურ აკადემიას ხელბურთის არაერთი ვარსკვლავი აღუზრდია.

## მესამე და მთავარი

დადგა პოლონეთის ეროვნულ ნაკრებთან დაპირისპირების დროც. სასწაული უნდა მომხდარიყო, მსოფლიო ხელბურთის ელიტაში შემავალ გუნდთან დადებითი შედეგისთვის რომ მიგვეღწია და ამიტომაც მსაჯებმა ჩრდილში ყოფნა ამჯობინეს.

თამაშს ქალაქმა კალიშუმ უმასპინძლა. მატჩმა გულშემატკივართა უდიდესი ინტერესი გამოიწვია და დარბაზში 3 ათასი ადამიანი მივიდა. როგორც იცით, პოლონურ-ქართული შეხვედრები იქაური ხელბურთის 90-წლიან იუბილეს მიეძღვნა. ეროვნულ ნაკრებთა მატჩს სწორედ ამ მოვლენისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება უძღოდა, რომლის ორგანიზატორიც სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ცნობილი ფირმა "ჰუმელი" იყო. სწორედ ეს კომპანიაა პოლონეთისა და საქართველოს ნაკრებების ტექნიკური სპონსორი. ფორმების პირველი, თეთრი ფერის კომპლექტი ჩვენს ფედერაციას პოლონეთში გამგზავრებამდე ჩამოუვიდა, წითელი კომპლექტი კი ჩვენს გუნდს უშუალოდ ამ მატჩის დაწყებამდე გადაეცა.

საქართველოს ჰიმნს პოლონელები დიდი ოვაციებით შეხვდნენ. საერთოდ, მთელი ტურნეს განმავლობაში ჩვენი დელეგაციის წევრები მასპინძელთაგან უდიდეს სითბოსა და პატივისცემას გრძნობდნენ.

შეიძლებოდა, მთავარი მატჩი ნაკლები სხვაობითაც წაგვეგო, მაგრამ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ბექა ორჯონიკიძემ** პოლონეთში წაყვანილი ყველა ხელბურთელი ათამაშა. სწორადაც მოიქცა, რადგან პოლონური ვიზიტის მთავარი მიზანი გამოცდილების მიღება იყო და არა ოდენ შედეგისთვის ბრძოლა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ პოლონეთში აბსოლუტურად უვარჯიშებელი და შეუთამაშებელი გუნდი გაემგზავრა. თუკი ლეგიონერები ნორმალურ კონდიციებში იყვნენ, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გაუმართაობის გამო, აქაურ კლუბებში მოასპარეზე ხელბურთელებისთვის ნაკრებში თამაში ნამდვილად არ იყო იოლი.

**პოლონეთი-საქართველო 39:30**
**პირველი ტაიმი 17:12**

პოლონეთი: **შმალი, მალხერი** (1 გოლი) – **იურკევიჩი** (2 გოლი), **ბელეცკი** (3 გოლი), **იურაშიკი** (4 გოლი), **ლიევსკი** (6 გოლი), **სიოდმიაკი** (2 გოლი), **იაშკა** (3 გოლი), **ბ. იურეკი** (4 გოლი), **ვლეკლაკი** (1 გოლი), **ჟოლტაკი** (1 გოლი), **კოსტრჟევა** (4 გოლი), **კუხშინსკი** (2 გოლი), **იახლევსკი** (4 გოლი, გაძევება).

საქართველო: **თევზაძე, ანდრიაძე, ტორონჯაძე – ჭანტურია** (4 გოლი), **გ. ჩიქოვანი, ნივნივაძე** (2 გოლი), **დათუკაშვილი** (8 გოლი), **მსხვილიძე** (9 გოლი), **ბერძენიშვილი** (3 გოლი), **გოგალაძე** (1 გოლი), **მაისურაძე** (1 გოლი), **ქარდავა, ყიფიანი, გრიშიკაშვილი** (2 გოლი, გაძევება).

ჩვენი ნაკრების სასტარტო შვიდეული: **თევზაძე - ჭანტურია, ბერძენიშვილი, დათუკაშვილი, მსხვილიძე, გრიშიკაშვილი, ყიფიანი.**

მატჩის შემდეგ პოლონელებმა ქართველები ასაუზმეს და ჩვენი გუნდი იმავე საღამოს გაემგზავრა პოზნანში, საიდანაც მიუნხენის გავლით თბილისში დაბრუნდა. ლეგიონერებმა საკუთარ კლუბებს მიაშურეს.

## ორჯონიკიძის შანსი

**იმედო ფხაკაძე** ეროვნული ნაკრებიდან მოულოდნელად წავიდა და მისი ადგილი სულ ცოტა ხნის წინ დაიკავა ბექა ორჯონიკიძემ. მასთან მუშაობით ნაკრების წევრები კმაყოფილები არიან, ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ახალი მწვრთნელი დიდ ყურადღებას აქცევს დისციპლინას და თანამედროვე ხელბურთის ნიუანსებშიც კარგად ერკვევა.

ორჯონიკიძე ჯერაც დროებით მწვრთნელად განიხილება და გადამწყვეტი სიტყვა, ბუნებრივია, ფედერაციის ახალ ხელმძღვანელობაზეა. ბექას თანამდებობაზე დარჩენის სოლიდური შანსი აქვს. ამ წლის ბოლომდე იგი მთავარ მწვრთნელად, ალბათ, ყველა შემთხვევაში დარჩება. მალე საქართველოს ნაკრები ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით დიდუბის მანეჟში ერთთვიან შეკრებას დაიწყებს. პოლონური ტურნე გუნდისთვის სასარგებლო იყო, მაგრამ ამაზე უფრო მნიშვნელოვანი ოფიციალური შეჯიბრებებია, რომლებიც, ვიმედოვნებთ, გაისად, წლევანდელისგან განსხვავებით, ჩვენ გარეშე არ ჩაივლის.

**ლევან ჯანეზაშვილი**

---

საპარტიზო მესიერებისთვის!

# შეგახსენებთ: მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდასა და ბავშვთა სპორტში საგანგაშო მდგომარეობაა

### ღია წერილი კოლეგებს, ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელთა გასაგონად!

## ნუ შეაჯავრებთ ბავშვებს ფეხბურთს!




22 ნოემბერს, ჩემს დაბადების დღეზე ტელევიზიით კი უჩვენებდნენ, მაგრამ გული როგორ მომითმენდა, „ბორის პაიჭაძეზე" „დინამო"-"გაგრის" მატჩს არ დავსწრებოდი? 55-ათასიან სტადიონზე 80-მდე კაცი იჯდა, მათ შორის ჩემს წინ ოციოდე 9-10 წლის ნორჩი ფეხბურთელი, რომელთაც, ეტყობა იქვე გვერდით მდებარე ხელოვნურსაფარიანზე ვარჯიში დაუმთავრდათ და „დინამოს" თამაშის საყურებლად სამხრეთ ტრიბუნაზე მოიკალათეს. თამაში 20-25 წუთის დაწყებული იყო, როდესაც მათთან ნარინჯისფერ ფორმაში გამოწყობილი სტადიონის თანამშრომელი მივიდა და ბავშვები ტრიბუნიდან გააგდო... დამაინტერესა და გავყევი, აღმოჩნდა, რომ უბილეთოდ შემოსულიყვნენ... უნდა გენახათ წესრიგის დამცველთა სახეები – თითქოს დიდი დანაშაული გაეხსნათ!... ჩემს აქტიურ პროტესტზე მომიგეს, რა ვქნათ, ბატონო – კანონია, უბილეთოები არ უნდა შემოვუშვათო! თურმე ეროვნულ ჩემპიონატში არავითარი შეღავათები არ არის გათვალისწინებული არც სკოლის მოსწავლეებზე და არც ნორჩი ფეხბურთელებისთვის და ყველამ დაწესებული ფასი – 2 ლარი უნდა გადაიხადოს! ერთმა ყველაზე აქტიურმა წესრიგის დამცველმა ისიც კი მითხრა უტიფრად: თუ ასე შეგტკივა გული, მიდი და ბილეთები შეუძინეო! არც დავფიქრებულვარ და ასეც მივიქეცი, მაგრამ განა მეორედაც მოვლენ ის ბავშვები სტადიონზე ამგვარი, არ ვიცი, რა დავარქვა და, იდიოტური წესების შემდეგ? ამიტომაც დადის ჩვენი ჩემპიონატის მატჩებზე ყველაზე ცოტა მაყურებელი მსოფლიოში... რად გვინდა ისეთი თამაში და ჩემპიონატი, თუ მას ჩვენი მომავალი თაობა არ დაესწრება? ვისთვის ვთამაშობთ? ან ტელევიზიაში როგორი საჩვენებელია პირდაპირი ეთერით ცარიელი ტრიბუნები? ეს ხომ ბუნებრივი ანტირეკლამა გამოდის?

ეს წერილი გაბრაზებულ გულზე დონეცკში დავწერე, ჩემპიონთა ლიგაში „შახტარი" შვეიცარიულ „ბაზელს" რომ ხვდებოდა. არ გაინტერესებთ, რა მდგომარეობაა ამ მხრივ დონეცკში?

26-ათასიანი ცენტრალური სტადიონის სამი სექტორი (33, 34 და 35) საგანგებოდ აქვთ დათმობილი საშუალო და საფეხბურთო სკოლის მოწაფეებს. კლუბი მათ ბილეთებს უფასოდ ურიგებს, ავტობუსებითაც უზრუნველყოფს და მეტიც, „შახტარის" ნარინჯისფერ დროშებსაც ამაგრებს ყველა სკამზე და უნდა ნახოთ, რა ხდება ტრიბუნებზე! აგერ, ბოლო მატჩში საფეხბურთო კლუბ „ლვოვთან", 10 ათასი კაციდან 6 000 (ექვსი ათასი!) სკოლის მოწაფე იჯდა და „შახტარს" ქომაგობდა!

იმ დღეს კი გაბრაზებულმა თბილისის „დინამოს" მუშაკებსაც ვკითხე, რატომ არ მუშაობენ ამ მხრივ. მესმის, რომ ყველა მსურველი ბავშვისთვის ბილეთის შეძენა კლუბის ბიუჯეტს დააწვება, მაგრამ ხომ შეიძლება უფასოდ შემოვუშვათ 12 წლამდელები მაინც? მათ როგორც ამიხსნეს, თურმე სფფ და პფლ ყოფილა ამის წინააღმდეგი... მოკლედ, შეიძლება გადაირიო კაცი! მსოფლიოს რომელ ქვეყანაში გააგდებენ 55 000-იან ცარიელ (!!!) სტადიონზე მოსულ 20 ბავშვს ქუჩაში?

არ ვიცი, ვისი საქმეა, მაგრამ სასწრაფოდ უნდა იქნას მოწვეული სფფ-ის აღმასკომის სხდომა და ეს ნონსენსი გამოსწორდეს. გადავწყვიტე, ოფიციალური წერილი მივწერო სფფ-ს აღმასკომს!

ნუ შეაჯავრებთ პატარა ქართველებს ფეხბურთს!!!

**მამუკა კვარაცხელია**
სფფ-ის დამფუძნებელი
უეფას მედია ოფიცერი


ასეა ჩვენთან...


ასეა სხვაგან...

## კალათბურთი

### NBA რეგულარული ჩემპიონატი

**სან ანტონიო–დეტროიტი 77:89**
22:17, 23:23, 18:21, 14:28

ს-ა: დანკანი (23+13 მოხსნა), პარკერი (18), ჯინობილი (13), ბონერი (5+9 მოხსნა).

დ: აივერსონი (19+6 პასი+4 ჩაჭრა), რ. უოლასი (19), ჰემილტონი (16), პრინსი (15+12 მოხსნა), სტაკი (10+7 პასი).

**დენვერი–ტორონტო 132:93**
33:19, 31:26, 36:23, 32:25

დ: ბილაპსი (24+14 პასი), ენტონი (23), ნენე (19+11 მოხსნა), სმიტი (14), კლეიზა (12), მარტინი (11).

ტ: ბოში (24+12 მოხსნა), უკიჩი (13), ჯ. ო'ნილი (12), გრემი (10), კალდერონი (9+7 პასი).

**დალასი–კლიპერსი 100:98**
21:27, 26:28, 21:26, 32:17

დ: ნოვიცკი (29+10 მოხსნა), ტერი (26), ბარეა (15+6 პასი), ბასი (14+7 მოხსნა), კიდი (0+7 მოხსნა+8 პასი+4 ჩაჭრა).

კ: რენდოლფი (27+10 მოხსნა), ტორნტონი (23+9 მოხსნა), ბ. დევისი (22+6 პასი), ე. გორდონი (13+3 დაფარება), კემბი (6+15 მოხსნა).

**ინდიანა–ლეიკერსი 118:117**
28:30, 33:36, 25:35, 32:16

ი: გრეინჯერი (32), ფორდი (21+8 პასი+3 ჩაჭრა), მ. დენიელსი (16), მერფი (16+17 მოხსნა), ნესტეროვიჩი (16+10 მოხსნა).

ლ: ბრაიანტი (28+7 მოხსნა), პ. გასოლი (20+9 მოხსნა), ბინუმი (17+9 მოხსნა), არიზა (13+3 ჩაჭრა), რადმანოვიჩი (10), ფიშერი (10).

**ნიუ იორკი–პორტლენდი 97:104**
31:24, 18:25, 26:22, 22:33

ნ-ი: დუპონი (23+13 პასი), ლი (19+12 მოხსნა), ჰარინგტონი (16), ტ. ტომასი (14), ჩენდლერი (11).

პ: როი (23+3 ჩაჭრა), ფერნანდესი (18), ოლდრიჯი (17), აუთლო (16), ბლეიკი (15+6 პასი), პრჟიბილა (8+14 მოხსნა).

**ჩიკაგო–ფილადელფია 95:103 (ო)**
13:23, 24:17, 24:27, 27:23, 7:13

ჩ: როუზი (24), გორდონი (18+8 მოხსნა), ტ. ტომასი (14+13 მოხსნა+3 დაფარება), დენგი (10).

ფ: ა. მილერი (28+3 ჩაჭრა), იგუოდალა (25+9 მოხსნა), ბრენდი (22+14 მოხსნა), სპეიტსი (11+8 მოხსნა).

**ნიუ ჯერსი–ვაშინგტონი 88:108**
27:28, 23:23, 12:35, 26:22

ნ-ჯ: ჰარისი (18), კარტერი (16), დულინგი (14), ბ. ლოპესი (10+9 მოხსნა+3 დაფარება).

ვ: ბატლერი (22+10 პასი), ჯეიმისონი (22+8 მოხსნა), სტივენსონი (21), იანგი (12), დ. ბრაუნი (8+7 პასი).

**საკრამენტო–იუტა 94:99**
24:20, 14:19, 28:25, 28:35

ს: მარტინი (22), მილერი (18+9 მოხსნა+4 დაფარება), უდრიხი (17), ჰოვსი (14+7 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა), გარსია (11).

ი: კორვერი (15), დ. უილიამსი (14+7 პასი), ბრიუერი (14), მილსეპი (13+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), ელმონდი (12), ოქური (9+11 მოხსნა).

## ჰოკეი

### NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ფილადელფია–ტამპა ბეი 4:3 (ო)**
1:1, 0:0, 2:2, 1:0

**გოლები:** 1:0 ჯ. კარტერი-17 (ტიმონენი-10, ლუპული-4), 1:1 რეკი-6 (ი. იოკინენი-4, პროსპალი-10), 2:1 მ. რიჩარდსი-9, 3:1 ჯ. კარტერი-18 (ჰარტნელი-8, ლუპული-5), 3:2 პროსპალი-5 (სენტ ლუისი-13, ემინგერი-10), 3:3 დაუნი-1 (სმოლენაკი-1, სტემკოსი-8), 4:3 მ. რიჩარდსი-10 (ტიმონენი-11, ჯ. კარტერი-7).

**ვაშინგტონი–ფლორიდა 3:5**
1:0, 0:3, 2:2

**გოლები:** 1:0 ბექსტრიომი-6 (ფლიშმანი-6, ლეპისტო-3), 1:1 პელტონენი-4 (დვორაკი-7), 1:2 ბოუმისტერი-3, 1:3 მაკეიბი-4 (მაკლინი-6, ფროლიკი-3), 1:4 დვორაკი-3 (გ. კემპბელი-5, პელტონენი-5), 2:4 ვიქ. კოზლოვი-4 (ბექსტრიომი-17, შ. მორისონი-2), 3:4 ფლიშმანი-10 (ოვეჩკინი-18, ვიქ. კოზლოვი-9), 3:5 გ. კემპბელი-5 (სკრასტინსი-4).

**მონრეალი–ატლანტა 5:4**
1:0, 2:0, 2:4

**გოლები:** 1:0 დ'აგოსტინი-1 (ა. კოსტიცინი-6, ს. კოივუ-13), 2:0 პლეკანეცი-6 (კოვალიოვი-12, გორჯესი-5), 3:0 მარკოვი-4 (ა. კოსტიცინი-7, ლანგი-9), 3:1 ჰეინსი-4 (ექსელბი-3), 3:2 ჰეინსი-5 (ლიტლი-11, ვიაჩ. კოზლოვი-10), 3:3 ტორნბურნი-2 (რისონერი-4, კოვალჩუკი-14), 4:3 ა. კოსტიცინი-5 (ს. კოივუ-14, ბუიონი-2), 5:3 ლანგი-7 (კოვალიოვი-13), 5:4 ჯეისონ უილიამსი-7 (კოვალჩუკი-15, ჰეინსი-11).

**კალგარი–დალასი 1:3**
0:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 პეტერსენი-2 (რობიდასი-9, გროსმანი-2), 1:1 მოსი-6 (ლომბარდი-4, ა. ოკუანი-6), 1:2 ბრუნსტრიომი-7 (დელეი-7, ნისკანენი-3), 1:3 ლ. ერიქსონი-12 (რობიდასი-10).

**ფინიქსი–ლოს ანჯელესი 4:2**
1:1, 0:1, 3:0

**გოლები:** 0:1 ფროლოვი-10, 1:1 დოუნი-12 (ჟოვანოვსკი-7, ტარისი-6), 1:2 მოლერი-5 (ჟუინსი-12, ჰაროლდი-6), 2:2 ლისინი-3 (იენდლი-12, პორტერი-5), 3:2 ლისინი-4 (მორისი-2), 4:2 ჰანჟალი-3 (ბოედკერი-6, ზ. მიხალეკი-6).

**სან ხოსე–ტორონტო 5:2**
4:0, 0:1, 1:1

**გოლები:** 1:0 სეტოგუჩი-13 (ჯ. ტორნტონი-21, რ. ბლეიკი-16), 2:0 ჯ. ტორნტონი-7 (პაველსკი-11, მარლო-16), 3:0 ბოილი-9 (მარლო-17, ჯ. ტორნტონი-22), 4:0 ვლასიჩი-3 (ჯ. ტორნტონი-23, სეტოგუჩი-16, ), 4:1 კულემინი-5 (ჰაგმანი-11, გრაბოვსკი-7), 5:1 პაველსკი-11 (მ. მიხალეკი-10), 5:2 ჰაგმანი-8 (ანტროპოვი-10, გრაბოვსკი-8).

## კრივი. დეკემბრის ანონსი

# დე ლა ჰოია, კლიჩკო, ჰოლიფილდი: წინ დიდი დეკემბერი გველის




**თვის დასაწყისში ტრადიციულად გთავაზობთ ყველაზე მნიშვნელოვანი საკრივო ორთაბრძოლების ანონსს. ამჯერად კრივის მოყვარულებს ძალიან საინტერესო ოთხი კვირა ელით, რომელიც წლის დაპირისპირებად მიჩნეულ ბრძოლასა და სხვა სატიტულო ორთაბრძოლებს აერთიანებს.**

### ოსკარ დე ლა ჰოია VS მენი პაკიაო

6 დეკემბერი. ლას ვეგასი. არასატიტულო ბრძოლა

ეს დაპირისპირება 2008 წლის მთავარ საკრივო მოვლენად არის მიჩნეული. რინგზე ავლენ თანამედროვე კრივის სუპერვარსკვლავები - ექვს წონით კატეგორიაში მსოფლიოს ერთადერთი ჩემპიონი, მექსიკური წარმოშობის ამერიკელი **ოსკარ დე ლა ჰოია** და ოთხ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონი, ფილიპინელი **მენი პაკიაო**, რომელიც ბევრი სპეციალისტის აზრით, დღეისთვის პლანეტის საუკეთესო მოკრივის სახელს ატარებს.

პაკიაომ თავისი პირველი ტიტული ჯერ კიდევ უმჩატეს წონაში მოიპოვა, ამა წლის ივნისში მჩატე წონაში დაისაკუთრა საჩემპიონო ქამარი, ახლა კი მაღალი ჰონორარის გამო გარისკა და ვარსკვლავური სტატუსის მქონე მოკრივესთან ბრძოლას დათანხმდა, რომელიც ბოლო წლებში პირველ საშუალო და საშუალო წონებში ჩხუბობდა. შემხვედრი ნაბიჯი ყველაზე შემოსავლიანმა და ყველასთვის სასურველმა მეტოქემ დე ლა ჰოიამაც გადადგა და პაკიაოსთან შესახვედრად საკუთარი წონა ნახევრადსაშუალოს წონითი კატეგორიის ლიმიტამდე დაიგდო.

კრივის მოყვარულებს მიაჩნიათ, რომ ეს იქნება ფიზიკური მონაცემებითა და გაბარიტებით არათანაბარი მოკრივეების ბრძოლა, მაგრამ როგორც ამბობენ, ფულს ბევრი რამ შეუძლია. ბუკმეიკერები უპირატესობას დე ლა ჰოიას ანიჭებენ - მის გამარჯვებაზე კოეფიციენტი ორიდან სამამდე მერყეობს.

### ხუან მანუელ ლოპესი VS სერხიო მანუელ მედინა

*6 დეკემბერი. ლა ვეგასი. WBO-ის ვერსია*

თანამედროვე კრივის ყველაზე პერსპექტიულ მოკრივედ მიჩნეული პუერტორიკოელი **ხუან მანუელ ლოპესი** ივნისში მოპოვებულ ტიტულს არგენტინელ **სერხიო მანუელ მედინასთან** ბრძოლაში დაიცავს. ეს დაპირისპირება დე ლა ჰოიასა და პაკიაოს ბრძოლის "ანდერკარდზე" შედგება.

მედინა პირველად იჩხუბებს სატიტულო ბრძოლაში, თუმცა მისი წარმატებისა არავის სჯერა, მათ შორის ბუკმეიკერებსაც, რომლებმაც არგენტინელის მოგებაზე კოეფიცენტად 65.0 დააწესეს.

### კარლ ფროჩი VS ჟან პასკალი

*6 დეკემბერი. ნოტინგემი. WBC-ის ვერსია*

სუპერსაშუალო წონაში მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონის, ბრიტანელი **ჯო კალზაგეს** ნებით დატოვებულ ტიტულს ჯერჯერობით დაუმარცხებელი მოკრივეები - ბრიტანელი **კარლ ფროჩი** და კანადელი **ჟან პასკალი** გაითამაშებენ.

ორივესთვის ეს კარიერაში პირველი სატიტულო ბრძოლა იქნება. ფროჩს უპირატესობა აქვს, რადგან ის ნოტინგემშია დაბადებული და პრაქტიკულად „საკუთარ სახლში" მასპინძლობს ჰაიტური წარმოშობის კანადელს. ბუკმეიკერები ფავორიტად სწორედ ინგლისელს ასახელებენ.

### ვლადიმირ კლიჩკო VS ჰასიმ რაჰმანი

*13 დეკემბერი. მანჰაიმი. IBF/WBO-ის ვერსიები*

თავდაპირველად, უკრაინელ **ვლადიმირ კლიჩკოს** თავისი ტიტულები **ალექსანდრ პოვეტკინთან** სავალდებულო ბრძოლაში უნდა დაეცვა, მაგრამ მზადების პროცესში რუსმა ტრავმა მიიღო. უმცროსმა კლიჩკომ ჰონორარის დაკარგვა არ მოინდომა და დანიშნული დღისთვის სხვა მეტოქის ძებნა დაიწყო. უკრაინული გუნდის არჩევანი მსოფლიოს ყოფილ ორგზის ჩემპიონზე, ამერიკელ **ჰასიმ რაჰმანზე** შეჩერდა.

ამ ბრძოლასაც ჰყავს გამოკვეთილი ფავორიტი - სპეციალისტებსა და ბუკმეიკერებს ეჭვი არ ეპარებათ კლიჩკოს გამარჯვებაში.

### ჯეიმს ტუნი VS ტონი ტომპსონი

*13 დეკემბერი. კაბაზონი. IBA-ის ვერსია*

ნაკლებად ცნობილი ვერსიის სატიტულო ბრძოლაში სამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ამერიკელი **ჯეიმს ტუნი** თანამემამულე **ტონი ტომპსონს** შეხვდება, რომელიც ივლისში ვლადიმირ კლიჩკოსთან დამარცხების შემდეგ უბრუნდება პროფესიულ კრივს.

ვეტერან ჯეიმს ტუნის რაც შეეხება, ის კარიერაში 82-ე (!) ბრძოლას გამართავს.

### ნიკოლაი ვალუევი VS ევანდერ ჰოლიფილდი

*20 დეკემბერი. ციურიხი. WBA-ის ვერსია*

**ნიკოლაი ვალუევმა** წელს, აგვისტოში დაიბრუნა WBA-ის საჩემპიონო ქამარი და ახლა ტიტულის პირველ დაცვას მსოფლიოს კრივის ლეგენდასთან, სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ **ევანდერ ჰოლიფილდთან** ბრძოლაში აპირებს.

46 წლის ვეტერანმა მეხუთე ტიტულის მოპოვება შარშანაც სცადა, მაგრამ ოქტომბერში, WBO-ის მაშინდელ ჩემპიონ რუს **სულთან იბრაჰიმოვიჩთან** დამარცხდა. საყოველთაო პროგნოზის მიხედვით, ჰოლიფილდს იგივე ბედი ელის რუს გიგანტთან დაპირისპირებაში.

### უმბერტო სოტო VS ფრანსისკო ლორენსო

*20 დეკემბერი. მექსიკა. WBC-ის ვერსია*

მექსიკელმა **უმბერტო სოტომ** და დომინიკელმა **ფრანსისკო ლორენსომ** წელს უკვე ერთხელ იჩხუბეს, მაგრამ ივნისში გამართული ბრძოლა სოტოს სკანდალური დისკვალიფიკაციით დასრულდა, არადა რეფერის მექსიკელისთვის ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება უნდა მიენიჭებინა.

WBC-მა გააუქმა მსაჯის ვერდიქტი და დაადგინა, რომ ლორენსო არ უნდა გამოეცხადებინათ ჩემპიონად. და აი, ახლა, ეს მოკრივეები კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს და WBC-ის ვერსიით პირველ საშუალო წონაში ვაკანტურ ტიტულს გაითამაშებენ. ვარაუდობენ, რომ ამჯერად უმბერტო სოტო ყველა პრობლემას მოაგვარებს და პირველად თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში, წელზე კუთვნილ საჩემპიონო ქამარს შემოირტყამს.

მიმოხილვა მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# დე ლა ჰოიას ძეგლი დაუდგეს



**მენი პაკიაოსთან** ბრძოლამდე, **ოსკარ დე ლა ჰოიამ** ლოს ანჯელესის "სტეიპლ ცენტრის" არენის წინ საკუთარი ბრინჯაოს ქანდაკება გახსნა. მოქანდაკის ჩანაფიქრით, ამერიკელი მოკრივე რინგის კუთხეში ხელაწეული დგას და მორიგ გამარჯვებას ზეიმობს.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა "სტეიპლ ცენტრის" წინ, მსოფლიოს სპორტის ვარსკვლავებს ძეგლს უდგამენ. უფრო ადრე ჰოკეისა და კალათბურთის ლეგენდების, **უეინ გრეტცკისა** და **მეჯიქ ჯონსონის** ქანდაკებები აღმართეს. გრეტცკი რამდენიმე წელი "ლოს ანჯელეს კინგზის" ღირსებას იცავდა, ჯონსონი კი "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერი იყო.

დე ლა ჰოია ლოს ანჯელესის მკვიდრია, თუმცა "სტეიპლ ცენტრში" მხოლოდ ერთი ბრძოლა აქვს გამართული. 2000 წლის 17 ივნისს, მან აქ ქულებით წააგო ორთაბრძოლა თანამემამულე **შეინ მოსლისთან.** სულ პროფესიულ რინგზე "ოქროს ბიჭმა" 39 ბრძოლა მოიგო (30 ნოკაუტით) და ხუთჯერ დამარცხებულმა დატოვა რინგი.

## ფორმულა 1

# სამხრეთ აფრიკა ბრუნდება?

**სამხრეთაფრიკული** პრესის ცნობით, ცოტა ხნის დარეგისტრირებულმა ადგილობრივმა კომპანია GP Motorsport-მა ფორმულა 1-ში სამხრეთ აფრიკის ეტაპის აღდგენა გადაწყვიტა.

კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელია პროვინცია გაუტენგის მთავრობა, რომელიც თანამედროვე სტანდარტების ტრასის აშენებასა და ეტაპის გამართვის უფლების მისაღებად ფორმულა 1-ის ფაქტობრივი მფლობელისთვის **ბერნი ექლსტოუნისთვის** რამდენიმე მილიონი დოლარის გადახდას აპირებს.

გაუტენგის პრემიერი **პოლ მაშატაიელი** ავტოსპორტის დიდი მოყვარული ყოფილა. სწორედ ის გახლდათ აქტიური ორგანიზატორი შოუსი, რომელიც გასულ ზაფხულში იოჰანესბურგში გაიმართა. მაშინ სტუმრად მიწვეული იყო ფორმულა 1-ის ფრანგული საჯინიბო "რენო" და ამ გუნდის პილოტების – **ნელსინიო პიკესა** და **ლუკას დე გრასის** საჩვენებელ გამოსვლას დაახლოებით 60 ათასმა ადამიანმა ადევნა თვალი.

პოლ მაშატაილის აზრით, ფორმულა 1 გაუტენგის პროვინციას ახალი ინვესტიციების მოზიდვასა და ტურიზმის განვითარებაში დიდ სამსახურს გაუწევს.

აფრიკული პრესა იმასაც წერს, რომ ფორმულა 1-ის მთავარი არქიტექტორი **ჰერმან ტილკე** გასულ თვეში სამდღიანი ვიზიტით იყო ჩასული გაუტენგში და კაილამის რაიონში მომავალი ტრასის ადგილი დაათვალიერა.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას ავტოსპორტში მრავალწლიანი ტრადიცია გააჩნია. ჯერ კიდევ 1934 წელს, "მაზერატის" მანქანით სამხრეთ აფრიკის პირველი გრანპრი ამერიკელმა **უიტნი სტრეიტმა** მოიგო. ის რბოლა ინდოეთის ოკეანის სანაპიროზე, საკურორტო ქალაქ ისტ-ლონდონში ჩატარდა.

1960 წელს სამხრეთ აფრიკის გრანპრი აალორძინეს, 1962 წელს ფორმულა 1-ის კალენდარში შეიტანეს და ამ ეტაპმა 1985 წლამდე იარსება, მაგრამ შემდეგ ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების გამო, რბოლამ არსებობა შეწყვიტა. 1992-93 წლებში კაილამის ტრასაზე კიდევ ორი გრანპრი გაიმართა, მაგრამ ორგანიზატორები სერიოზულ ეკონომიკურ სირთულეებს წააწყდნენ და იქედან მოყოლებული, ფორმულა 1-ის გუნდები სამხრეთ აფრიკის იშვიათი სტუმრები გახდნენ. აქ მხოლოდ ტესტების ან საჩვენებელი რბოლების ჩასატარებლად ჩადიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური



### A ჯგუფი

**ტვენტე-შალკე 2:1**

**ტვენტე:** ბოშკერი, სტამი (63. ვალენბერგი), დუგლასი, ვიელარეტი, ბრააფჰეიდი, ბრამა, პერესი (75. ტიოტე), იანსენი, არნაუტოვიჩი (90. დენებოომი), ნ'კუფო, ელია.

**შალკე:** ნოიერი, რაფინია, ჰიოვედესი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ფ. ერნსტი, ჯონსი (69. ჰალილ ალთინთოფი), ენგელაარი, ასამოა, კურანი, ფარფანი.

**გოლები:** 1:0 ვიელაერტი (2), 2:0 პერესი (55), 2:1 ასამოა (77)

**გაფრთხილება:** 3-1

**მაყურებელი:** 24 000

**მანჩესტერ სიტი-პსჟ 0:0**

**სიტი:** ჰარტი, ბენ ჰაიმი, დანი, გარიდო, კომპანი, საბალეტა, ელანო (48. მვარუვარი), ირლანდი, ჟო (64. ევანსი), სტარიჯი, ვასელი (74. ჰამანი).

**პსჟ:** ლანდრო, ბურილიონი, ზ. კამარა, სახო, ტრაორე, მაკელელე (58. არმანი), როტენი, კლემანი, კეჟმანი (68. ოარო), ლუინდულა, პანკრატი (68. ჟიული).

**გაფრთხილება:** 0-1

**მაყურებელი:** 39 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ სიტი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 2. ტვენტე | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 3. შალკე | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| 4. რასინგი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |
| 5. პსჟ | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |

### B ჯგუფი

**ჰერტა-გალათასარაი 0:1**

**ჰერტა:** დრობნი, შაჰედი (46. ფონ ბერგენი), მ. შტაინი, ა. ფრიდრიხი, შიმუნიჩი, კაჩარი, დარდაი, ებერტი (71. დომოვჩიისკი), რაფაელი, ვორონინი, პანტელიჩი (65. სიჩერო).

**გალათასარაი:** დე სანკტისი, საბრი სარიოგლუ (79. გიუნგორი), ჰაქან ბალთა, ფერნანდო მეირა, სერვეთ ჩეთინი, ბარიშ ოზბექი, მეჰმეთ თოფალი, არდა თურანი (90+3. ვოლქან იამანი), კიუელი, ლინკოლნი, ბაროში (85. ნონდა).

**გოლი:** 0:1 ბაროში (69-პენ)

**გაფრთხილება:** 7-3

**მაყურებელი:** 65 000

**მეტალისტი-ოლიმპიაკოსი 1:0**

**მეტალისტი:** გორიანოვი, განჩარჩიკი (90+4. ბაბიჩი), ობრადოვიჩი, მაიდანა, ბორდიიანი, ვალიევი, ედმარი, სლუსარი, გეიე, ფომინი (82. ტრიშოვიჩი), ჟაჟა (90+1. კონიუშჩენკო).

**ოლიმპიაკოსი:** ნიკოპოლიდისი, პაცაცოგლუ, დომი, ანცასი, პაპადოპულოსი, ტოროსიდისი (80. პანტოსი), გალეტი (72. მიტროგლუ), ჯორჯევიჩი, დუდუ, ბელუში, დიოგო.

**გოლი:** 1:0 ედმარი (87)

**გაფრთხილება:** 1-3

**მაყურებელი:** 25 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გალათასარაი | 4 | 3 | 0 | 1 | 4-1 | 9 |
| 2. მეტალისტი | 3 | 2 | 1 | 0 | 2-0 | 7 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-3 | 3 |
| 4. ჰერტა | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| 5. ბენფიკა | 3 | 0 | 1 | 2 | 2-8 | 1 |

### C ჯგუფი

**სევილია-პარტიზანი 3:0**

**სევილია:** პალოპი, დრაგუტინოვიჩი, ესკუდე, დავიდ პრიეტო, კონკო, დუშერი, მარესკა (78. რომარიკი), რენატო, დიეგო კაპელი (69. დე მული), ხესუს ნავასი (80. ფერნანდო ნავარო), ლუიშ ფაბიანო.

**პარტიზანი:** ბოჟოვიჩი, სტევანოვიჩი, კნეჟევიჩი, იოვანოვიჩი, ობრადოვიჩი, ტომიჩი, ფეისა, ლიაიჩი, ალმანი მორეირა (8. ლაუიჩი/74. პაუნოვიჩი), პეტროვიჩი, ლამინ დიარა (88. ბოგუნოვიჩი).

**გოლები:** 1:0 ლუიშ ფაბიანო (32-პენ), 2:0 რენატო (46), 3:0 ლუიშ ფაბიანო (73)

**გაფრთხილება:** 0-2

**მაყურებელი:** 35 000

**სტანდარდი-სამპდორია 3:0**

**სტანდარდი:** არაგონი (83. დე ვრინდტი), კამოცატო, ონიევუ, სარი, დანტე, გორო, ვიტცელი, დეფური, დე კამარგო (72. ნიკეზი), მბოკანი, იოვანოვიჩი (88. მანგალა).

**სამპდორია:** კასტელაცი, კამპანიარო (55. გასტალდელო), ლუკინი, ბოტინელი, სტანკევიჩუსი (65. პიერი), დესენა, ჯ. დელვეკიო, ფრანჩესკინი, ციგლერი, ბონაცოლი, ფორნაროლი (54. კასანო).

**გოლები:** 1:0 დე კამარგო (23), 2:0 ონიევუ (35), 3:0 იოვანოვიჩი (43)

**გაფრთხილება:** 3-3

**მაყურებელი:** 23 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტანდარტი | 3 | 3 | 0 | 0 | 5-0 | 9 |
| 2. სევილია | 3 | 2 | 0 | 1 | 5-1 | 6 |
| 3. შტუტგარტი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 4. სამპდორია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-5 | 4 |
| 5. პარტიზანი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-8 | 0 |

### D ჯგუფი

**უდინეზე-დინამო (ზ) 2:1**

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი, დომიცი, სალა, ფელიპე, ლუკოვიჩი (74. დ'აგოსტინო), ნეფი (70. მოტა), ინლერი, ობოდო, პეპე (82. სანჩესი), კუალიარელა, დი ნატალე.

**დინამო:** ბუტინა, დრპიჩი, ბიშჩანი, ჰრგოვიჩი, ვრდოლიაკი, იბანიესი (46. ბადელი), ეტო (63. სოკოტა), მიკიჩი, სამირი, ტომიჩი, ბალაბანი (56. ტადიჩი).

**გოლები:** 1:0 კუალიარელა (5), 2:0 ობოდო (79), 2:1 ბიშჩანი (90)

**გაფრთხილება:** 0-2

**მაყურებელი:** 18 000

**სპარტაკი-ნიიმეგენი 1:2**

**სპარტაკი:** პლეტიკოშა, ჟირანეკი, ფატჰი, შიშკინი, პავლენკო (73. მაიდანა), პარშივლიუკი, ზოტოვი (46. ივანოვი), კოვალჩიუკი, მალოიანი (59. პრუდნიკოვი), ბაჟენოვი, საენკო.

**ნიიეგენი:** ბრბოში, დანი ფერნანდესი, ვისგერჰოფი, ზომერი, ელ-აკჩაუი, სიბუმი (64. კოლინზ ჯონი), შონე, დავიდსი, კაბირი (74. ვორმი), ჩიბამბა (46. ვან ბროკერინგი), ბუაუზანი.

**გოლები:** 1:0 კოვალიჩიუკი (2), 1:1 ვან ბოკერინგი (84), 1:2 შონი (87)

**გაფრთხილება:** 3-1

**მაყურებელი:** 12 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უდინეზე | 3 | 3 | 0 | 0 | 6-2 | 9 |
| 2. ტოტენჰემი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-2 | 6 |
| 3. ნიიმეგენი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 4. სპარტაკი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 5. დინამო | 3 | 0 | 0 | 3 | 4-9 | 0 |

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| ნორთვიჩი-რექსჰემი | გადაიდო |
| **ინგლისის თასი** | |
| კარლაილი-ქრიუ | 0:2 |
| **ინგლისის ლიგის თასი** | |
| უოტფორდი-ტოტენჰემი | 1:2 |
| მანჩესტერ იუნ.-ბლექბერნი | 5:3 |
| **იტალიის თასი** | |
| მილანი-ლაციო | 1:1, დ.დ. 1:2 |
| **გერმანია** | |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ემდენი-ბაიერნი A | გადაიდო |
| ვერდერი A-ბურგჰაუზენი | 2:2 |
| **სლოვენია** | |
| დომჟალე-პრიმორიე | 0:0 |
| **პერუ** | |
| ხუან აურიჩი-სპორტ ბოისი | 2:0 |
| სენსიანო-ალ. ლიმა | 4:1 |
| კორონელი-ატ. მინერო | 3:2 |
| ხოსე გალვესი-სპორტ ანსაჩი | 1:1 |
| სპ. კრისტალი-ალ. ატლეტიკო | 1:1 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| **კაცები** | |
| პანიონიოსი-რეალი | 68:66 |
| ოლიმპიაკოსი-აველინო | 91:66 |
| პროკომი-სიენა | 71:83 |
| ლე მანი-უნიკახა | 55:87 |
| პარტიზანი-ეფესი | 83:77 |
| მილანი-ცსკა | 80:79 |
| **ევროჩელენჯი** | |
| ოლიმპია-ჰაპოელი | 54:71 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ლოკომოტივი-დინამო (რ) | 2:4 |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| ს. იულიაევი-სლოვანი | 8:2 |
| აისბარენი-მეტალურგი (მ) | 2:1 |
| სლავია-ციურიხი | 1:5 |
| ჰ371-კიეკო | 0:6 |

## TV სპორტი

### 4 დეკემბერი. ხუთშაბათი

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

**07:55** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-შალკე.
**09:45** არგენტინის ჩემპიონატი.
**10:45** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**11:15** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-რეალი.
**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. რენი-პსჟ.
**15:10** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ბატე-რეალი
**17:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:25** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:25** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ევერტონი.
**20:15** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:35** უიქ ენდის მატჩების ანონსი.
**20:45** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**21:45** გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ბაიერნი.
**23:35** სასტვენი.
**00:35** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**01:40** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**01:55** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ბეტისი.
**03:45** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ბატე-რეალი
**05:45** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-რასინგი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

**08:20** სპორტული პროგრამა.
**08:35** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**09:05** კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
**09:30** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**10:00** სპორტინფორმი - ახალი ამბები.
**10:05** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. პროკომი-სიენა.
**11:55** ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. ჰერტა-გალათასარაი.
**13:40** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ბეტისი.
**15:25** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ფიორენტინა-ლიონი.
**17:15** სპორტინფორმი - ახალი ამბები.
**17:20** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. პარტიზანი-ეფესი.
**19:05** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-მანჩესტერ იუნ.
**20:55** სპორტინფორმი - ახალი ამბები.
**21:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ანაჰაიმი.
**22:50** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
**23:20** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**23:45** ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. ლეხი-დეპორტივო (LIVE).
**01:45** სპორტული პროგრამა.
**02:00** სპორტინფორმი - ახალი ამბები.
**02:05** კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
**02:35** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**03:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**04:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კაროლინა-პიტსბურგი (LIVE).
**06:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**07:10** ავტოსპორტი. A1 გრანპრი. III ეტაპი. მალაიზია.

#### EUROSPORT

**11:30** ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
**12:00** ფარიკაობა. მასტერსის ტურნირი. საფრანგეთი.
**12:30** ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
**13:30** ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის მიმოხილვა.
**14:30** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ინდივიდუალური რბოლა. კაცები. ოსტერსუნდი. შვედეთი.
**16:00** ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური.
**17:30** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS142. კუუსამო. ფინეთი.
**18:45** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ინდივიდუალური რბოლა. კაცები. ოსტერსუნდი. შვედეთი.
**20:15** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ინდივიდუალური რბოლა. ქალები. ოსტერსუნდი. შვედეთი (LIVE).
**22:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**22:15** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კომბინაცია (სწრაფდაშვება). კაცები. ბივერ კრიკი. აშშ (LIVE).
**23:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. 1/2 ფინალი. ჩილე (LIVE).
**01:00** რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბრიტანეთი.
**01:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კომბინაცია (სლალომი). კაცები. ბივერ კრიკი. აშშ (LIVE).
**02:15** ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური.
**03:15** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ინდივიდუალური რბოლა. ქალები. ოსტერსუნდი. შვედეთი.
**04:00** რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბრიტანეთი.

#### EUROSPORT-2

**10:30** ახალი ამბები.
**11:45** სერფინგი. აშშ.
**12:00** ახალი ამბები.
**12:45** სერფინგი. აშშ.
**13:00** ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური.
**13:30** ფეხბურთი. იაპონიის ლიგა. ტურის მიმოხილვა.
**14:00** ახალი ამბები.
**14:30** ფორმულა 1.
**15:30** ახალი ამბები.
**16:15** სერფინგი. აშშ.
**16:30** ახალი ამბები.
**17:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. 1/4 ფინალი. ჩილე.
**19:45** ახალი ამბები.
**20:00** ფორმულა 1.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** სნოუბორდი.
**22:30** ახალი ამბები.
**22:45** სერფინგი. აშშ.
**23:00** ფეხბურთი. იაპონიის ლიგა. ტურის მიმოხილვა.
**23:30** ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. IX ტური. პერუჯა-ბერგამო (LIVE).
**01:30** ახალი ამბები.
**01:45** სერფინგი. აშშ.
**02:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. 1/2 ფინალი. ჩილე (LIVE).
**04:00** ახალი ამბები.
**04:45** სერფინგი. აშშ.
**05:00** ახალი ამბები.
**05:45** სერფინგი. აშშ.
**06:00** ახალი ამბები.

## ამბები

ჩოგბურთი

### ნადალის ახალი აღიარება

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა რაფაელ ნადალმა ორგანიზაცია "მადრიდის საზოგადოებისგან" სპორტში დამსახურებების გამო საერთაშორისო პრემია მიიღო. ყოველწლიურად ეს პრიზი ადამიანური ღირსებებისა და სპორტისადმი პატივისცემის გამოხატვის სანაცვლოდ გაიცემა.

*"ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ პრიზის მიღება. განსაკუთრებით გახარებული ვარ იმით, რომ ჯილდოს მადრიდში გადმომცემენ, სადაც დევისის თასსა და მასტერსზე ლოკალურ წარმატებებს მივაღწიე"*, - აცხადებს "მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუში ნადალი.

კრივი

### შეინ მოსლიმ დოპინგი აღიარა

ორ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა **შეინ მოსლიმ** დოპინგის მიღება აღიარა. ამერიკელი მოკრივე აცხადებს, რომ 2003 წელს, **ოსკარ დე ლა ჰოიასთან** ბრძოლის წინ აკრძალული პრეპარატი – ეპო გამოიყენა.

მოსლიმ ეს აღიარება ჯერ კიდევ 2004 წელს გააკეთა, მაგრამ გუშინდელ დღემდე ინფორმაცია გასაიდუმლოებული იყო. შეინი ამტკიცებს, რომ დოპინგი მას ფარმაცევტული კომპანია BALCO-ს დამაარსებელმა **ვიქტორ კონტემ** მიაწოდა, რომელიც ამერიკის სასამართლომ ნარკოტიკების წარმოებასა და რეალიზაციაში დაადანაშაულა.

### ჰოლიფილდი რეიტინგს დაუბრუნდა

სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ექსჩემპიონი **ევანდერ ჰოლიფილდი** (42-9-2, 27 ნოკაუტი) ისევ შეიყვანეს WBA-ის რეიტინგში.

კრივის ცოცხალმა ლეგენდამ მე-12 პოზიცია დაიკავა, რომელიც ადრე **ჯონ ჩეპმენს** ეჭირა, მაგრამ ეს მოკრივე რეიტინგიდან გარიცხეს.

კალათბურთი

### ჰიუსტონს გუნდი აღარ ჰყავს

ქალთა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის პრეზიდენტმა **დონა ორენდერმა** დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამ ლიგის გუნდი "ჰიუსტონ კომეტსი" წყვეტს არსებობას.

WNBA-ის ოთხგზის ჩემპიონის პრობლემები ფინანსურმა გასაჭირმა გამოიწვია. სააგენტო "როიტერის" ცნობით, გაუქმებული გუნდის მოთამაშეთა დრაფტი 8 დეკემბერს გაიმართება.

### ეფესმა ვეტერანი ცენტრი იყიდა

გუშინ, თურქულმა "ეფეს პილსენმა" ვეტერან სერბ ცენტრ **პრედრაგ დრობნიაკთან** კონტრაქტს მოაწერა ხელი. 33 წლის ევროპელს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სამ გუნდში – "სიეტლში", "ატლანტასა" და "კლიპერსში" უთამაშია, თუმცა კარიერის საუკეთესო წელი სწორედ "ეფესში" აქვს გატარებული, სადაც მან ორჯერ (2000, 2001) გაალწია ევროლიგის "ოთხთა ფინალში".

დრობნიაკის გარდა, თურქულმა გუნდმა კიდევ ერთი კალათბურთელი დაიმატა – ეს გახლავთ მცველი **კლიფ ჰემონდსი** (23 წლის, 190 სმ). ამერიკელმა 2008-09 წლების სეზონი თურქელ "დარუშაფაკაში" დაიწყო, სადაც საშუალოდ მატჩში 12.9 ქულას, 4.6 შედეგიან გადაცემასა და 4.3 მოხსნას აგროვებდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ჩოგბურთი

ინტერვიუ გაბრიელა საბატინისთან

# გრაფი საუკეთესო ჩოგბურთს თამაშობდა

**საჩოგბურთო პუბლიკის ერთ-ერთ საყვარელ მოთამაშეს, არგენტინელ გაბრიელა საბატინის ესპანური გაზეთი „მარკა“ სტუმრობდა. უამრავ საკითხთან ერთად, ჟურნალისტმა გაბის მისი და გერმანელი შტეფი გრაფის დაპირისპირების გახსენება სთხოვა. გაბრიელას კარიერაში „დიდი სლემის“ მხოლოდ ერთი ტურნირი აქვს მოგებული და ამის მიზეზი სწორედ გრაფის ბრწყინვალე თამაში იყო. ალბათ, ყველა დარწმუნებულია იმაში, რომ საბატინისა და გრაფის კარიერის გზები რომ არ გადაკვეთილიყო, არგენტინელი ჩოგბურთში გაცილებით მეტს მიაღწევდა. თუმცა გაბი ინტერვიუში აცხადებს, რომ პირველ რიგში სწორედ იმით არის კმაყოფილი, რომ შტეფის ეპოქაში მოუწია თამაშმა...**

**- რით არის ამჟამად დაკავებული გაბრიელა საბატინი?**

- უკვე 20 წელია სუნამოს მარკაზე ვმუშაობ, რომელიც ჩემს სახელს ატარებს. ბაზარზე 15 სახეობაა წარმოდგენილი და კვლავ აქტიურად ვმონაწილეობ ბრენდის განვითარებაში. ასევე დაკავებული ვარ პროექტით, რომელიც უძრავ ქონებას უკავშირდება: ბუენოს აირესის გარეუბანში ჩოგბურთისა და პოლოს კლუბის და რამდენიმე სახლის აშენებას ვგეგმავთ. გარდა ამისა, სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებაში ვმონაწილეობ და მომავალში საკუთარი ფონდის დაარსება მაქვს გადაწყვეტილი.

**- რამდენად შეიცვალა ჩოგბურთი თქვენი აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ?**

- ადრე თამაში უფრო მრავალმხრივი იყო, ახლა კი აქცენტი ძირითადად ფიზიკურ მომზადებასა და დარტყმის ძალაზე კეთდება. ჩემი აზრით, მთავარი სხვაობა სწორედ აქ უნდა ვეძებოთ.

**- მიუხედავად იმისა, რომ აქტიური სპორტიდან დიდი ხნის წინ წახვედით, კვლავინდებურად ლათინური ამერიკის ისტორიაში საუკეთესო ჩოგბურთელად ითვლებით. ეს, ალბათ, დიდი პატივია თქვენთვის...**

- რა თქმა უნდა, ამ ტიტულით ძალიან ვამაყობ. ჩოგბურთმა ბევრი რამ მომცა, მაგრამ ეს კარიერის დასრულების შემდეგ დავაფასე. დღეს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ვცდილობ ამ გამოცდილების გამოყენებას.

**- თამაში ძალიან ადრე, 26 წლის ასაკში შეწყვიტეთ. რატომ მიხვედით ასეთ გადაწყვეტილებამდე?**

- ეს ძალიან რთული პერიოდი იყო. კარიერის ბოლო ორი წლის განმავლობაში კორტზე თავს ბედნიერად ველარ ვგრძნობდი, მაგრამ ვერც იმას ვხვდებოდი, რატომ ხდებოდა ასე. სპორტულ ფსიქოლოგთან რამდენიმე საუბრის შემდეგ გავარკვიე, რომ სინამდვილეში აღარ მინდოდა პროფესიულ დონეზე თამაში, მიჭირდა ტურნირებზე გამოსვლა, ვარჯიშების გადატვირთული გრაფიკისთვის გაძლება... მოკლედ, ნორმალური და მშვიდი ცხოვრება მჭირდებოდა. მინდოდა სიამოვნება მიმეღო საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობით, საკუთარი სახლით, მოგზაურობით. საბედნიეროდ, მივხვდი, რაც ხდებოდა ჩემს თავს და დროულად გავეცალე ჩოგბურთს.

**- რომელი ტიტულია თქვენთვის ყველაზე ძვირფასი?**

- 1990 წელს ამერიკის ღია პირველობაზე გამარჯვება - ეს არის ჩემი ერთადერთი წარმატება „დიდი სლემის“ ტურნირებზე. არანორმალური მომენტი იყო - თითქოს ცას შევწვდი ხელებით. ჩემთვის ნიუ იორკის კორტებზე გამოსვლა ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენა იყო.

**- ყველას ახსოვს შტეფი გრაფის წინააღმდეგ მატჩში ცნობილი ტაი-ბრეიკი. ალბათ, გერმანელი ყველაზე რთული მეტოქეა იმათგან, ვისაც კორტზე შეხვედრიხართ?**

- მე ვიტყოდი, რომ გამიმართლა, რადგან შტეფი გრაფის ეპოქაში მომიწია თამაშმა. ურთიერთშეხვედრათა სტატისტიკაში მას დიდი უპირატესობა აქვს, მაგრამ ყოველთვის, როცა შტეფის წინააღმდეგ კორტზე გავდიოდი, მეტოქე მაიძულებდა სრულად წარმომეჩინა ჩემი საჩოგბურთო ოსტატობა. კარიერაში საუკეთესო მატჩები სწორედ გრაფის წინააღმდეგ მაქვს ჩატარებული.

**- რეიტინგში მსოფლიოს მესამე ჩოგანი იყავით. ეს ფაქტი გახარებთ თუ ნანობთ, რომ კლასიფიკაციაში უფრო მაღლა ასვლა ვერ შეძელით?**

- ყოველთვის მზად უნდა იყო იმისთვის, რომ საუკეთესო გახდე. მე ძალიან ახლოს ვიყავი პირველი ჩოგანის ტიტულთან, პრაქტიკულად, ერთი მატჩის მოგება მჭირდებოდა. მაგრამ ამის მიღწევა ვერ შევძელი და არც ვნანობ ამას. ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო, მაგრამ ეტყობა, ღმერთისგან არ მეწერა რეიტინგის პირველი ნომრის სტატუსი.

**- თქვენი კარიერის კიდევ ერთ მწვერვალად 1988 წელს სეულის ოლიმპიადის ვერცხლის მედალი ითვლება. თანაც იმ თამაშებზე არგენტინის ოლიმპიური ნაკრების მედროშე იყავით...**

- ამ მომენტს განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩემს კარიერაში, რადგან ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა სულ სხვა გამოცდილებაა, რომელიც ყველა სპორტსმენმა უნდა გაიზიაროს. ჩოგბურთში მოთამაშეები ინდივიდუალისტები არიან, ოლიმპიადაზე კი შეგიძლია შენი სიხარული სხვასაც გაუზიარო, გაამხნევო თანაგუნდელები, გაიცნო სხვა ქვეყნების ათლეტები... ეს რაღაც განსაკუთრებული მოვლენაა. ხოლო, როცა გახსნის ცერემონიაზე შენი ქვეყნის დროშას ჩაგაბარებენ და თამაშებზე მედლის მოპოვებას მოახერხებ - შეგიძლია ეს შენი კარიერის მთავარ მიღწევად ჩათვალო. არ დაგიმალავთ, 20 წლის წინ ოქროს მედლის მოპოვებას ვგეგმავდი და ფინალის წაგებით ოდნავ განაწყენებული დავრჩი. მაგრამ ახლა, სეულის ოლიმპიადის გამო სიამაყის გრძნობა მიპყრობს და ყოველთვის კარგ ხასიათზე ვდგები, როცა ჩემ მიერ მოპოვებულ მედალს ვუყურებ.

**- ვის შეუძლია თანამედროვე ქალთა ჩოგბურთში აბსოლუტური ლიდერობის მოპოვება?**

- დღეისთვის წამყვანი ჩოგბურთელების დონე დაახლოებით თანაბარია. ამერიკის წლევანდელ პირველობაზე ექვს ჩოგბურთელს შეეძლო სათავეში ჩასდგომოდა WTA-ის რეიტინგს. ჟუსტინ ანენის წასვლის შემდეგ, არ დარჩა არავინ, ვისაც შეეძლება ჰეგემონია დაამყაროს ქალთა ჩოგბურთში. და ამან, შესაძლოა, დადებითად იმოქმედოს თამაშის განვითარებაზე. კარგია თუ პროფესიულ ტურში ახალი სპორტსმენები გამოჩნდებიან და რეიტინგის მწვერვალზე სხვადასხვა ჩოგბურთელს ვიხილავთ.

**- რას ფიქრობთ გადატვირთული კალენდრის შესახებ?**

- ამ პრობლემაზე ჯერ კიდევ მაშინ ვამახვილებდი ყურადღებას, როცა თავად ვთამაშობდი ჩოგბურთს. სასურველია, ჩოგბურთელებს დასვენებისთვის მეტი დრო ჰქონდეთ. ისინი მინიმუმ ორი-სამი თვით უნდა ჩამოსცილდნენ ჩოგბურთს, რათა ფიზიკურად და მორალურად კარგად დაისვენონ. დღეისთვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ამოცანაა - თავიდან ავიცილოთ ტრავმები. ეს კი ძნელი იქნება, რადგან ჩოგბურთელები თითქმის პაუზის გარეშე თამაშობენ და დასვენებისთვის მაქსიმუმ ორი კვირა ეძლევათ.

**- ინტერვიუს დასასრულს ბლიცგამოკითხვას გთავაზობთ. ჩოგბურთელის კარიერა რომ არ აერჩია, ვინ იქნებოდა ახლა გაბრიელა საბატინი?**

- მომღერალი.

**- ისტორიაში საუკეთესო ქალი ჩოგბურთელი...**

- მარტინა ნავრატილოვა და შტეფი გრაფი.

**- თქვენ მიერ ჩატარებული მატჩებიდან ყველაზე ხშირად რომლის ვიდეოჩანაწერს უყურებთ?**

- 1990 წელს აშშ-ის ღია პირველობის ფინალს, რომელშიც შტეფი გრაფი დავამარცხე.

**- დედამიწის რომელ კუთხეში გვირჩევთ გამგზავრებას?**

- საბერძნეთში.

**- ვის იახლებდით დაუსახლებელ კუნძულზე?**

- როჯერ ფედერერს.

**- თქვენ ხართ პირველი ქალი, რომლის სახელი ვარდის ჯიშს დაარქვეს. ვის აჩუქებდით ამ ყვავილს?**

- ჯორჯ ქლუნის.

**- რისი არომატი აქვს „გაბრიელა საბატინის“ სუნამოს?**

- მინდვრისა და ყვავილების.

**გია თვალაბეიშვილი**


